

სარჩელი სამოქალაქო პროცესში

მაია ცქიტიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მინიჭებისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად

2021 წელი ივნისი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ვალერიან ხრუსტალი

სამართლის დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი 2021

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წინამდებარე ნაშრომი _ „სარჩელი სამოქალაქო პროცესში“ - ორიგინალურია. ის არ შეიცავს ისეთ მეცნიერულ თვალსაზრისს, დებულებას, თეორიას, კვლევის მონაცემებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული დად-

გენილი წესით; ხოლო კვლევის მეთოდების გამოყენების დროს სრულად არის დაცული ეთიკის ნორმები.

მაია ცქიტიშვილი

აბსტრაქტი

პირის უფლებებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვა გარანტირებული უფლებაა, რომლის განხორციელება - სასამართლოზე ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. საქართველოში არსებული კანონმდებლობა ამ მხრივ ცდილობს გაიზიაროს სიახლეები, მაგრამ ამას თან ახლავს ხარვეზები, რომლებიც ნაგულისხმევ შედეგს არ იწვევს.

მისასალმებელია მიმდინარე სასამართლო სისტემის რეფორმის დაწყება, რომლის ფარგლებშიც საინტერესო იქნება განხორციელებული ცვლილებების ასახვა სარჩელით უფლების დაცვის ინსტიტუტთან დაკავშირებით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, დარღვეული სამოქალაქო უფლების აღსადგენად ან მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად.

ასეთ შემთხვევაში, პირი მიმართავს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით ანუ სარჩელით. უფლებების სასამართლო წესით დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ ასევე სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია ზოგადი და კერძო სამეცნიერო კვლევის მეთოდები (ანალიზის, განზოგადების, კლასიფიკაციის, სისტემურ-სტრუქტურული, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, ლოგიკური და სხვა). კვლევა ხორციელდება ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით. ვინაიდან კვლევა მეტწილად ეხება პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკაც.

კვლევის შედეგები

- კვლევის შედეგად გამოვლინდა საკითხზე უშუალო ზემოქმედების მქონე გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სარჩელის ინსტიტუტის ეფექტურად განხორციელებას.
- გამოიკვეთა და შეფასდა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის ხარვეზები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ცვლილებების შეტანის მიზნით, მომზადდა წინადადებები.

- პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სარჩელის ინსტიტუტების განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა

კვლევა მოიცავს ჩვენს მცდელობას არსებული მასალების, პრაქტიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე წარმოგვედგინა სარჩელთან დაკავშირებული პრობლემატიკა სისტემატიზირებული სახით. ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონშემოქმედებითი და პრაქტიკული მიმართულებით, სასწავლო - საგანმანათლებლო თვალსაზრისით, აგრეთვე სარჩელის ინსტიტუტთან და მასში შემავალ მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

- კვლევა-ანალიზით გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქართველოში სასარჩელო წარმოების განვითარებას; დაისახა აგრეთვე მათი აღმოფხვრის გზები.

- სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები, მეცნიერულადაა წარმოჩენილი მათი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. საერთაშორისო კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები სასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეგულაციების არსებობისათვის.

- ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების დოქტრინა და ქართული სასამართლო პრაქტიკა. გავლებულია პარალელები და გამოკვეთილია თავისებურებანი. გაანალიზებულია ქართული რეალობა, გამოკვეთილია სასარჩელო წარმოების პროცესში პრობლემების გამომწვევი ძირითადი მიზეზები და განსაზღვრულია მათი დაძლევის გზები.

Abstract

Introduction

Protection of rights and interests of a person through court litigation is a guaranteed right. Fulfilment of this right – access to the court is a significant challenge for the democratic country. In the existing Georgian legislation, there is an attempt of sharing of novelties in this sphere, but it is accompanied by gaps, which are the obstacles on the way to the desired result.

It is a good thing that the court reform has started, within the framework of which it is interesting to depict the implemented amendments in regard to the phenomenon of protection of right through a lawsuit. According to Article 31 of the Constitution of Georgia, every person has the right to apply to court for protection of its rights and interests, restoration of breached civil rights and prevention of expected violation.

In such a case, a person applies to court with the lawsuit application or a complaint. Protection of a right through court litigation should be thorough, which means not only an ability of any person of applying to court, but, as well, the obligation of court to pass fair and justified decision.

Methodology

In the dissertation work, mainly, general and private scientific research methods (analysis, generalization, classification, systematic=structural, comparative-legal, historic, logical etc.) are used. The research is conducted through applying of analytical methods. As, the research mainly refers to the problems existing in practice, court practice is also reviewed in this piece of work.

Results of the Research

- As a result of the research, the conditions having the direct impact on the subject have been revealed that stand as an obstacle on the way to the effective implementation of the phenomenon of a lawsuit.
- Gaps carrying legislative and practical character have been identified and estimated, concrete proposals have been prepared in regard to making amendments to Civil Procedure Rules Code of Georgia.
- On the basis of study of practice and experience, recommendations have been elaborated, which will contribute to development of phenomenon of a lawsuit and its effective functioning.

The Scientific Novelty and Meaning of the Piece of Work

The research expresses our attempt to address the lawsuit related problems in a systematic way on the basis of the existing materials, analysis and evaluation of practice. We consider that the presented research may be used in the fields of law drafting and legal practice as well as education and the scientific-research activities related to the phenomenon of a lawsuit as well as the other significant aspects deriving from it.

Considering all the above mentioned, the scientific novelties of the work are as follows:

- Gaps have been revealed through the conducted research-analysis, which are directly related to development of lawsuit processing, the ways of its elimination have been identified as well.
- In the dissertation work the current legislative novelties and amendments are discussed and analyzed. Their positive and negative aspects are scientifically presented. On the basis of in-depth analysis of international legislation and normative acts, corresponding recommendations on existence of relevant regulations related to the lawsuit processing are given.
- In the piece of work, the Georgian and foreign doctrines and court practices are well studied. There are parallels given and particularities are identified. Georgian reality is analyzed, the main reasons of problem creation in the field of lawsuit processing are identified and the ways of their overcoming are defined.

. **მადლიერება** - პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, სამართლის დოქტორს, პროფესორს - ბატონ ვალერიან ხრუსტალს, ბატონი ვალერი თავისი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით, მეცნიერული კონსულტაციებითა და რჩევებით, წლების მანძილზე მედგა გვერდით, რამაც შემადგებინა ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოზე. მადლიერება მინდა გამოვხატო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბატონ მამუკა თავხელიძის მიმართ, იმ გარემოსა და პირობების შექმნისთვის, რომელიც დამწყებ მეცნიერს გზას უკაფავს, ზრდის და აყალიბებს. სამართლის სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს, მათ მიერ გაწეული დახმარებისათვის დისერტაციაზე მუშაობის განმავლობაში.

და ბოლოს, უდიდეს მადლობას ვუხდის ჩემს ოჯახს, განსაკუთრებით ჩემს დედას - ვერა ცქიტიშვილს, რომლის მორალურ თანადგომას და გამხნევებას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რის გარეშეც გამიჭირდებოდა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა.

. **მიძღვნა** - ნაშრომს ვუძღვნი, ჩემი მამის- შალვა ცქიტიშვილის ნათელ ხსოვნას!

სარჩევი

აბსტრაქტი	iii
სარჩევი	viii
შესავალი	11
თავი I. სასარჩელო წარმოების არსი	19
1.1 სარჩელის ცნება	22
1.2. სარჩელის უფლება	27
1.3 სარჩელის უფლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი).....	33
თავი II. სარჩელის სახეები.....	62
2.1 მიკუთვნებითი სარჩელი	67
2.2. აღიარებითი სარჩელი.....	70
2.3 გარდაქმნითი სარჩელი	74
თავი III. სარჩელის ელემენტები.....	77
3.1 სარჩელის საგანი და მისი განსხვავება დავის საგნისა და სარჩელის ობიექტისგან (პრაქტიკული ასპექტები)	79
3.2 სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი.....	82
თავი IV. სარჩელის მიღების პირობები და მისი მოპასუხისათვის ჩაბარების თავისებურებანი.....	86
თავი V. სარჩელის მომზადების, მტკიცებულებათა გამოვლენისა და დავის გადაწყვეტის თავისებურებანი.....	98
თავი VI. უფლების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა.....	137
6.1 შეგებებული სარჩელი	138
6.2 სარჩელის შეცვლა.....	141
6.3 სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება და გამოყოფა.....	145
6.4 სარჩელზე უარის თქმა და სარჩელის გამოხმობა	146
6.5 სარჩელის ცნობა	154
6.6 მორიგება	156
თავი VII. კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიები სამოქალაქო პროცესში	161
7.1 უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები	165
სამოქალაქო პროცესში	165
თავი VIII. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის.....	177
ცნება და მნიშვნელობა	177

დასკვნები და რეკომენდაციები.....	187
ბიბლიოგრაფია.....	194
დანართი №1	205
დანართი №2	206
დანართი №3	207
დანართი №4	208
დანართი №5	209
დანართი №6.....	210
დანართი №7	211
დანართი №8	212
დანართი №9	213

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

სსკ --საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ -საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სუსგ-საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

გსსკ- გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, დარღვეული სამოქალაქო უფლების აღსადგენად ან მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად.(4) ასეთ შემთხვევაში პირი მიმართავს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით ანუ სარჩელით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს დარღვეული უფლებების ეფექტურ აღდგენას.(1) უფლებების სასამართლო წესით დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ ასევე, სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.(12,36-37) მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში უფლების კატეგორია იკავებს ცენტრალურ ადგილს, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც საქართველო. ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ამოცანა სწორედ უფლების დაცვაა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელი ტრადიციულად განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი და პირთა დარღვეული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საშუალება. კვლევის მიზნისათვის, სარჩელის კატეგორიისა და სარჩელის უფლების არსი და სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს ძირითად პრობლემას, ამ პრობლემას უკავშირდება ნაშრომში გამოკვლეული ყველა საკითხი. მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ცნობიერების ფორმირებაში, მათი შეგნების ამაღლებასა და აქტიურობის ზრდაში. სასამართლოს წინაშე დასახული ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო წარმოება წარიმართება კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

სარჩელის ისტორიული ფესვები მოდის რომის სამართლიდან, მისი განვითარებაც განპირობებული იყო ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობით, რომელიც ხორციელდებოდა პრეტორის საშუალებით. რომის კერძო სამართალი ვითარდებოდა უფლების სასამართლო წესით დაცვის განხორციელების შესაბამისად. რომაული სამართლის

მიხედვით, მხოლოდ უფლების სასამართლო წესით დაცვა განსაზღვრავდა სარჩელის რეალურ მნიშვნელობას და სრულყოფილებას. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ადგენდა სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას გარკვეული კატეგორიის საქმეებზე.

რომის კერძო სამართალი იყო აგებული სარჩელთა სისტემის მიხედვით. სარჩელები მუშავდებოდა და ყალიბდებოდა რომში ისტორიულად და მისი რიცხვი ყოველთვის შეზღუდული იყო. სარჩელის ზოგადი დეფინიცია ფორმულირებული იყო ჯერ კიდევ დიგესტებში: “Nihil qliud est action quam ius, quod sibi debcatur,iudicio persequendi” (D.44.7.51; I.4.6.pr.,„სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება, მოთხოვნა განახორციელოს და დაიცვას სასამართლო წესით.“)(32)

საინტერესოა, გერმანული დოქტრინისა და პრაქტიკის მიდგომა სასამართლო წესით უფლების დაცვის საკითხისადმი. სარჩელი ეს არის საშუალება, საქმის განხილვის დაწყებისათვის. სარჩელის შეტანა - პროცესუალური მოქმედებაა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სასამართლოსადმი მიმართვა სამართლებრივი დაცვის მიზნით.(69,1605)

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, უფლების სასამართლო წესით დაცვა გულისხმობს, რომ „თითოეული პირი ფლობს უფლებას, თავის საქმესთან დაკავშირებით მიმართოს დამოუკიდებელ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია სრული ყურადღებით, სიღრმისეულად შეისწავლოს საქმის ფაქტობრივი და იურიდიული გარემოებები, განიხილოს საქმე და უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.“(73,46) უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლება მოიცავს ასევე პროცესის მონაწილე მხარეთა უფლებას, თანაბრად იქნას მათი მოთხოვნები სასამართლოს მხრიდან განხორციელებული, კერძოდ: საქმის განხილვის დაწყებისას, ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული კვალიფიკაციისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

აღნიშნულის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს გერმანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცი და 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, (73,46) რომლის შესაბამისადაც, დოქტრინასა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს პირის მთელი რიგი უფლებამოსილებები, ისეთები, როგორებიცაა: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, საქმის ფაქტობრივი და იურიდიული დასაბუთების შემოწმების უფლება და უფლება სასამართლოს მიერ იქნას მიღებული გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში.(39)ა

როდესაც საუბარია უფლების სასამართლო წესით დაცვის თაობაზე, მითითება ხდება გერმანიის კონსტიტუციის 103-ე მუხლის 1-ლი აბზაცსა (მოსმენილ იქნას სასამართლოს მიერ) და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ აბზაცზე.(40,11) სასამართლოთი დაცვის უფლებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო ხარჯებს, რასთან დაკავშირებითაც ლიტერატურაში უთითებენ: ვინც პროცესზე მიდის - მიდის ხარჯების გაწევის რისკზეც.(50,175)

ეფექტურ სამართლებრივ დაცვასთან მიმართებით გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით განისაზღვრა, რომ სუბიექტის სასამართლო წესით დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ეფექტურად, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, აღადგინოს დარღვეული უფლება საუკეთესო სახით უმოკლეს ვადაში.(46,19)

პროცესის მონაწილეთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ორივე მხარისათვის თანაბრად, როგორც აუცილებელი პირობა პროცესის მსვლელობისას, გადაწყვეტილების გამოტანამდე და მის აღსრულებამდე. ზემოაღნიშნული უფლება მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, პროცესის მონაწილე მხარეებს განუმარტოს თავიანთი საპროცესო უფლებები და ვალდებულებები. (73,47)

საკვლევი პრობლემატიკა და თემის აქტუალურობა

სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებული თანამედროვე პრობლემები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში შედარებით ნაკლებად არის გამოკვლეული. სარჩელის არსისა თუ სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ამიტომ სარჩელის ინსტიტუტი არ კარგავს სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობას. სარჩელის სამართლებრივ ბუნებაზე (არსზე), სარჩელის უფლების განხორციელების წინაპირობებზე ჩამოყალიბებულ დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრულყოფილად დაცვის თვალსაზრისით.

საყურადღებოა, რომ სარჩელის შესახებ არსებული მოსაზრებები, ერთი მხრივ, განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ, სამართალწარმოების განხორციელების შედეგის იდეალურ სახეს წარმოგვიდგენს, რომელიც დადებითად აისახება სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოებაზე. ამით აიხსნება წამოჭრილ პრობლემათა თეორიული მნიშვნელობა, რომელიც ასევე განპირობებულია არანაკლებ მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემებით, რამდენადაც

თანამედროვე პერიოდში სარჩელი საშუალებას გვაძლევს, დაცული იქნას უფლება და კანონიერი ინტერესი.

ამ პოზიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელის პრობლემის გამოკვლევას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები და წინადადებები შეიძლება გახდეს შემდგომ უკვე საკანონმდებლო ცვლილებათა განმაპირობებელი ფაქტორი.

ჩვენს წინაშეა რთული პრაქტიკული და არც თუ ისე უმნიშვნელო პრობლემები, რომლებზეც მუშაობა გახდება სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერების სიახლეთა პრიორიტეტული მიმართულება. ეს გარემოება განაპირობებს ნაშრომის აქტუალურობას. გასაკვირი არ არის, რომ უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის ფორმას ეძღვნება მრავალი მონოგრაფია. ამ საკითხზე მუშაობისას მათი ნაწილი განხილული და გამოყენებულია ნაშრომში.

დისერტაციის კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს სასამართლო წესით პირის სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვის დროს წარმოშობილი აქტუალური პრობლემები, რაც უკავშირდება სარჩელის შეტანას, წარმოებაში მისი მიღების საკითხს, მოპასუხის მიერ გამოყენებულ დაცვის საშუალებებს, სარჩელის უზრუნველყოფას, სარჩელისა და სხვა საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებას და ა.შ.

კვლევის მიზანია:

- წარმოაჩინოს არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.
- მეცნიერულად შემუშავდეს დამოუკიდებელი, კომპლექსური და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციები.
- გამოავლინოს საქართველოში არსებული სარჩელის ინსტიტუტში შემავალი სამართლებრივ კატეგორიებთან დაკავშირებული მანკიერი პრაქტიკა და ამ რეალობის გამომწვევი მიზეზები, ასევე განსაზღვროს მათი აღმოფხვრის გზები.
- სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი მეცნიერების შესაბამისად, განისაზღვროს სარჩელის უფლებისა და სასარჩელო წარმოების არსი, სარჩელთა სახეები, სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება და ა.შ., რომლებიც შეესაბამება უკვე თანამედროვე საპროცესო სამართალში ამ საკითხების სამეცნიერო ასპექტების გაფართოების შესაძლებლობას, შესაბამისად, სამართლებრივი დაცვის სრულყოფას.

კვლევის ამოცანაა:

- სარჩელის თეორიის განვითარების ეტაპების ანალიზი და შეფასება;
- საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი;
- საქართველოში არსებული სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ნორმებში ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებების ანალიზი;
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი კვლევის თემატიკასთან მიმართებით;
- საერთო სასამართლოების პრაქტიკის გაანალიზება და შეფასება;
- კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების წარმოჩენა და შეფასება;
- სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებული თანმდევი პრობლემატიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, ასევე თეორიული მეცნიერული დასკვნების ფორმულირება.

ნაშრომის ჰიპოთეზა:

- რიგი საკანონმდებლო ტერმინის დახვეწა და ხარვეზების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს, უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმის ეფექტურ ამაღლებას.
- საქართველოში სარჩელის ინსტიტუტის ეფექტური ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორია საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. აგრეთვე სასამართლოზე ხელმისაწვდომობისა და სარჩელის უფლების განხორციელებისათვის ხელისშემშლელია ბოლო დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები.
- მოქალაქეთა ნდობის დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია, საკანონმდებლო დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის შეზღუდვით.
- საქართველოში ამჟამად არსებული სარჩელთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა სრულყოფას მოითხოვს.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებული და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნების დასაბუთებისათვის შესწავლილია მეცნიერთა ნაშრომები როგორც ქართული, ისე რუსული და გერმანული იურიდიული ლიტერატურა. ქართული იურიდიულ ლიტერატურიდან გამოყენებულია, სახელდობრ, თ. ლილუაშვილის, ავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“; თ. ლილუაშვილის და ვ. ხრუსტალის თანა-ავტორობით გამოცემული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, შ. ქურდაძისა და ნ. ხუნაშვილის თანაავტორობით გამოცემული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ზ. ძლიერიშვილის ნაშრომი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისთვის დაცული დისერტაცია თემაზე „უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის პრობლემები“ და ა.შ. გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ძირითად სამართლებრივ წყაროს წარმოადგენენ: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (Zivilprozeßordnung 32. Aufl. – München: Beck- Texte im dtv, 2000); Wach A. Handbuch des deutschen Zivilprozeßrechts, Leipzig, 1885; Thomas H. Putzo H. Zivilprozessordnung, Kommentar. 25. Aufl. 2005 და ა.შ. რუსული ლიტერატურიდან ნაშრომში გამოყენებულია: Осокина Г.Л. Гражданский процесс, Общая часть, М., 2003; Добровольский А.А. Иванова С. А. 1979, Основные проблемы исковой формы защиты права. Москва, [Изд-во Моск. ун-та](#), Гурвич М.А. Право на иск//Избранные труды, Т.1 Краснодар, 2006 და სხვ.

კვლევა, სხვა მეთოდებთან ერთად, განხორციელდა შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, სახელდობრ გაანალიზებულია- გ.ს.ს კანონმდებლობა. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში სასამართლო წესით დაცვის უფლება (სარჩელის უფლება) დაინტერესებული პირის პროცესუალურ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომელიც გარანტირებულს ხდის მის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. აღნიშნული უფლებამოსილება გამყარებულია არა მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით, არამედ სხვა ნორმატიული აქტებითაც.

სწორი დასკვნების გამოსატანად, თემაზე მუშაობისას ამოსავალს წარმოადგენდა სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, რომელშიც არსებითი ადგილი უკავია ადამიანის სამართლებრივ დაცვას, კერძოდ, პირის სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვას სასამართლოს გზით.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ძირითადად ზოგადი და კერძო სამეცნიერო კვლევის მეთოდები (ანალიზის, განზოგადების, კლასიფიკაციის, სისტემურ-სტრუქტურული, შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, ლოგიკური და სხვა). კვლევა განხორციელდა დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. მარტოდენ თეორიული ანალიზი, პრობლემების პრაქტიკული ასპექტების ანალიზის გარეშე, სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან სამოქალაქო პროცესი პრაქტიკული მეცნიერებაა.

შედარებითი ანალიზისათვის გამოყენებულია იმ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და ლიტერატურა, რომელთაც სარჩელთან დაკავშირებით დიდი ტრადიცია და გამოცდილება აქვთ.

კვლევის ისტორიული მეთოდი გამოყენებულია სარჩელის ინსტიტუტის განვითარების შესასწავლად (ისტორიულ ჭრილში). ნაშრომში აღწერილია რომის სამართლიდან არსებული პირველ საწყისები სარჩელის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბებული და გავრცელებული დოქტრინალური მოსაზრებები. წარმოჩენილია სარჩელის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა განვითარების სხვადასხვა სტადიაზე როგორც საქართველოსთვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

შედარებით - სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით გამოვავლინეთ სარჩელთან დაკავშირებით არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები საერთო სასამართლოებთან მიმართებით. აღნიშნული თვალსაზრისით შევადარეთ ქართული და უცხოური სამართლებრივი სისტემები; პარალელები გავავლეთ ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ძირითად თავისებურებებთან და სხვ.

ლოგიკური ანალიზის მეთოდით ვეცადეთ გამოგვევლინა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, წარმოგვეჩინა სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზი, განგვესაზღვრა მათი აღმოფხვრის გზები.

კვლევაზე მუშაობის პერიოდში გავეცანი არსებულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე რეალურად არსებული პრობლემების უკეთ გაანალიზების მიზნით სხვადასხვა პერიოდში

გავიარე საადვოკატო პრაქტიკა, რითიც მომეცა საშუალება, უშუალოდ შემესწავლა და დავეკვირვებოდი სისტემაში არსებულ ხარვეზებს; ასევე ინტერვიუს მეშვეობით შევეცადე მიმელო უშუალო ინფორმაცია პრაქტიკაში არსებული პრობლემების შესახებ. გავესაუბრე როგორც მოქმედ, ასევე ყოფილ, მოსამართლეებს და ადვოკატებს; ინფორმაციის მოძიებისა და გადამუშავების საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეყო ის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომლებიც თან ახლავს სარჩელს. შევისწავლეთ სპეციალური ლიტერატურა და მათი ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ არსებული პრობლემების მოგვარების გზები.

კვლევის შედეგები

- კვლევის შედეგად გამოვლინდა სარჩელის ინსტიტუტის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე უარყოფითი ზემოქმედების მომხდენი ფაქტორები.
- პრობლემის შეფასების შედეგად გამოიკვეთა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის ხარვეზები, მომზადდა წინადადებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის მიზნით.
- მოქმედი სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სარჩელის ინსტიტუტის განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

კვლევა მოიცავს ჩვენს მცდელობას არსებული მასალების, პრაქტიკის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე წარმოგვედგინა სარჩელთან დაკავშირებული პრობლემატიკა სისტემატიზებული სახით. ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნას კანონშემოქმედებითი და პრაქტიკული მიმართულებით, სასწავლო - საგანმანათლებლო თვალსაზრისითა სარჩელის ინსტიტუტთან და მასში შემავალ მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომის მეცნიერული სიახლეებია:

- გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საქართველოში სასარჩლო წარმოების განვითარებასთან და დაისახა მათი აღმოფხვრის გზები.
- ბოლო პერიოდში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი გახდა იმ პირობების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც დღემდე სადავოა მეცნიერთა შორის და არც

პრაქტიკაში არსებობს ერთიანი მიდგომა მათ მიმართ. საერთაშორისო კანონმდებლობებისა და ნორმატიული აქტების შესწავლის საფუძველზე წარმოდგენილი და დასაბუთებულია შესაბამისი რეკომენდაციები სასარჩელო წარმოებასთან დაკავშირებით შესაბამისი სრულყოფილი დანაწესების არსებობისათვის.

- ნაშრომში საფუძვლიანად არის შესწავლილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების იურიდიული ლიტერატურა გავლებულია პარალელები და შემოთავაზებულია კონკრეტული წინადადებები საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ქართულ კანონმდებლობაში გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო ნორმების სრულყოფას და გააუმჯობესებს პირთა უფლებების დაცვას.

თავი I. სასარჩელო წარმოების არსი

სამოქალაქო პროცესის, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანი და ამოცანები განისაზღვრება საერთო მართლმსაჯულების მიზნითა და ამოცანებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებულია, რომ „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლო მოწოდებულია, ყველა ზომით დაიცვას მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებები და ინტერესები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმავე, მეორე მუხლის მეორე ნაწილში, ნათქვამია: „განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით“. სასამართლოში საქმეთა დროულად და სწორად გადაწყვეტა თავისთავად უწყობს ხელს კანონიერების განმტკიცებას.(11,19-20)

სამოქალაქო სამართალწარმოების მთავარი ამოცანა არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი სადავო ან დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამართლიანად და დროული განხილვა-გადაწყვეტის გზით. საქმის „სწორი“ განხილვა და გადაწყვეტა გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილებები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა იქნას მიღებული. დროულად განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა კი გულისხმობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას.(99,14) „სწორი“ და დროული სასამართლო განხილვა გულისხმობს - გონივრული ბალანსის დაცვას სასამართლო განხილვასა და პროცესში ჭეშმარიტების დადგენას შორის, რომლის შედეგიცაა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და მხარეთა შორის საბოლოოდ დავის დასრულება.(99,15)

სამოქალაქო პროცესი არ მთავრდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანით და სააღსრულებო ფურცლის გაცემით მისი იძულებითი აღსრულების მიზნით. ევროპის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში იქნა მითითებული, რომ „სასამართლო გადაწყვეტილების სწორი და დროული აღსრულება უნდა ჩაითვალოს „სასამართლოს“ ძირითადი არსის განუყოფელ ნაწილად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი იქნება სასამართლოსთვის ილუზია“. (158)

ამრიგად, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვა არ შეიძლება ჩაითვალოს ქმედითად, თუკი დროულად არ აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილებანი, _ სწორედ ეს წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის მიზანს.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა სამართალწარმოების სახეებთან დაკავშირებით. მაგალითად, რუსეთში, ტრადიციული მიდგომიდან გამომდინარე, სამართალწარმოების სამი სახე გამოიყოფა: *სასარჩელო, უდავო და გამარტივებული* წარმოება.(106,83-89) ამიტომ აღნიშნავენ, რომ ასეთი დაყოფის საფუძველია საქმის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი, რომელიც კარნახობს იმის აუცილებლობას, რომ დადგინდეს სხვადასხვა კატეგორიის საქმის განხილვის თავისებურებანი. (106,83) გრომოშინა გამოყოფს სამართალწარმოების სამ სახეს: სასარჩელო, უდავო და საჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე წარმოშობილი საქმეების წარმოებას. რაც შეეხება ამგვარ დაყოფას, კრიტერიუმების შესაბამისად დაყოფა ხდება „ საქმეთა არა მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნით, არამედ თავად ამ სამართალწარმოების მიზნისა და ამოცანის შესაბამისად.(84,26-27) გამარტივებულ წარმოებაზე კი აღნიშნავს, რომ იგი არის პროცედურა, სამოქალაქო წარმოების ალტერნატივა, მაგრამ არა როგორც სამართალწარმოების ცალკე სახე. (84,28-29) ბოლო დროს იურიდიულ ნაშრომებში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილ სახეებისა, დამატებით მოხსენიებულია წარმოების სპეციალური სახე, რომელიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას.(102,14)

სასარჩელო წარმოება სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი სახეა. მოთხოვნათა უმეტესობა წამოყენებულია ისეთი ურთიერთობებიდან, რომლებზეც არსებობს უფლების შესახებ დავა, ამიტომ სამოქალაქო საქმეებიდან უმეტესობა სასარჩელო საქმეებია. სასარჩელო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები ზოგადი ხასიათის წესებია მთლიანად სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კანონით არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციალური გამონაკლისი ან რაიმე დამატებითი წესები, მაშინ ნებისმიერი სამოქალაქო საქმე ამ წესებით განიხილება.

უფლების დაცვის სასარჩელო ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

1) მხარის დარღვეული ან სადავო უფლებიდან გამომდინარე მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის, ე.ი. სარჩელის არსებობა, რომელიც უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს;

2) უფლების შესახებ დავის არსებობა;

3) ორი, ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარის არსებობა, რომელთაც კანონი ანიჭებს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უფლებამოსილებასაც.(91,78)

როგორც აღინიშნა, სასარჩელო წარმოების აღმვრის სამართლებრივი საშუალება სარჩელია. სარჩელი დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვის უმნიშვნელოვანესი საპროცესო საშუალებაა, ხოლო იმ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ამ უფლების დაცვა, სასარჩელო ფორმა ეწოდება.(25,294) სასარჩელო წარმოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი აღიძვრება სასამართლოში სარჩელის შეტანით; იგი მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა სისტემით; მიზნად ისახავს უფლების შესახებ დავის განხილვასა და გადაწყვეტას; მოწოდებულია გადაწყვიტოს სასამართლოსადმი უწყებრივად ექვემდებარე საქმეები, რომლებიც წარმოშობილია იმ სამართალ ურთიერთობებიდან, რომლებშიც მხარეებს თანასწორი მდგომარეობა უკავიათ და, შესაბამისად, არ იმყოფებიან ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ხასიათის ურთიერთობებში; სასარჩელო წარმოების მიზანია კანონით გათვალისწინებული საშუალებებით უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. იმისათვის, რომ სამართლებრივი დავა სამოქალაქო სასარჩელო წესით განხილვის საგანი გახდეს, აუცილებელია, რომ მოდავე მხარეები ერთმანეთთან სამართლებრივად თანასწორ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ასეთი ურთიერთობები კი დამახასიათებელია კერძო სამართალს მიკუთვნებული დარგებისათვის.

ამრიგად, სასარჩელო სამართალწარმოების წესით განიხილება კერძო-სამართლებრივი ხასიათის დავები.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება იყოფა სასარჩელო (ზოგადი) და განსაკუთრებულ წარმოებებად. სასარჩელო წარმოება იწყება მოსარჩელის მიერ სასამართლოში სარჩელის (Der Anspruch) წარდგენით. მიუხედავად იმისა, მოსარჩელის მხრიდან დასაბუთებულია თუ არა მოთხოვნა, იგი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველია. სწორედ ამით (სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანით) მოსარჩელე იღებს შესაბამის სამართლებრივ დაცვას სარჩელის დაკმაყოფილებით ან სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმით (სარჩელის დაუკმაყოფილებლობით). აქედან გამომდინარე, სასარჩელო წარმოება წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობას მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების თუ მასზე უარის თქმის შესახებ.

1.1 სარჩელის ცნება

თანამედროვე სამართლის ქვეყნებში უფლების კატეგორია იკავებს ცენტრალურ ადგილს, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც საქართველო. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ამოცანა არის სწორედ უფლების დაცვა. ცხოვრებისეული სინამდვილე აჩვენებს, რომ მხოლოდ კანონში უფლების განმტკიცება არ არის საკმარისი მისი შესაბამისი სახელმწიფო იძულების მექანიზმების განმტკიცების გარეშე. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება იქნება შეუძლებელი, თუკი არ იქნება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო იძულების მექანიზმები.(55,49)

სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელი ტრადიციულად განიხილება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი და პირთა დარღვეული უფლებისა და ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საშუალება. ამ კვლევის მიზნისათვის, სწორედ სარჩელის კატეგორიისა და სარჩელის უფლების არსი და სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს ძირითად პრობლემას.

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს „სარჩელის“ ცნებას, მაგრამ თვითონ ტერმინი „სარჩელი“ ძალზე ხშირად გამოიყენება იურის-

პრუდენციაში. დოქტრინაში აზრთა სხვადასხვაობაა სარჩელის ცნებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ნაწილი სარჩელს განიხილავს მხოლოდ როგორც უფლების დაცვის თაობაზე სასამართლო ორგანოთა საქმიანობის აღძვრის საშუალებას, გამორიცხავენ რა მასში მატერიალურ-სამართლებრივ ნიშანს (ანუ მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხისადმი).(31,74) მეცნიერთა მეორე ნაწილი კი გვამღევს სარჩელის ორ ცნებას: *სარჩელი პროცესუალური გაგებით*, ანუ როგორც სასამართლოსადმი დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად მიმართვა და *სარჩელი, მატერიალური გაგებით*, ანუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი. მატერიალური გაგებით, სარჩელი არის სასამართლოს მიერ დაცული სამოქალაქო უფლება .

დოქტრინაში გვხვდება აზრი, რომლის თანახმადაც, სარჩელი მოსარჩელის შუამდგომლობაა სასამართლოსადმი, მისი სამართლებრივი დაცვის შესახებ. ზოგიერთი იურისტი კი მიიჩნევს, რომ სარჩელი არის თვითონ მოთხოვნა, უფლება, რომელიც დაუყოვნებლივ იძულებით უნდა განხორციელდეს მოვალესთან მიმართებით. ამ გაგებით, სარჩელის ცნება გამოიყენება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი კატეგორია.

„სარჩელის“ ცნების განსაზღვრების საკითხში არსებული აზრთა ეს სხვადასხვაობა აიხსნება არა მხოლოდ სარჩელის კატეგორიის სირთულით, არამედ აგრეთვე იურიდიული ტექნიკის არასრულყოფილებითაც, როცა მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთი და იგივე ტერმინი გამოიყენება სხვადასხვა ცნების აღსანიშნავად. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ტერმინით „სარჩელი“ აღინიშნება მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით (მაგალითად, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი, 41-ე მუხლი, 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი, მე-4 კარი, 23-ე თავი და სხვა). როგორც არ უნდა განისაზღვროს სარჩელის ცნება, ერთი რამ ფაქტია, რომ სარჩელი არსებობს იქ, სადაც სასარჩელო წარმოებაა. სარჩელის წარდგენა სასარჩელო წარმოების აღძვრის საფუძველია. სამოქალაქო საქმისწარმოებას სასამართლო შეუდგება დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო უფლებათა დაცვა კი სასამართლოს მიერ უფლების დაცვის სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. (25,295) სარჩელი უფლების დაცვის საპროცესო საშუალებაა ისეთ შემთხვევებში, როცა მხარეთა შორის წარმოიშვა მატერიალურ-სამართლებრივი დავა, ე.ი. როცა დაირღვა უფლება ან იგი სადავოდაა ქცეული, ან არსებობს მისი დარღვევის საფრთხე. უნდა ითქვას, რომ ხშირად დარღვეული უფლების დაცვასთან (აღდგენასთან) ერთად

ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვაც. სსკ-ის მე-2 მუხლში საუბარია დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესის დაცვის შესახებ. ამასთან, სამართლებრივი ინტერესი დაცვის დამოუკიდებელი ობიექტიც შეიძლება იყოს. მაგალითად, მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლოს უფლება აქვს, გადაუხვიოს მათ საერთო ქონებაში წილის თანაბრობის პრინციპს ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესებიდან ან არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე (სსკ-ის 1168-ე მუხლი).

სასამართლოსადმი მიმართულ მოსარჩელის მოთხოვნას, რომ სასამართლომ განიხილოს მასსა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავა, ყოველთვის თან ერთვის მოპასუხისადმი მიმართული მოთხოვნაც. ასეთი მოთხოვნის გარეშე არ არის სარჩელი, არ არის სასამართლოს განხილვის საგანი. ამრიგად, სასარჩელო განცხადება, რომელშიც გამოხატულია სასარჩელო მოთხოვნა, ყოველთვის მიმართულია არა მარტო სასამართლოსადმი, არამედ კონკრეტული მოპასუხისადმი.(31,76) სწორედ, ორი მოთხოვნის, კერძოდ, მატერიალურ-სამართლებრივი (მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი) და საპროცესო-სამართლებრივი (მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოსადმი) მოთხოვნებისაგან შედგება სარჩელი, ერთ-ერთის გარეშე სარჩელი არ არსებობს. (25,296) თუ სხვაგვარად განიხილება სარჩელი, მაშინ შეუძლებელი იქნება ისეთი ინსტიტუტების სამართლებრივი ბუნების გაგება, როგორცაა შეგებებული სარჩელი, სარჩელის ფასი (რომელიც სწორედ მოთხოვნისაგან დგინდება), სასარჩელო მოთხოვნების გაერთიანება ან გამოყოფა (სსკ-ს 178-ე, 182-ე, 188-ე მუხლები და სხვა). (25,297)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებულია პოზიცია, რომლის თანახმად, სარჩელი არის საპროცესო კანონით დადგენილი წესით სასამართლოში განსახილველად და გადასაწყვეტად წარდგენილი ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მეორისადმი, რომელიც გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და ეფუძნება იურიდიულ ფაქტებს. (25,297)

როგორც ცნობილია, გერმანიაში სარჩელის თეორიის ფუძემდებელი არის ისტორიული სამართლის სკოლის დამაარსებელი სავინი, რომელმაც პირველმა მიუთითა მის მატერიალურ ბუნებაზე და ჩამოაყალიბა თეზისი იმის შესახებ, რომ თავად სარჩელი მატერიალური უფლების განვითარების სტადიას წარმოადგენს, რომელიც წარმოჩნდება მისი პროცესუალური განხორციელებისას. (56,46) სავინის თეორია გახდა პირველი ქვაკუთხედი, საფუძველი, შემდგომი დისკუსიისა, რომელსაც ჰქონდა განვითარების მნიშ-

ვნელოვანი ეტაპები. ვინდშიაიდი თავის ნაწარმოებში „სარჩელი რომის სამოქალაქო სამართალში“ ადარებს და განმარტავს ძირითად განმასხვავებელ ნიშნებს ძველი რომის და გერმანელი იურისტების შეხედულებებს შორის. თანამედროვეობაში სარჩელის ბუნებასთან დაკავშირებით და ასევე სამოქალაქო უფლების ფორმირების პროცესთან მიმართებით არსებულ შეხედულებებში ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ძველი რომის სამართლისაგან გამოიხატა იმაში, რომ რომის იურისტებისათვის როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობდა უფლება სარჩელის გარეშე. ეს ნიშნავდა, რომ თავად სუბიექტური უფლებამოსილება არ წარმოშობილა სარჩელის შეტანამდე და სასამართლოს მიერ მასთან მიმართებით ფაქტის დადგენამდე. რომის სამართალში სარჩელი განიხილებოდა, როგორც პირველი ნაბიჯი მოსარჩელის უფლების ცნობამდე, ამავე დროს, გერმანიის სასამართლოები ვინდშიაიდის დროს მოქმედებდნენ ისევე, როგორც თანამედროვეობაში, საქმის განხილვა ხდებოდა კანონის საფუძველზე და სწორედ კანონი ყოფდა პირს უფლებების შესაბამისად, რომლებიც არსებობდა სასამართლო პროცესის გარეშე. ამ მხრივ, იურიდიულ დოქტრინაში ძველი რომაული სარჩელთა სისტემამ შეიცვალა თავისი ხასიათი, დაკარგა აბსოლუტური დასაბუთების ფუნქცია, პირის უფლების არარსებობის ფაქტის ცნობა გამოიხატა უფლების კანონის შესაბამისი დაცვით.(70,12)

თანამედროვე სამოქალაქო სამართალზე რომის სამართლის გავლენით აიხსნება ის ფაქტი, რომ სარჩელი წარმოადგენს უფლების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ საშუალებას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში სასამართლო იყო ერთ-ერთი ორგანო, რომელიც მოწოდებული იყო განსაზღვრული პროცესუალური წესით განეხილა კონკრეტულ უფლებასთან დაკავშირებული დავები. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იურიდიული ლიტერატურაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია სარჩელის ისეთ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც, სარჩელი ეს არის დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა.(31,73)

აღნიშნული რთული მომენტები დისკუსიაში წარმოშობილი სარჩელის კონცეფციის ირგვლივ და სარჩელის უფლება გახდა გერმანელი იურისტის მუტერის (51,47) თეორიის საფუძველი, რომელიც განიხილავდა სარჩელის კატეგორიას და სარჩელის უფლებას როგორც ორ სხვადასხვას, თავისი ბუნებითა და უფლებამოსილებათა შესაბამისად, ერთი განეკუთვნება საჯარო სამართალს და მეორე - კერძო სამართალს, მაგრამ თითოეული მათგანი ემსახურება მეორის ვარაუდს. ამ თეორიის წინ წამოწევამ წარმოშვა უფლების დუალისტური

არსის გაგება, დაყოფა ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ ასპექტად, თუმცა ისინი წარმოადგენდნენ არსებითად განსხვავებულს თავისი არსის გათვალისწინებით: მატერიალურს, რომელსაც აქვს სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნება და პროცესუალურს, რომელიც გულისხმობს ამ უფლების დაცვას და აქვს საჯარო-სამართლებრივი ხასიათი.(51,48)

მუტერის მიერ ჩამოყალიბებულმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომ დისკუსიას, რომლის შესაბამისადაც წარმოშვა დეგენკოლბის სარჩელის უფლების აბსტრაქტული თეორია (abstractes Klagrecht).(43,54) აღნიშნული კონცეფცია უარყოფდა იმ იდეას, რომლის თანახმადაც, სარჩელის უფლება მატერიალური უფლებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. უფლების ორმხრივი ბუნების შესახებ თეზისის განვითარებისას, დეგენკოლბმა ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომლის საფუძველზეც უფლების სასამართლო წესით დაცვა არაა დამოკიდებული მატერიალურ უფლებაზე და მიმართულია სასამართლოსადმი კონკრეტული მოთხოვნისაკენ. (43,54) სარჩელის უფლება წარმოდგენილი იქნა, როგორც საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნა სასამართლოსადმი საქმის მოსმენის თაობაზე.(43,54)

აღნიშნული თეორია მალე ფართოდ გავრცელდა, მაგრამ ასევე მალე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში ამ თეორიის თაობაზე დაიწყო კამათი, რომელიც ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ სარჩელის აბსტრაქტული უფლება წარმოადგენს უფლებას იმდენად, რამდენადაც არ ახდენს უფლებამოსილი პირის სამართლებრივი სფეროს გაფართოებას სხვა პირებთან მიმართებით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის პოტენციურ შესაძლებლობას, სამოქალაქო პროცესუალური უფლება უნარიანობის გზით.(76,70)

განსაკუთრებული კრიტიკა გამოიწვია ამ ჩარჩოებიდან სარჩელის უფლების იდეის ამოღებამ, როგორც უფლებისა - მოსმენილ იქნას პირი სასამართლოს მიერ. ამრიგად, რუსი პროცესუალისტი გორდონი, რომელიც ემხრობოდა აღნიშნულ იდეას, თავის ნაშრომში - „აღიარებითი სარჩელები“ - აღნიშნავდა: „სარჩელის უფლებას უნდა ჰქონდეს აუცილებელი შინაარსი, რომელიც გულისხმობს ისეთი საშუალების გამოყენებას, როგორც არის სარჩელი, ... თუმცაღა, „საქმის მოსმენა“ უკვე თავისთავად არის, რაც სურს მოსარჩელეს. თუკი საქმე უნდა მოისმინონ იმის გამო, რომ სასამართლოს თავიდანვე არ შეუძლია სწორად და ნათლად განჭვრიტოს, იგი იძულებულია ამ მიზნით „მოისმინოს საქმე“ (გაიაროს ეს სტადია), მივიდეს იმ ეტაპამდე, რომ შესძლოს სახელმწიფოს წინაშე შეასრულოს ვალდებულება და

მოსარჩელეს მისცეს ის, რასაც იგი ითხოვს სარჩელის შეტანის გზით და ეს ყოველივე მისი უფლებამოსილების საფუძველზე”.(80,475)

„მომდევნო პერიოდში დისკუსიის საგანი გახდა სარჩელის უფლების კონკრეტული თეორია (Konkretes Klagerecht), რომლის ფუძემდებელია ვახი. კონკრეტულობის თეორია განპირობებული იყო შესაბამისი ისტორიული წინამძღვრებით, ასეთი იყო, ერთი მხრივ, - ვინდშიიდისა და მუტერის შეხედულებები უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს კერძო და საჯარო-სამართლებრივი დაცვის ურთიერთკავშირს და, მეორე მხრივ, - სარჩელის უფლების აბსტრაქტული უნარი, რომელიც გულისხმობს საფუძვლიანი, ნამდვილი უფლების არსებობის მიუხედავად პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს და დაიწყოს პროცესი”.(87,15) აბსტრაქტული სარჩელის უფლების თეორიისაგან მთავარი განსხვავება გამოიხატება იმის ცნობასა და აღიარებაში, რომ სარჩელის უფლებას ფლობს კონკრეტული პირი, რომლის სამოქალაქო უფლება ან კანონიერი ინტერესი იქნა შელახული და ასევე თავად ამ უფლების საგნის არსი, რომლითაც განისაზღვრება სასამართლოს ხელსაყრელი გადაწყვეტილება.(67,19)

1.2. სარჩელის უფლება

არსებობს უფლების ცნების შინაარსის სხვადასხვაგვარი განმარტება, მაგრამ ერთ-ერთი ფართოდ აღიარებული განმარტება ასეთია: უფლება - ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი (დასაშვები) ქცევის ზომა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს იგი. სამოქალაქო უფლების არსი ის არის, რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია.(15,80)

სარჩელის უფლების არსი განუყოფლადაა დაკავშირებული სარჩელის განმარტებასთან. სარჩელი დარღვეული ან სადავო უფლების თუ კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალებაა. სარჩელი განიმარტება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სადავო საკითხი სამოქალაქო პროცესუალური სამართალის მეცნიერებაში. ეს გარემოება, თავის მხრივ, განაპირობა იურიდიულ ლიტერატურაში სარჩელის უფლების არსის შესახებ დისკუსიის არსებობამ.

სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება სარჩელის უფლების განმარტებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება და მისი თეორიულ-სამართლებრივი ანალიზი აუცილებელია, რამდენადაც იგი განსაზღვრავს, ერთი მხრივ, პირის დარღვეულ ან სადავოდ ქცეული უფლების თუ კანონიერი ინტერესის ნამდვილად დაცვის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ - სამართალწარმოების განხორციელების შედეგის საუკეთესო სახეა. (119,242) ეს გარემოება წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოების ეფექტურობის წინაპირობას. უფრო მნიშვნელოვანია მისი მიზანი, რომელიც გამოიხატება უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, აღნიშნული კი მიიღწევა უფრო ხშირად სასარჩელო ფორმის საშუალებით.

ამრიგად, სარჩელის უფლება ხორციელდება სასამართლოში მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის გზით, ამიტომ ის უნდა ჩაითვალოს, როგორც სარჩელის წარდგენის უფლება. თავის მხრივ, სარჩელის უფლების არსებობა და განხორციელება დამოკიდებულია მთელ რიგ წინაპირობებზე, რომლებიც კანონითაა განსაზღვრული. ეს მოსაზრება დასაბუთებულია იმ ცივილისტ-პროცესუალისტების მიერ, რომლებიც განსაზღვრავენ სარჩელს, როგორც სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. (113,159-160)

განსხვავებული აზრის მომხრენი ეფუძნებიან სარჩელის უფლების კატეგორიის ორმხრივ განმარტებას. მათი აზრით, უნდა განვასხვავოთ : ა) პროცესუალურ სამართალში სარჩელი, როგორც სასამართლო წესით დაცვის უფლებამოსილება ან სარჩელის წარდგენის უფლება; ბ) მატერიალურ სამართალში სარჩელი, როგორც სამოქალაქო უფლება, სასამართლოს მხრიდან მოთხოვნილ იქნას იძულებითი განხორციელება ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფლებად, სასამართლოს მეშვეობით მოთხოვნილ იქნას მოპასუხის მიმართ მოსარჩელის წინაშე ვალდებულების შესრულება.

ამ მხრივ, ეს ავტორები სარჩელის უფლების განმარტების ორბუნებოვნებას აყალიბებენ, როგორც: ა) სარჩელის უფლება პროცესუალური განმარტებით; ბ) სარჩელის უფლება თავად ამ სიტყვის მატერიალური გაგებით.(114,154-155) ანალოგიურ პოზიციას ემხრობა გურვიჩი.(86,47) ამრიგად, მისი შეხედულების თანახმად, პროცესის დაწყება და დასრულება ხორციელდება განსაზღვრული წესების შესაბამისად, აუცილებელი წინაპირობების არსებობისას, რა დროსაც ყველას შეუძლია მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით.

ამ მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაზე ავტორი განმარტავს მას ფართოდ, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებით, როგორც სახელმწიფოს ზოგად ფუნქციას; პირის შესაძლებლობას, ისარგებლოს მართლმსაჯულებით. სარჩელის წარდგენის უფლებაში (სარჩელის უფლების პროცესუალური აზრით) გულისხმობს უფლებას, სადავო სამოქალაქო-სამართლებრივი დავის საბოლოოდ სასამართლო წესით განხილვის და გადაწყვეტის მიზნით.

გურვიჩის აზრით, სარჩელის შეტანის უფლება არ არის ერთადერთი ფორმა, რომელშიც გამოიყოფა კანონით უზრუნველყოფილი ზოგადი შესაძლებლობა - ისარგებლოს მართლმსაჯულებით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით. ასეთ ფორმას განეკუთვნება ასევე სარჩელის წარდგენის უფლებასთან ერთად: *სარჩელზე პასუხის უფლებაც, დაწყებულ პროცესში მონაწილეობის უფლება, სარჩელის უზრუნველყოფის უფლება, გადაწყვეტილების გასაჩვრების უფლება, იძულებითი შესრულების მექანიზმთა (ზომების) გამოყენების უფლება.* სასამართლოსადმი მიმართვის ყველა ეს ფორმა წარმოადგენს მისი განვითარების ფაზებს საქმის წარმოების პროცესში. პირველი მათგანი - არის **სარჩელის უფლება**, პროცესუალური გაგებით (სარჩელის წარდგენის უფლება). ეს უკანასკნელი მიმართულია სამოქალაქო საქმის საფუძველზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისაკენ. სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა, მისი შინაარსისაგან დამოუკიდებლად, იმის მიუხედავად, მოსარჩელის სასიკეთოდაა თუ არა ის, წარმოადგენს სარჩელის წარდგენის უფლების აუცილებელ მიზანსა და საგანს.

სარჩელის უფლება, მატერიალური გაგებით (მოთხოვნა), გურვიჩის აზრით, იწოდება სამოქალაქო უფლებად, იმის შესაბამისად, რა უფლებამოსილებაც მას გააჩნია, აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულება. ამ მხრივ, იძულებითი წესით მოქმედების (მოქმედებისაგან თავის შეკავების) განხორციელების უფლებამოსილება, გურვიჩის აზრით, წარმოადგენს არსებითს, სამოქალაქო უფლების განუყოფელ ნიშან-თვისებასაც. ამ თვისების განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ თუმცა ის ზოგადად დადგენილი პირობების დროს ხორციელდება, როდესაც უფლებაზე დავა ჯერ კიდევ არ არის წარმოშობილი და შემოიფარგლება მხოლოდ არასასარჩელო წესით მხარეთა შორის დავაში. „აღნიშნული პირობების დადგომისას, როგორც გურვიჩი აღნიშნავს, კრედიტორი სასამართლო წესით მოითხოვს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.“(86,145) გურვიჩი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სარჩელის უფლების (ტერმინის) კანონში გათვალისწინებით მისი

მატერიალურ-სამართლებრივი განმარტება უნდა გულისხმობდეს იძულებითი განხორციელების და მოთხოვნის შესაძლებლობას. (86,213)

არ შეიძლება, დავეთანხმოთ გურვიჩის მოსაზრებას, რომ უფლების უნარი, მივიდეს ზემოაღნიშნულ მდგომარეობამდე, განხორციელდება სამოქალაქო სამართლის მეშვეობით“. დობროვოლსკი აღნიშნავდა, რომ დავის შემთხვევაში მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს, მხოლოდ სასარჩელო წარმოებაში სასამართლოს მეშვეობით.(91,78)

შეგლოვის პოზიციით, სარჩელის უფლება პროცესუალური აზრით, წარმოადგენს სასამართლოს უზრუნველყოფილ ვალდებულებას, მოსარჩელის შესაძლებლობას, კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით დაასაბუთოს სარჩელის მართლზომიერება (სისწორე). ეს უფლება აქტიურია მთელი პროცესის განმავლობაში. ავტორი აღნიშნავს, რომ სარჩელის წარდგენის უფლებისაგან განსხვავებულია (სასამართლოთი დაცვის უფლება), სარჩელის უფლება პროცესუალური აზრით. სარჩელის წარდგენის უფლება შეიძლება გამოყენებული იყოს დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვით დაცვის თაობაზე. ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ ამ პირის (დაინტერესებული პირის) მოქმედებაზე, როდესაც სარჩელის უფლების განხორციელება პროცესუალური აზრით, მოსარჩელის მოქმედებებთან არაა დაკავშირებული, მოსარჩელეს შეუძლია არც კი გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები აქტიურად, მთელი პროცესის მსვლელობის დროს მხარი დაუჭიროს სარჩელს, მაგრამ სასამართლომ თავისი ვალდებულების შესაბამისად განიხილოს საქმე და გამოიტანოს გადაწყვეტილება.

სწორედ სასამართლოს ვალდებულებით გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენს სარჩელის უფლებას პროცესუალური აზრით. (121,123) ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეგლოვი გამოყოფს ისეთ უფლებამოსილებებს, როგორცაა: *მოსარჩელის მოქმედების უფლება* და აღნიშნულს მოიხსენიებს, როგორც *სარჩელის წარდგენის უფლებას*. ამასთანავე, უფლება ინტერპრეტირდება, როგორც ორი სხვადასხვა უფლებამოსილების ერთიანობა: მოთხოვნის უფლებისა (პირის მოქმედების უფლება) და დაცვის საშუალების უფლების.

ვილიპოვი სწორად აღნიშნავდა, რომ ისეთი უფლების განხორციელება, როგორც არის **უფლების სასამართლო წესით დაცვა**, სამოქალაქო პროცესში მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან და სასამართლო საქმიანობის დაწყებასთან.(117,20)

შეგლოვი და გურვიჩი განმარტავენ, რომ იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა წარმოადგენს უფლების განუყოფელ ნიშანს, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელისა, მაგრამ ამასთანავე, დარღვეული უფლების დაცვა ხორციელდება არა ავტომატურად: მას თავისი მექანიზმი აქვს, ე.ი. წარმოადგენს თავდაცვითს, რომელიც კრამენნიკოვას აზრით, მოიცავს პირის უნარს, მოითხოვოს იძულებითი განხორციელება (შესრულება) სასამართლოს მეშვეობით.(98,5)

ოსოკინა სარჩელის უფლებას განიხილავს ორ დამოუკიდებელ ასპექტში: სარჩელის წარდგენის უფლება (პროცესუალური ასპექტი) და სარჩელის დაკმაყოფილების უფლება (მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი).(107,148) მისი შეხედულებით, სარჩელის უფლება, პროცესუალური აზრით, სარჩელის უფლების მატერიალური გაგებისაგან განსხვავდება წარმოშობის საფუძვლით. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებით, ასევე იმ შედეგებით, რომლებიც დგება ამა თუ იმ უფლებამოსილებათა არსებობისას.

გურვიჩისაგან განსხვავებით, თუკი ოსოკინა განიხილავს სარჩელის უფლებას მისი პროცესუალური გაგებით, როგორც უფლების დაცვის მოთხოვნას სასამართლო წესით, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილების უფლება წარმოადგენს პროცესის დადებითად წარმართვის შესახებ უფლებას. არსებობს მოსაზრებაც, რომ სარჩელის უფლება, როგორც სასამართლოს წესით დაცვის შესახებ უფლება, არსებობას აგრძელებს სასარჩელო ხანდაზმულობის გასვლისაგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა იგი საბოლოოდ შესაბამის შედეგს.(98,86-87)

სარჩელის უფლება დამოუკიდებელ უფლებას წარმოადგენს და ისევე, როგორც ყველა უფლება, ეკუთვნის პირს კონკრეტულ საქმეზე შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. სარჩელის წარდგენის უფლება და სარჩელის დაკმაყოფილების უფლება - ეს ორი უფლებამოსილებაა, რომელიც შედის სარჩელის უფლების შემადგენლობაში.(90,94)

სარჩელის შეტანა, მათ შორის, მესამე პირის მიერ სასამართლოში მიმდინარე დავის საგანზე თავისი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრა, არის უფლება და არა მოვალეობა, ეს ფუნდამენტური უფლება დამკვიდრებულია სსკ-ის მე-2 და 88-ე მუხლებით. ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც გაიგებს, რომ სასამართლოში მიმდინარეობს დავა მხარეთა ანუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და აქვს თავისი ინტერესები ამ დავის საგნის მიმართ, შეუძლია, ეს ინტერესები დაიცვას ორი გზით:

1) შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, სანამ იგი მიიღებდეს გადაწყვეტილებას და განაცხადოს თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა ამ დავის საგნის მიმართ მთლიანად ან ნაწილობრივ ან

2) დაელოდოს რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო და შემდეგ აღძრას სარჩელი იმ მხარის წინააღმდეგ, რომელსაც სასამართლომ მიაკუთვნა დავის საგანი ან რომლის სასარგებლოდაც მან გამოიტანა გადაწყვეტილება. არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია თვითონ დაინტერესებულ პირზე, ამ მხრივ რაიმე სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს: მას ვერავინ აიძულებს აღძრას სარჩელი და განაცხადოს დამოუკიდებელი მოთხოვნა სასამართლოში მიმდინარე დავის საგანზე და მას ვერავინ ეტყვის უარს სარჩელის მიღებაზე და განხილვაზე იმ მოტივით, რატომ თავის დროზე, ე.ი. სასამართლოს მიერ ამ დავის საგნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებამდე, არ განაცხადა თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნა ამ საგნის მიმართ.(15,152)

იმისათვის, რომ სასამართლომ მიიღოს და განიხილოს მესამე პირის სარჩელი თავდაპირველ სარჩელთან ერთად და გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ ორი სარჩელის მიმართ ერთობლივად, საჭიროა გარკვეული პირობები. ასეთი პირობებია:

ა) დაინტერესებულმა პირმა, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, უნდა მიმართოს სასამართლოს წერილობით ჩამოყალიბებული სარჩელით ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. ზეპირი ან სხვა რაიმე ფორმით დამოუკიდებელი მოთხოვნის წამოყენება დავის საგანზე დაუშვებელია.

ბ) მესამე პირის სარჩელი - ესაა სარჩელი და იგი უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას, რასაც ითვალისწინებს კანონი საერთოდ სარჩელების მიმართ. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ განსჯადობის წესები: მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი დამოუკიდებელი მოთხოვნით დავის საგანზე იმ სასამართლოში, სადაც ეს დავა განიხილება;

გ) მესამე პირის სარჩელი მიმართული უნდა იყოს უშუალოდ დავის საგანზე ან მის ნაწილზე. სხვა საგანზე, რა გინდ ახლო კავშირშიაც არ უნდა იყო იგი დავის საგანთან, მესამე პირის სარჩელი დაუშვებელია;

დ) მესამე პირის სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას მხარეთა პაექრობის დაწყებამდე.

დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის სარჩელი რეგისტრირდება სასამართლოს კანცელარიაში. რეგისტრაციის შემდეგ მოიპოვებს პირი „დამოუკიდებელი მოთხოვნით მესამე პირის“ საპროცესო მდგომარეობას. სასამართლო კანცელარიაში დამოუკიდებელი

მოთხოვნით მესამე პირის სარჩელის რეგისტრაციის მომენტიდან ეს პირი მოიპოვებს ყველა იმ უფლებას, რაც კანონითაა მისთვის გათვალისწინებული.(15,153)

სასამართლომ მესამე პირის სარჩელის მიღებისას უნდა გადადოს საქმის განხილვა. (29,287) მოსამართლე სარჩელის შეტანიდან 5 დღის ვადაში წვეტს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს კანონით დადგენილ მოთხოვნების შესაბამისად. სასამართლოს განჩინებაზე მესამე პირის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

მესამე პირის პროცესში მონაწილეობა უნდა განვასხვავოთ პროცესუალური თანამონაწილეობისაგან, რამდენადაც მესამე პირი ითვლება პროცესის დამოუკიდებელ მონაწილედ და მისი ინტერესები ეწინააღმდეგება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. როგორც პრაქტიკიდან იკვეთება, ზემოხსენებულ პირების პროცესში ჩაბმა გარკვეულ სირთულეებს უქმნის დავის მხარეებს. თუმცა, ცხადია, მათი (მესამე პირების) მონაწილეობა პროცესში საშუალებას იძლევა, უფრო სრულად, ობიექტურად და ყოველმხრივ იქნას საქმის გარემოებები გამოკვლეული და შესაბამისად გადაწყდეს მატერიალურ-სამართლებრივი დავა.

1.3 სარჩელის უფლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისას (საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი)

სარჩელის უფლების განხორციელება, როგორც სასამართლოს წესით დაცვის საშუალება, მნიშვნელოვანია როგორც საწყის ეტაპზე სარჩელის შეტანისას, ასევე საქმის არსებითი განხილვის შემდეგ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისას. მართალია, პროცესუალურად იგი განცხადების სახით წარედგინება, თუმცა თავისი ბუნებით უნდა განიმარტოს როგორც სარჩელი, პირის ხელახალი მოთხოვნა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დავის საგანი გახდა ორჯერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. პირველად 2003 წლის 30 აპრილს იქნა განხილული ამ ნორმათა ურთიერთმიმართება. მოსარჩელები მიუთითებენ, რომ როდესაც მიმართეს სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით, მათ უარი უთხრეს განცხადების განხილვაზე სსსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, რომლის თანახმადაც „გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ“. მოსარჩელეთა თქმით, ვინაიდან გადაწყვეტილების გამოტანიდან აღნიშნული ვადა უკვე გასული იყო, მათ მოესპოთ საშუალება სასამართლოს გზით დაეცვათ თავიანთი ქონებრივი უფლებანი. მოსარჩელეთა წარმომადგენლების განცხადებით, სადავო ნორმით პირს ესპობა შესაძლებლობა თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, თუნდაც რომ აღმოჩნდეს ისეთი გარემოება, რომელიც სადავოს გახდის მისი უფლების ნამდვილობას. 5 - წლიანი ვადის დაწესება არის პირდაპირი დაკანონება უკანონობისა, რაც საერთოდ აზრს უკარგავს მართლმსაჯულების განხორციელებას. პირის კონსტიტუციური უფლება, სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები, დროში არ უნდა იქნას შეზღუდული. მათივე მტკიცებით, აღნიშნულ საკითხს უფრო სწორად აწესრიგებდა 1964 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. იქ არ იყო რაიმე შეზღუდვა, პირს მიემართა სასამართლოსათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით, თუნდაც ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 25-50 წლის გასვლის შემდეგ. ამ კოდექსით დადგენილი იყო 3-თვიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარე უფლებამოსილი იყო, შეეტანა განცხადება გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით. ამ ვადის ათვლა იწყებოდა გარემოების აღმოჩენის დღიდან. დღეს მოქმედმა საპროცესო კოდექსმა კი ეს ვადაც შეამცირა ერთ თვემდე.

მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს სადავო ნორმის გაუქმება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამობის გამო. მოწინააღმდეგე მხარე უთითებდა, რომ კანონმდებელი პირს უსაზღვრავს საკმაოდ ზომიერ ვადას, რათა მან

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართოს სასამართლოს. მისი აზრით, სსსკ-ს 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ვადის გაუქმება შექმნის ერთგვარ პრეცედენტს, რომელიც, თავის მხრივ, ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულ სხვა ვადებზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 426-ე მუხლის სადავო მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა გამართლებულია სამართალში არსებული უფლებრივი წესრიგით. უფლება, როგორც ფასეულობა, არ შეიძლება მუდმივად, განუსაზღვრელად, საექვოობის (საცილოობის) ხასიათს ატარებდეს. თუკი კანონმდებლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უსასრულოდ დაუშვებდა უფლების საექვოობის შესაძლებლობას, ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა თვით უფლების იდეასთან და საფუძველს გამოაცლიდა სამართლებრივ წესრიგს. უფლების დაუსრულებლად (მუდმივად), მხოლოდ ეპიზოდურად, გარკვეული დროის მონაკვეთებში ნამდვილობა, არ შეესაბამება უფლების არსს. ამიტომაცაა, რომ სადავო ნორმამ მხოლოდ გარკვეული დროით, 5 წლიანი აღმკვეთი ვადით, შემოსაზღვრა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა. სადავო ნორმით გათვალისწინებული აღმკვეთი ვადა სწორედ უფლების იდეის, მისი ნამდვილობის გარანტიას ემსახურება.

მხედველობაშია მისაღები პროფესიონალთა აზრი, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარემ, ბოლოს და ბოლოს, უნდა ჩათვალოს თავისი უფლება დაცულად, იგი არ უნდა იმყოფებოდეს იმ მუქარის ქვეშ, რომ კვლავ რაიმე გაურკვევლობა თუ გაუგებრობა წარმოიშობა მის უფლებებში. ვინაიდან სადავო ნორმით გათვალისწინებული 5-წლიანი ვადის გაუქმება ვერ იძლევა უფლების სუბიექტის საბოლოოდ განსაზღვრის გარანტიას, სწორედ ამიტომ არის გამართლებული მისი არსებობა და ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით დავის დაუშვებლობა.

სასამართლო კოლეგია, მოსარჩელეთა იმ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“, აღნიშნა, რომ ეს უფლება არ გულისხმობს სასამართლოსადმი მიმართვას საპროცესო-სამართლებრივი წესების დაცვის გარეშე. სადავო ნორმა კი არ გამორიცხავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ გარკვეულ პროცესუალურ წესრიგში ათავსებს მას.

ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. ამიტომაც, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის ანალოგიური 586-ე პარაგრაფის მეორე აზნაცის ნორმა ემსახურება სასარჩელო შესაძლებლობების შეზღუდვასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას, რომელიც დგება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით.(166)

სამართლიანობის პოზიციიდან სადავო ნორმის შეფასებისას საყურადღებოა აღნიშნულ კომენტარებში გატარებული ის აზრი, რომ სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ კომპონენტს. ამ დასაბუთების საფუძველზე 2003 წელს აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თუმცა მეტად საინტერესოა ამ გადაწყვეტილებაზე დართული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, იაკობ ფუტკარაძის, განსხვავებული აზრი, რომელმაც, ფაქტობრივად, 2013 წელს თანხვედრა ჰპოვა 2003 წელს მიღებულ გადაწყვეტილებასთან მსგავს საქმეზე. კერძოდ, იგი უთითებდა, რომ ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში ისეა ჩამოყალიბებული, რომ მათი შეზღუდვის დაშვება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვით შესაბამისი მუხლით არის გათვალისწინებული. 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მიმართ კი არავითარი შეზღუდვა არ არის დაწესებული. აქ ყოველგვარი შემზღუდავი დათქმის გარეშე არის აღიარებული, რომ „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. (4) ამიტომ მას მიაჩნია, რომ ამ უფლების ხუთწლიანი ვადით შემზღუდავი სადავო სამართლებრივი ნორმა, თუნდაც მართოდენ ზემოაღნიშნული გარემოების გამო, ანტიკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. ასეთ ვითარებაში შეზღუდვის გამართლება არანაირი არგუმენტით არ შეიძლება. უკიდურეს შემთხვევაში, თუკი შეზღუდვა მართლაც აუცილებელია, მისი დაწესება მხოლოდ მას შემდეგ დაიშვება, რაც კონსტიტუციაში სათანადო ცვლილება იქნება შეტანილი.

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-8 მუხლის ძალით, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ეფექტიანად იქნას აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები. „საერთაშორისო პაქტით

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ სახელმწიფოს ევალუბა, ყველა პირი, რომლის უფლებანი და თავისუფლებანი შელახულია, „უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვა ეფექტიანი საშუალებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა დაუმჯავს ოფიციალურმა პირებმა“ (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი-ა -ქვეპუნქტი). (3) საერთ. პაქტი.

ასევე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლი - „სამართლიანი სასამართლოს (მართლმსაჯულების) უფლება“. (1) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ეს მუხლი უზრუნველყოფს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

ამ და აგრეთვე სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში სასამართლოსადმი მიმართვის აუცილებელი უფლება განიხილება, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ყველაზე უფრო საიმედო და ეფექტური მექანიზმი.

სადავო ნორმით უხეზად ირღვევა მართლმსაჯულების ისეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, როგორც არის სამართლიანობა. პროფესორ იაკობ ფუტკარაძეს მაგალითად მოჰყავს - შემდეგი: მოსამართლემ ერთის სახლ-კარი ქრთამის გამო მეორეს მიაკუთვნა, ხუთი წლის თავზე კი მექრთამე მხილებულია, მაგრამ დაზარალებულს ეკრძალება, რომ თავისი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს.

სამართლიანობა აქ აშკარად იგნორირებულია და ამის უარყოფა შეუძლებელი, თუმცა გადაწყვეტილებაში იგი არსებითად მაინც გამართლებულია. გასამართლებლად სამოტივაციო ნაწილში „საყურადღებო“ არგუმენტის სახით მოყვანილია „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარში“ „გატარებული ის აზრი, რომ სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ კომპონენტს“. (65,54)

სამართლიანობის პრინციპისადმი ასეთი მიდგომა, მისი უგულებელყოფის გამართლება მიუღებელია, რასაც ავტორი იაკობ ფუტკარაძე ასაბუთებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის“ მე-6 მუხლით, რომლითაც აღიარებულია „სამართლიანი სასამართლოს (მართლმსაჯულების) უფლება“: „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ... განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება, თავისი საქმის სამართლიან ... მოსმენაზე“. უფრო ადრე „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ“ დაადგინა, რომ „ყოველ ადამიანს თავისი უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის ... აქვს ... იმის უფლება, რომ მისი საქმე ... სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს

დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“ (მუხ. 10).(20,141) „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (მუხ. 14) პირდაპირ მიუთითებს, რომ „თითოეულს აქვს უფლება ... რომელიმე სამოქალაქო პროცესში თავისი უფლება-მოვალეობის განსაზღვრისას ... მისი საქმე სამართლიანად ... გაარჩიოს ... სასამართლომ“. (2) ანალოგიურ ნორმებს შეიცავს აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი (I, 5.16)(3) და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.

ეს საერთაშორისო სამართლებრივი აქტები შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოსათვის და საკონსტიტუციო სასამართლოსათვისაც უდავოდ უფრო საყურადღებო და გასათვალისწინებელია, ვიდრე გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები.

გადაწყვეტილებაში სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დამადასტურებელ მნიშვნელოვან არგუმენტად არის მიჩნეული ის გარემოება, რომ „აღმკვეთი ვადა“ გვხვდება საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობაში. ასეთი შედარებითი ხასიათის მასალა საინტერესოა და გარკვეულწილად გასათვალისწინებელიც, მაგრამ იგი გადამწყვეტ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულებაა, უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა და მასთან საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისობა.

რაც შეეხება საზღვარგარეთის სახელმწიფოებს, იგულისხმება (სანამ სხვა რამ არ იქნება დამკვიცბული), რომ ამა თუ იმ ქვეყანაში „აღმკვეთი ვადის“ არსებობა არ ეწინააღმდეგება შესაბამის კონსტიტუციას (ასეც რომ არ იყოს, ეს არ არის ჩვენი საზრუნავი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კი უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციის სათანადო დებულების შინაარსით და სწორედ მასთან (და არა საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ნორმებთან) მიმართებით უნდა შეამოწმოს სადავო აქტის (მისი ნაწილის) მართლობიერება. ასე რომ, შესაბამისი ანალოგიების არსებობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში სრულიადაც არ გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ათვლილი ვადით არ იზღუდება, კერძოდ, რუსეთში, მოლდავეთში, ბულგარეთში, სომხეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

აღსანიშნავია, რომ ჩეხეთში გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ვადის დაწესება არ ეხება შემთხვევას, როცა იგი მოსამართლის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად არის გამოტანილი. ანალოგიური შემთხვევები სხვაგანაცაა (მაგალითად, ავსტრიაში, ლუქსემბურგში). ესტონეთში ასეთი ვადა არ შეეხება იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო გადაწყვეტილებას, ხოლო, საერთო წესით, საქმის წარმოების განახლება აღმკვეთი ვადის გასვლის შემდეგაც არ გამოირიცხება („განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეიძლება განმცხადებელს განუხილველად უკან დაუბრუნდეს, თუკი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან გასულია 10 წელი“).(166)

ამგვარად, ავტორი იაკობ ფუტკარაძე ცალსახად უთითებს, რომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, საქართველო იქნებოდა ერთადერთი ქვეყანა, სადაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ათვლილი ვადით არ შეიზღუდებოდა.

„პროცესის უკვდავების“ საწინააღმდეგოდ, ანტიკონსტიტუციური ხელოვნური ბარიერის („აღმკვეთის ვადის“) ნაცვლად მიზანშეწონილია შემუშავდეს სამართლიანი სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც არ შელახავს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას.

შეიძლება, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიზამკით, დაწესდეს, რომ სასამართლო განსახილველად არ მიიღებს განაცხადს, თუკი მიიჩნევს, რომ იგი აშკარად არასაფუძვლიანია ან ბოროტადაა გამოყენებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.

2013 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი კვლავ სსსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა გახდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლთან მიმართებაში. მოსარჩელის მითითებით, შესაძლებელია, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს პირის უფლებების ხელყოფა ისე, რომ თავად მესაკუთრემ არაფერი იცოდეს ამის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მან ხუთი წლის განმავლობაში ვერ შეიტყო ამის თაობაზე, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს და მისი მეშვეობით დაიცვას საკუთარი უფლებები. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ვადა უძრავ ნივთებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გრემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისათვის გაიზრდება 10 წლამდე, სადავო ნორმას კონსტიტუციურობის პრობლემა არ

ექნება. აქვე აღნიშნეს, რომ განსხვავებული სიტუაციაა, როდესაც ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს კონკრეტული სასამართლო დავის მონაწილე მხარეებისათვის. ამ შემთხვევაში პროცესში მონაწილე მხარეთათვის ცნობილია სასამართლოში მათ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით საქმის წარმოების ვადების თაობაზე. თუმცა, როდესაც პირი არ წარმოადგენს კონკრეტულად დავის მონაწილე მხარეს, მეტიც, არაფერი იცის კონკრეტული დავის და სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის, შესაბამისად, სათანადო საპროცესო ვადების შესახებ, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა მასზე საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს.

რაც შეეხება მოპასუხის პოზიციას, მათი მხრიდან აღინიშნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია დაექვემდებაროს გონივრულ შეზღუდვებს. მოპასუხის წარმომადგენელმა ხანდაზმულობის მნიშვნელობაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ზოგადად ხანდაზმულობის ვადის როგორც ინსტიტუტის გაუქმება, არ არის მიზანშეწონილი, თუმცა სადავო ნორმა სსსკ-ს 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში იწვევს იმ პირებისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ აღნიშნული ვადის დინების შესახებ, ასეთი პირებს „ფაქტობრივად, ერთმევათ შესაძლებლობა, დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართონ სასამართლოს, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით მოპასუხისათვის მინიჭებული უფლების შესაბამისად, მოპასუხემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც შეეხება სსსკ-ს 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს. სპეციალისტის მიერ წარდგენილ დასკვნაში კი აღინიშნა, რომ იმ პირისათვის, რომელიც არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე და რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების გარდა, სხვა რაიმე უფლების დაცვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

აღნიშნული არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტილება სავალდებულო ძალის მქონე არ იქნება იმ პირისათვის, რომელიც არ იყო მოწვეული დავის განხილვისას, შესაბამისად, მას არ ექნება პრეიუდიციული მნიშვნელობა, თუმცა ცალსახაა,

რომ ასეთი პირისათვის გარკვეული ვადის დაწესების არარსებობა, უფლების დაცვის უკეთეს შესაძლებლობას აძლევს მას საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში.

მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება სრულად უნდა იქნას გაზიარებული. კერძოდ, მასში აღინიშნა, რომ ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული განხორციელება და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს.

ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობის სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავადი უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II).(123,14)

სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მარტო სასამართლოსადმი ფორმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მოითხოვს, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდეს უფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტური საშუალება. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა იქნება თეორიული, ფიქციური და არარეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად.

„საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის იმგვარად განსაზღვრა, რომელიც პასუხობს სასამართლოს გზით კონსტიტუციური უფლებების ადეკვატურ დაცვას. სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და ამ გზით უფლების დაცვის ეფექტური სამართლებრივი საშუალების მოთხოვნა თანმხვედრი უნდა იყოს სასამართლოს კომპეტენციისა, ადეკვატურად მოახდინოს უფლების დარღვევაზე რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში,

თავად უფლებით სარგებლობა დადგება საფრთხის ქვეშ... „უფლება“ ვერ იქნება პირის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II). (131,1) ამიტომ სასამართლო ხელისუფლების ... უფლებამოსილება უნდა წარმოადგენდეს 31-ე მუხლის რეალიზაციის ეფექტურ შესაძლებლობას და იმავდროულად, სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის კონსტიტუციურ გარანტიას“. (123,14)

„სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ვერ იქნება გაგებული აბსოლუტური სახით, პროცესუალურ-სამართლებრივი წესრიგის გარეშე, რაც უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. (128) ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელების მოსაზრებას. კერძოდ, მათ (მოსარჩელებს) მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, მათ შორის, იმის გამოც, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება აბსოლუტური უფლებაა, კონსტიტუციის ამ ნორმაში, მთელი რიგი სხვა ნორმებისგან განსხვავებით, არ არის მითითებული უფლების შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ, რის გამოც, კანონმდებელი არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს ამ უფლებაში, შეზღუდოს ის.

სასამართლოსადმი მიმართვის უფლება „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (123,15). „შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის. (129,1)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, “კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ემუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ (423-ემუხლი) განცხადების წანამდღერები”. (5) ამასთან, 422-ე და 423-ე მუხლები ცალ-ცალკე ჩამოთვლიან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის

თაობაზე განცხადების და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძვლებს (წინაპირობებს).

მიუხედავად იმისა, რომ სადავო ნორმა 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადით ზღუდავს საქმისწარმოების განახლების შესაძლებლობას როგორც გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ისე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით და ვალდებულია, იმსჯელოს სადავო ნორმის მხოლოდ გასაჩივრებულ ნორმატიულ შინაარსზე. კერძოდ კი, სასარჩელო მოთხოვნა შეეხება ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადის გავრცელების კონსტიტუციურობის შეფასებას საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე მხოლოდ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო (და არ ეხება საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო), ამასთან, მხოლოდ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, როდესაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუ “პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე”.

აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის განმარტება, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ ზუსტად დაადგინოს პირთა წრე და ის შემთხვევები, როდესაც სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ამ პირებზე ვრცელდება. ზოგადად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა შეუძლიათ „დაინტერესებულ პირებს“. „დაინტერესებული“ შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებსაც ეხება (შეეხო) გადაწყვეტილება. ასეთი შეიძლება იყოს როგორც უშუალოდ მხარე, ისე სხვა პირი. კერძოდ, “ბ” ქვეპუნქტის ფორმულირება მიუთითებს, რომ დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. იმავდროულად, ვინაიდან ამ მუხლს საგანგებოდ დაემატა “გ” ქვეპუნქტი („საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 13 ივლისის №3435 - რს საქართველოს კანონით),(5) ცხადია, რომ ის ვერ იქნება თავისი შინაარსით „ბ“ ქვეპუნქტის იდენტური, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შემოღებას აზრი არ ექნებოდა. შესაბამისად, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები არიან

დაინტერესებული პირები, რომლებიც ვერ ხვდებიან „ბ“ ქვეპუნქტით მოაზრებულ პირთა წრეში. ესენი შეიძლება იყვნენ: მესამე პირები (როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე ასეთი მოთხოვნის გარეშე), ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მესამე პირები; ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე (არასათანადო მოსარჩელის შეცვლა) და 85-ე (არასათანადო მოპასუხის შეცვლა) მუხლებით გათვალისწინებული პირები - სათანადო მოსარჩელე და სათანადო მოპასუხე, თუ მათ მიმართ დაირღვა ამ მუხლების მოთხოვნები. დასახელებული მუხლები მიუთითებს, რომ შესაძლებელია, სადავოდ მიჩნეული უფლება მოსარჩელეს არ ეკუთვნოდეს ან მოპასუხე არ იყოს ამ უფლებასთან დაკავშირებული პირი. ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, სათანადო მხარით შეცვალოს მოთხოვნის არმქონე („სხვისი“ უფლებით მოდავე) ან არასათანადო მოპასუხის მიმართ არ დაადგინოს არარსებული ვალდებულება. მაგრამ თუ ეს მოთხოვნები დაირღვევა ან თუ სასამართლო ობიექტურად ვერ გამოავლენს სათანადო მოსარჩელეს/მოპასუხეს ან საქმეში, ვერ ჩაერთვება მესამე პირი, მათ კანონმდებელი აძლევს დამატებით შესაძლებლობას, დაიცვან საკუთარი უფლებები მათი მონაწილეობის გარეშე და მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის გზით.

მაშასადამე, სხვაობა 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს შორის მდგომარეობს შემდეგში: „ბ“ ქვეპუნქტი ეხება მოსარჩელეს და მოპასუხეს (პირებს, რომლებიც მოსარჩელედ ან მოპასუხედ იქნენ ცნობილი), რომლებიც არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაზე, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი ეხება არასათანადო მოსარჩელის მიერ შეტანილი სარჩელისა თუ არასათანადო მოპასუხის წინააღმდეგ დავის შემთხვევაში, სათანადო მოსარჩელეს/მოპასუხეს, როდესაც ვერ მოხდა მათი გამოვლენა და არ/ვერ მოხდა მათი პროცესში ჩართვა, ასევე მესამე პირებს (როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ისე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირებს), რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება და რომლებიც ასევე არ იყვნენ მოწვეული საქმის განხილვაზე („გ“ ქვეპუნქტის სწორედ ასეთ შინაარსზე მიუთითებს საერთო სასამართლოების პრაქტიკაც, მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება N3/1374-09;(125) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ოქ-

ტომბრის განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის განჩინება N3/862-08).(126)

მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირების საქმეში ჩართვა პოტენციურად შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან სათანადო მოპასუხედ. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა შეაფასოს მხოლოდ ამ პირებთან მიმართებით მისი მოქმედების კონტექსტში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა უშვებს ალბათობას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა, ვინაიდან ისინი არ არიან მხარეები, რომლებიც თავიდანვე ცნობილი იყვნენ სასამართლოსთვის და რომელთა მოწვევის ვალდებულება (შესაბამისი პროცედურებით გაფრთხილების გზით) სასამართლოს აქვს, შეიძლება არაფერი იცოდნენ მათ ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე და, შესაბამისად, ვერც გადაწყვეტილების ბათილობა მოითხოვონ სადავო ნორმით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში.

მართალია, თუ საქმის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, ან არა იმ პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, სასამართლოს შეუძლია არასათანადო მოსარჩელისა ან/და მოპასუხის შეცვლა (მუხ.84-85); (5,61) დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირებს შეუძლიათ, ჩაერთონ საქმეში მესამე პირებად (მუხ.88) (5,63) მაგრამ, თუ საქმის მასალებიდან არ გამოიკვეთა მხარეთა გარდა სხვა პირების ინტერესები, დავის საგნის შემხებლობა მათ უფლებებთან და, ამასთან, არც მხარეები (განგებ თუ უნებლიედ) მიუთითებენ ასეთ გარემოებაზე, სასამართლო მოკლებულია ამ პირთა ინტერესების გამოვლენისა და მათი საქმეში ჩართვის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიმართულია საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის უზრუნველყოფაზე (მუხ.103,128, 203, 222) (5,70-79-125-141), საბოლოოდ, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რაც უშვებს ალბათობას, რომ საქმესთან დაკავშირებული სხვა პირების ინტერესები არ გამოიკვეთოს საქმის განხილვისას, რადგანაც მათი ჩართვა პროცესში არ/ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პირთა უფლებებს, კანონიერ ინტერესებს და, იმავდროულად, ეს პირები არა მხოლოდ არ იღებდნენ საქმის განხილვაში მონაწილეობას, არამედ ვერც შეიტყონ სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე. ერთი მხრივ, სწორედ ასეთი პირების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც აძლევს მათ შესაძლებლობას, განაახლონ საქმის განხილვა, მოითხოვონ იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის მიღებაზეც მათ გავლენა ვერ მოახდინეს და უფლების დარღვევა თავიდან ვერ აიცილეს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს შესაძლებლობა სადავო ნორმით შეზღუდულია 5-წლიანი ვადით, რომლის ათვლა ხდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და რომლის გასვლის შემდეგ ისინი კარგავენ ამ შესაძლებლობას. სწორედ ასეთი შეზღუდვის კონსტიტუციურობას ხდიან მოსარჩელები სადავოდ. მათი აზრით, მათ შესაძლოა, ობიექტურად ვერ ისარგებლონ სამართლიანი სასამართლოს უფლების ამ უფლებრივი კომპონენტით სადავო ნორმით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტმაც ამ მიზეზით სცნო კონსტიტუციური სარჩელი. კერძოდ, მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნა: „ჩვენ კონსტიტუციურ სარჩელს ვცნობთ იმ ნაწილში, რომელიც ეხება 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს... ამასთანავე, ჩვენ აუცილებლად ვიმუშავეთ იმ მიმართულებით, რათა ნორმა ჩამოყალიბდეს ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას სუბიექტური სისტემა. ანუ ვადების ათვლა დაიწყოს კონკრეტული ფაქტის შეტყობინებიდან... მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ნორმის გააზრების თვალსაზრისით, მოსარჩელის პრობლემის დანახვით ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისეთ პირებს, რომლებსაც არ ეცნობათ მათი უფლების დარღვევის შესახებ და არც ჰქონდათ შესაძლებლობა, სცოდნოდათ ამის შესახებ, 31-ე მუხლით სარგებლობის უფლება ესპობათ”.

მოპასუხის წარმომადგენელმა ასევე არა ერთგზის ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი პირების თვისუფლების დაცვის სხვა საშუალება არ არსებობს. პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს არც კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვთ, რადგან ვიდრე კანონიერ ძალაში არსებობს კონკრეტული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები ვერ შეიცვლება.

ზოგადად, საქმის წარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით იყოს შექმნილი ამ ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენებისთვის ადეკვატური და საკმარისი გარანტიები. მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს სადავო ნორმა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში - ხომ არ იწვევს ამ უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის არათანაზომიერ შეზღუდვას და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას?

უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას. „სადავო აქტების შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამომრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას, თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება 1/2/411 საქმეზე „შპს „რუს ენერგოსერვისი, შპს პატარა კახი, სს „გორგოტა, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი და შპს ენერგია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“). (130) ლეგიტიმური მიზნის არ არსებობის პირობებში ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.

ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. დროის ფაქტორი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს პირთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ მოწესრიგებაში. გარკვეული დროის დადგომას ან ვადის გასვლას უკავშირდება კონკრეტული იურიდიული შედეგები – სამართლებრივი ურთიერთობების (შესაბამისად, პირთა უფლებებისა ანდა მოვალეობების) წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ხანდაზმულობით უფლების შეძენის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე და 167-ე მუხლები.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესშიც. დრო სამართლიანი სასამართლოს უფლებას გასდევს მთლიანად უფლებით სარგებლობის განმავლობაში. ხშირ შემთხვევაში ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა თავიდანვე გარკვეული დროით არის პირობა დებული – ამა თუ იმ უფლების, ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დარღვევიდან გარკვეული ვადით არის შეზღუდული (მაგალითად, საარჩევნო უფლების დაცვისას). ასევე კანონმდებლობა ვადებით ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის გამოყენებას, როგორცაა – სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც განსაზღვრავს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს და მათ შორის ვადებს, რომლის განმავლობაშიც მხარემ უნდა შეასრულოს მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ამ მოქმედების მოგვიანებით შესრულების უფლებას. მაგალითად: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: “საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში”, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: “სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია”. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად: “საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება”.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულის ხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. ასე მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების ვადები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლები). თუ განსაზღვრულ ვადებში მხარე არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას, გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და პირი კარგავს მისი გასაჩივრების შესაძლებლობას. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის

შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). (128)

ვადების ზოგადი მნიშვნელობის პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარება (მოწესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა). დასახელებული ლეგიტიმური მიზნები მჭიდროდ უკავშირდებიან და განაპირობებენ ერთიმეორეს. სამართლებრივი უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ეფექტური მართლმსაჯულებით, რომლის საბოლოო მიზანი არის სწორი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ საქმეზე; მეორე მხრივ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილებისადმი სანდოობით, რასაც ორი მთავარი საფუძველი (ასპექტი) აქვს: სასამართლოს ავტორიტეტი და სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობა – სადავო საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა და ამით სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობა.

მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლო და უცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“II,(132,3.) ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სწორედ ამის უზრუნველყოფისკენ უნდა იყოს მიმართული. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთი პროცესუალური გარანტია, უფლებრივი კომპონენტი, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის, გასაჩივრების, დავის ხელახლა წარმოების უფლება- საამისოდ შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობის შემთხვევაში.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისგან.

ზემოაღნიშნული რისკები, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა მეტი საფრთხის მატარებელი აღმოჩნდეს მოპასუხე მხარისთვის. ხანგრძლივი დროის შემდეგ დავის განახლება მათ ავტომატურად აყენებს იმ საჭიროების წინაშე, რომ ხელახლა მოიძიონ მტკიცებულებები, რომლებიც მათი პოზიციის მართებულობას დაადასტურებდა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, რთული ან შეუძლებელიც იყოს – მტკიცებულებები შესაძლოა ბუნებრივად აღარ არსებობდეს ან არასათანადო იყოს. შედეგად, მოპასუხემ შესაძლოა საკუთარი ინტერესი ვერ დაიცვას უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ერთ-ერთი მიზანია, მხარის ინტერესების დაცვა იმ პროცესის ნაწილად გახდომისაგან, რომელშიც პოზიციის დაცვა რთული ან შეუძლებელი იქნება მოთხოვნის სიძველის გამო.

მაშასადამე, ხანდაზმულობის ვადები ხელს უწყობს ფაქტების, მტკიცებულებების შემოწმების სანდოობას. ხანდაზმულობის ვადების დაწესების ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს სწორედ ის, რომ მტკიცებულებათა საიმედოობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი და შენარჩუნებული იქნას. ბუნებრივია, მტკიცებულებებს საფრთხე

ხანდაზმულობის ვადებშიც შეიძლება შეექმნას, ამიტომ ეს ინსტიტუტი ვერ იქნება მტკიცებულებათა უტყუარობის შენარჩუნების აბსოლუტური გარანტია, მას მხოლოდ ასეთი რისკების შეძლებისდაგვარად შემცირება შეუძლია.

ხანგრძლივი დროის გასვლის გამო უტყუარი მტკიცებულებების განადგურების, სანდოობის დაკარგვის მიზეზით ხანდაზმულობის ვადები, ერთი მხრივ, იცავს სასამართლოს ყალბ/თაღლითურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სარჩელებისაგან (ხანდაზმულობა, ერთგვარად, უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას ახდენს იმ თვალსაზრისით, რომ დროში განუსაზღვრელი დავის შესაძლებლობის შემთხვევაში, პირს შეეძლებოდა მისთვის უფრო სასურველ დროს შეეტანა სარჩელი, როდესაც მისთვის არასასურველი მოწმე ან სხვა მტკიცებულება არ იარსებებდა) და, მეორე მხრივ, ემსახურება სასამართლო ხელისუფლების ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილებას, რაც დაზოგავს ადმინისტრაციულ რესურსს და, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული რესურსის მიმართვას რეალური და სწორი, ობიექტური გადაწყვეტის პერსპექტივის მქონე დავებზე.

ამ გაგებით, ხანდაზმულობის ვადები ფოკუსირებულია საზოგადოების ინტერესზე, რათა თავიდან იქნას აცილებული „თაღლითური“, ასევე „უპერსპექტივო“ სარჩელების განხილვა, რომლებიც დროის გასვლის გამო იქცნენ ასეთად. ხანდაზმულობის ვადები სასამართლოს საშუალებას აძლევს, არ იმსჯელოს იმ საქმეზე, რომლის ობიექტური გადაწყვეტაც ფაქტობრივად შეუძლებელია. ასევე ხანდაზმულობის ვადის არსებობა შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს დავა.

იმავდროულად, სამართლიანი მართლმსაჯულება, სასამართლოსადმი სანდოობა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების შეუქცევადობა სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. სასამართლო ვალდებულია, სიცხადე შეიტანოს და განსაზღვრულობა შესძინოს დავას, გადაწყვეტილებით საბოლოოდ გააქარწყლოს ეჭვი. ამიტომ სასამართლო, როგორც კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუტი, უტყუარობისა და სანდოობის პრეზუმფციით სარგებლობს, სასამართლო პროცესზე განხილული საკითხი კი საბოლოოდ გადაწყვეტილად და დადგენილად ითვლება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. „ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის, სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო

გადაწყვეტილების მუდმივად ექვექვემ დაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საფუძველი გამოეცლებოდა სასამართლოსადმი სანდოობის ვარაუდს” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).(128)

ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერასდროს პოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. როგორც აღვნიშნეთ, საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ პრეზუმფციის მატარებელია, რომ საკითხი მხარეთა შორის გადაწყდა სწორად და რომ ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან დაკავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძელებენ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე. ამიტომ პოტენციური მოპასუხე დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილი იყო სასამართლოს მიერ, ამასთან, დაცული უნდა იყოს აგრეთვე იმისგან, რომ საექვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები.

საბოლოო ჯამში, დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას; უფლების მუდმივი საექ-ვობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავისუფლად ჩაერთონ ურთიერთობებში მსგავსი სარჩელებიდან მომდინარე დანაკარგის შიშის გარეშე. ხანდაზმულობის ვადების არ არსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც კი ექვის ქვემ დადგება.

ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე: „სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სასამართლო განმარტავს: „ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას

მველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (პარ. 51).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ინსტიტუტის არსებობა, სამართლიანი სასამართლოს სხვა უფლებრივ კომპონენტებთან და გარანტიებთან ერთად, ემსახურება ზემოთ დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას. თუმცა, იმავდროულად, ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული პროცესუალური გარანტიის, ხანდაზმულობის ვადების ინსტიტუტის ჩათვლით, კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაცია ეფუძნებოდეს ინტერესთა გონივრულ და სამართლიან ბალანსს, რათა, ერთი მხრივ, რეალურად ემსახურებოდეს საჯარო მიზნების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, არ იწვევდეს კონკრეტული პირების უფლებაში გაუმართლებელ, არათანაზომიერ ჩარევას. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. `ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, გარანტირებული იქნება მიზნის მიღწევა და დაცული იქნება თანაზომიერების პრინციპი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 საქმეზე “შპს რუსენერგოსერვისი, შპს `პატარა კახი, სს `გორგოტა, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო `ფერმერი და შპს `ენერჯია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ” (130) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II).(132,30) ამასთან, „თანაზომიერების შეფასებისას გადამწყვეტია მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულობის საკითხის გარკვევა, ეს უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორის არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე“(საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – დავით

ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II).(127,22)

სწორედ ინტერესთა სამართლიანი დაბალანსებისთვის დაინტერესებული პირის მოთხოვნით სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის ზოგადი შემთხვევებიდან უნდა გაიმიჯნოს და დამოუკიდებლად შეფასდეს ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული დავა (რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება) გადაწყდა სახელმწიფოს და არა კერძო პირის სასარგებლოდ, ამასთან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სათანადო“ მოპასუხის ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის ინტერესების დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს (სასამართლოსან სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, თანამდებობის პირების) ან/და სხვა პირების (მოწმის, ექსპერტის, მხარის ან მისი წარმომადგენლის) მართლსაწინააღმდეგო/ბრალეული ქმედებით ან, თუ მათთვის ცნობილია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ამასთან, როდესაც ასეთ შემთხვევაში უფლების დაცვა/აღდგენა შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილობის გარეშე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის კონსტიტუციურობა ცალცალკე უნდა შეაფასოს დასახელებული განსხვავებული შემთხვევების სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ზოგადად, სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნები, საბოლოო ჯამში, ორიენტირებულია კონკრეტული ადამიანების ინტერესებსა და უფლებების დარღვევის თავიდან აცილებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთი მხრივ, ხანგრძლივი ვადის შემდგომ მტკიცებულებათა არარსებობის ანუ სათანადო მტკიცებულებების ობიექტურად ვერ მოპოვების გამო კონკრეტულმა პირებმა, რომელთა მიმართაც დავა განახლდება, შესაძლოა, სათანადოდ ვერ დაიცვან საკუთარი ინტერესები და უფლებათა გარდაუვალი დარღვევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ხოლო, მეორე მხრივ, უფლების განუსაზღვრელი დროით სადავოდ ქცევა პირს უქმნის ბუნდოვანების განცდას მომავალთან დაკავშირებით, შესაბამისად, იგი ერიდება ისეთი

ქმედებების განხორციელებას, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება მომგებიანი იყოს მისთვის.

მაშასადამე, აქ ერთმანეთს უპირისპირდება კერძო პირების ინტერესები – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირის) უფლების დაცვის საჭიროებას უპირისპირდება იმ პირების ინტერესების დაცვის საჭიროება, რომლებიც მათ მიმართ დავის განახლების შემთხვევაში შეიძლება უფლების (უფლებების) დარღვევის გარდაუვალი საფრთხეების პირისპირ აღმოჩნდნენ.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობის არსებობა მიზნად ისახავს პირის უფლებების სრულყოფილად დაცვას, სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ რეალიზაციას და კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი, ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგრამ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის ადეკვატური უფლებრივი კომპონენტების მხოლოდ საკანონმდებლო რეგლამენტაცია ვერ იქნება ამ უფლებით სარგებლობის გარანტია, თუკი კანონმდებლობით ასევე გარანტირებული არ იქნება მათზე (უფლებრივ კომპონენტებზე) ეფექტური, რეალური ხელმისაწვდომობა.

ცხადია, იმისათვის, რომ პირმა ისარგებლოს თავის ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი შესაძლებლობა, იცოდეს მასთან (მის უფლებებთან, ინტერესებთან) დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის თაობაზე. ამიტომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადით სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება, თუ პირი აღჭურვილი იქნება საკმარისი და ადეკვატური ბერკეტებით, იცოდეს, კონკრეტული უფლების დაცვის საჭიროებისა და ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის თაობაზე.

დაინტერესებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების) უფლების დაცვის საჭიროების სხვა კონკრეტული პირების ინტერესებისა და უფლებების დარღვევის საფრთხესთან

დაპირისპირებისას სადავო ნორმით გათვალისწინებული ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა დაარღვევდა ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს დაინტერესებული პირების საზიანოდ, თუ ის იმდენად აშკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნებოდა, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის, რითაც მათ არათანაზომიერად უფრო მძიმე ტვირთს დააკისრებდა იმ პირებთან შედარებით, რომელთა უფლებები ასევე საფრთხის წინაშე დგება მათ მიმართ გარკვეული ვადის შემდეგ დავის განახლების შემთხვევაში.

მიგვაჩნია, რომ კერძო პირების ინტერესების ასეთი დაპირისპირების შემთხვევაში, 5 წელი შეიძლება ჩაითვალოს მინიმალურ, თუმცა ობიექტურად საკმარის, გონივრულ, განჭვრეტად ვადად დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობის გამოყენებისთვის და, შესაბამისად, ინტერესთაშორის ბალანსის შენარჩუნებისთვის. მოცემულ შემთხვევაში 5 წელი არ არის იმდენად აშკარად მცირე დრო, რომ გამოირიცხოს დაინტერესებული პირის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის თაობაზე ინფორმაციის მიღების ალბათობა, მით უფრო იმ პირობებში, რომ უძრავი ქონების თაობაზე საჯარო რეესტრის მონაცემები ხელმისაწვდომია პირის ადგილსამყოფლის მიუხედავად. გარდა ამისა, მოქმედი კანონმდებლობა უძრავი ქონების მესაკუთრეს მთელ რიგ ვალდებულებებს (მაგ., კომუნალური გადასახადები, ქონების გადასახადი) აკისრებს დამოუკიდებლად იმისგან, იმყოფება თუ არა ის საქართველოში და ფაქტობრივად სარგებლობს თუ არა ამ ქონებით. ასეთი ვალდებულებების ცოდნა და შესრულება ასევე ზრდის უძრავ ქონებაზე უფლებრივი მდგომარეობის ცვლილების ფაქტის შეტყობის ალბათობას. კანონმდებლობის არცოდნა კი ვერ გამოდგება საფუძვლად ვერც ვალდებულებების შესრულებისაგან თავის ასარიდებლად და მითუფრო, ვერც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების გაუქმების/გაზრდის მოთხოვნისთვის, რომელთა არსებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით, მათ შორის, კონკრეტული ადამიანების უფლებების დარღვევის თავიდან არიდების საჭიროებით არის განპირობებული.

ცხადია, კანონმდებელი არ არის შეზღუდული, დააწესოს ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადა, რაც დაინტერესებულ პირებს მისცემდა მეტ შესაძლებლობას, შეეტყობთ მათი უფლების დარღვევის და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გამოყენების აქტუალობის შესახებ ან/და შემოიღოს სხვა მექანიზმები, რაც უფრო ეფექტურად

ხელმისაწვდომს გახდიდა დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით სარგებლობის შესაძლებლობას, ასევე გაითვალისწინოს გამონაკლისები ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირმა ვერ შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე ან ვერ ისარგებლა უფლების დაცვის შესაძლებლობით დაუძლეველი გარემოების ან ქმედუუნარობის გამო და სხვა. მაგრამ, იმავდროულად, დაინტერესებული პირების დაცვაზე ორიენტირებული კანონმდებლის გადაწყვეტილება არ უნდა გამორიცხავდეს სხვა პირების უფლებების დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას.

განსხვავებულია ვითარება, როდესაც დაინტერესებული პირების უფლების დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესი, ანუ, როდესაც კონკრეტული დავა გადაწყდა სახელმწიფოს და არა კერძო პირის სასარგებლოდ, ამასთან, როდესაც დაინტერესებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის) უფლებების დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფოს (სახელმწიფო ორგანოების/თანამდებობის პირების) ან/და სხვა პირების (მოწმის, ექსპერტის, მხარის ან მისი წარმომადგენლის) მართლსაწინააღმდეგო/ბრალეული ქმედებით ან, თუ დაინტერესებული პირისთვის ცნობილია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. სამართლებრივი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მხრიდან კანონის დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსწორების/უფლების აღდგენის შესაძლებლობა.

სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ადამიანის, როგორც უმთავრესი ფასეულობის, არა მხოლოდ აღიარებას, არამედ რეალურ უზრუნველყოფას ძირითადი უფლებებით სრულყოფილად და ეფექტურად სარგებლობის გარანტირების გზით. „ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“ („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება 2/3/423 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II)(124,6) რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარან-

ტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. მართალია, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადით შეზღუდვა ზოგადად ინარჩუნებს ლეგიტიმურ მიზნებს, მაგრამ ეს მიზნები თვისობრივად სახეცვლილია სახელმწიფოსთან მიმართებით, ვინაიდან ისინი არ უკავშირდება კონკრეტული კერძო პირების უფლებების დარღვევის საფრთხეს. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ ინტერესის (სამართლებრივი უსაფრთხოების) სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირებისგან.

მამასადამე, აქ განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესები და, შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისთვის. როდესაც ლეგიტიმური საჯარო მიზნებისთვის საფრთხის მიყენების რისკები უმნიშვნელოა ან არ არსებობს, ან/და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვის მცდელობას თავად შეუძლია გამოიწვიოს ამავე ლეგიტიმური მიზნის უგულვებლყოფა, მაშინ უფლებაში ჩარევის საჭიროება გაცილებით ნაკლებია, ამიტომ დაინტერესებულ პირებს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი უფლება, მათ შორის, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული მათი უფლების დამრღვევი სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობა, როდესაც ეს არის უშუალო და აუცილებელი გზა უფლების აღდგენისა თუ კომპენსაციის მიღებისთვის.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელების შემთხვევაში, მათ, ბუნებრივია, უნდა ჰქონოდათ საჯარო რეესტრისადმი ნდობა, რომ უძრავ ქონებაზე მათი საკუთრების დარეგისტრირებული უფლება არ შეიცვლებოდა მათი ინფორმირების გარეშე. უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი გარემოებაა საჯარო რეესტრში ასეთი უფლების დარეგისტრირება. უძრავი ქონების როგორც შეძენა, ისე შემდგომში ამ უფლების ნებისმიერი ტრანსფორმაცია საჯარო რეესტრში, დარეგისტრირებას მოითხოვს უფლების ნამდვილობისთვის. სწორედ საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირებით პირს უჩნდება კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების გარანტია, რაც, იმავდროულად, სახელმწიფოს მხრიდან, მისი ამ უფლების დაცვის ვალდებულებაცაა. ამასთან, უძრავი ქონების რეგისტრაცია სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. ამის შემდეგ მოქმედებს სახელმწიფოს ქმედების კეთილსინდისიერებისა და საჯარო რეესტრის

მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია (აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლო დავის გადაწყვეტისას საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობას ეყრდნობა). პირს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ მის მიერ კანონის შესაბამისად ქმედების პირობებში, კანონი არ ითვალისწინებს მისი ინფორმირების გარეშე მისი ქონების გასხვისების შესაძლებლობას.

შესაბამისად, მესაკუთრის ინფორმირების გარეშე მისი საკუთრების გასხვისების გადაწყვეტილება შესაძლოა დიდი ალბათობით კანონის დარღვევაზე მიუთითებდეს. ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში, ასეთი კატეგორიის პირებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სათანადო მოპასუხეს ან მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების ბათილობა მაშინ, როდესაც მათ შეუძლიათ ისეთ გარემოებებზე/მტკიცებულებებზე მითითება, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და როდესაც ამ პირებისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა აუცილებელი გზაა უფლების დაცვის/აღდგენისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში ვერ გამოდგება დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებად, 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა არაპროპორციულად ზღუდავს 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მათ უფლებებს/ინტერესებს ეხება, სახელმწიფოს სასარგებლოდ არის მიღებული და, ამავე დროს, არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, ამასთან, ამ პირებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა უფლების დაცვის, აღდგენისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, პრევალირებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების უპირატესი ინტერესი, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტური ასპექტი, დაინტერესებულ პირებს უნდა ჰქონდეთ ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად დაუფლების დასაცავად გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობა 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად.

სახელმწიფოს არსებობა ზოგადად უკავშირდება რა ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას, დრო ვერ გააბათილებს ასეთ ვალდებულებას. ამავე დროს, ყველა ადამიანის მიმართ სახელმწიფოს სწორედ ასეთი ვალდებულების თანაბრად არსებობის ძალით კონკრეტული პირის უფლების დროში უსასრულოდ დაცვის შესაძლებლობას უპირისპირდება სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობა. ამიტომ დავის განახლების შეზღუდვა შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოსთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება დავის სწორად გადაწყვეტა და კონკრეტული პირების უფლებების დარღვევის თავიდან აცილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების შედეგების უსაფუძვლოდ ეჭვის ქვეშ დაყენების გამოსარიცხად, აუცილებელია სადავო ნორმით გათვალისწინებული შესაბამისი პირებისა და შემთხვევების სწორად, უტყუარად გამოვლენა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობაზე:

ა)კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ უფლების თავიდან სადავოდ ქცევა უქმნის რა საფრთხეს ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, როგორებიცაა: სამართლებრივი უსაფრთხოება, სტაბილურობა, სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის მნიშვნელობა და, ზოგადად, მართლმსაჯულებისადმი სანდოობა, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნა უფლებამოსილი პირებისათვის არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სწორედ ეს გზა არის რეალური შესაძლებლობა უფლების დასაცავად, ანუ, როდესაც გადაწყვეტილების ბათილად ცნობას პოტენციურად შეუძლია უზრუნველყოს უფლების თავდაპირველი სახით აღდგენა ან შესაბამისი კომპენსაციის მიღება, რაც შეუძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების ბათილობის გარეშე. არ შეიძლება სასამართლოსადმი მიმართვა თვითმიზნურ ხასიათს ატარებდეს, მით უფრო, თუ საუბარია უკვე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნაზე და დავის თავიდან დაწყებაზე. მართლმსაჯულების საბოლოო შედეგები მხოლოდ განსაკუთრებულ, იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ და მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, თუ ეს აუცილებელი გზაა სავარაუდოდ დარღვეული უფლების აღდგენის, მისი დაცვისთვის. ამიტომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ინსტიტუტი, თავისი დანიშნულებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, უკავშირდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში მისი გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც ის

წარმოადგენს უშუალო გზას სავარაუდოდ დარღვეული უფლების დაცვისთვის, აღდგენისთვის. დაუშვებელია, კანონმდებლობა მართლმსაჯულების შედეგების საეჭვოობას ასეთი საფუძვლების გარეშე იწვევდეს და შედეგად მართლმსაჯულებისადმი სანდოობის შერყევითვის საკანონმდებლო საფუძველს ქმნიდეს.

ბ) სადავო ნორმით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება რალეგიტიმურ მიზნებს, რომელთა არსებობა და დაცვის საჭიროება ამ გადაწყვეტილებით კითხვის ქვეშ არ დამდგარა, სასამართლო უნდა სარგებლობდეს მკაფიო და ხელშესახები კრიტერიუმებით იმის შესამოწმებლად და დასადგენად, რომ პირმა არ იცოდა და ობიექტურად არც შეიძლებოდა სცოდნოდა მის ინტერესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების არსებობის შესახებ. უნდა მოხდეს იმის პრევენცია, რომ პირმა დროში უმიზეზოდ არ გაახანგრძლივოს უფლების განხორციელება, ის შეზღუდული უნდა იყოს შესაძლებლობაში, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეეძლო ეს თავის დროზე განეხორციელებინა და არ ისარგებლა ამ შესაძლებლობით. ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად, უფლების დაცვის შესაძლებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გზით უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ რეალურ და ობიექტურ საჭიროებას და არა პირის დაუდევრობას ან საკუთარი უფლებებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას.

გ) ამასთან, იმისათვის, რომ 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა დაინტერესებულმა პირმა (სათანადო მოპასუხემ და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით), ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის შემდეგ მოითხოვოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მან უნდა წარადგინოს სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობაზე.

ამრიგად, უმნიშვნელოვანესია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების მოქმედება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და, იმავდროულად, კონკრეტული ნორმა არ იწვევდეს არც ერთი პირის უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას, უფლების დარღვევას, მათ შორის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ის არ იწვევდეს პირთა გაუმართლებელ, დაუსაბუთებელ დიფერენცირებას ამ უფლებით სარგებლობის პროცესში.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

თავი II. სარჩელის სახეები

სარჩელების კლასიფიკაციაზე საუბარი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. ის, როგორც მეცნიერული კვლევის სპეციალური მეთოდი, ფართო გამოყენებას პოულობს იურიდიულ მეცნიერებაში, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც. სარჩელთა კლასიფიკაციას გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აქვს თავისი მკაფიო სამწვეროვანი სტრუქტურა, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მატერიალურ სამართალთან.(60,107) სარჩელთა ეს სამწვეროვანი სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესის შედეგს, შეესაბამება სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სახეებს, რომლებიც თავისი შინაარსით ორიენტირებულნი არიან კონკრეტული სახის სარჩელზე და წარმოადგენენ პირის მიერ სამართლებრივი დაცვის მოთხოვნაზე სასამართლოს პასუხს.(54,89)

სარჩელთა სამ სახედ დაყოფა მიღებულია არა მარტო გერმანულ სამართალში, არამედ ავსტრიის, შვეიცარიის კანონმდებლობაშიც, ასევე განიხილება ფრანგი და იტალიელი იურისტების მიერ (60,17) რუსულ სამოქალაქო პროცესში სარჩელთა კლასიფიკაცია ხდება პროცესუალურ-სამართლებრივი ნიშნების შესაბამისად.(83.262)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საპროცესო სამართალში ტრადიციულად სარჩელების დაყოფა ხდება პროცესუალური მიზნის (პროცესუალურ-სამართლებრივი კლასიფიკაცია), ან სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის მიხედვით.

სარჩელების მოცემული კლასიფიკაცია ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, დღევანდელ სამოქალაქო პროცესში, ვფიქრობთ, რომ სადავო საკითხია.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია, როგორც ქართველ მეცნიერთა ნაშრომები, ისე უცხოური დოქტრინა.

სარჩელი არის დარღვეული ან სადავო უფლების, ან კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნა. ამგვარი განსაზღვრება საშუალებას გვამძლევს პრაქტიკული თვალსაზრისით გამოვყოთ მისი ის მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სარჩელების კლასიფიკაციას.

სარჩელების ქვემოთ მოცემული კლასიფიკაცია არის ზოგადი, იგი სცილდება სამართლის ერთი დარგის ჩარჩოებს. მას საფუძვლად უდევს სარჩელის უნივერსალური, გვარობითი ცნება, როგორც ნებისმიერი უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნა, მისი დარგობრივი კუთვნილებისა და ხელყოფის ხასიათის მიუხედავად. ამგვარად, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელები - სარჩელის ერთიანი გვარობითი ცნების ნაირსახეობებია.

1.იმის მიხედვით, თუ რომელი უფლებამოსილი ორგანო განიხილავს და გადაწყვეტს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სარჩელებს, ეს უკანასკნელები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული: ა) სამართლებრივ სარჩელებად; ბ) საარბიტრაჟო სარჩელებად.

სამართლებრივი სარჩელები თავის მხრივ იყოფა : ა) სამოქალაქო სარჩელებად, რომლებიც განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; ბ) ადმინისტრაციულ სარჩელებად, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციული წესით.

სამოქალაქო სამართალ ურთიერთობების სუბიექტების უფლებების ან კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ აღძრული სარჩელი განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სარჩელების კლასიფიკაციის პრაქტიკული დანიშნულება ისაა, რომ მოცემული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა ყურადღება გავამახვილოთ როგორც უფლებებისა და ინტერესების დაცვის სასარჩელო ფორმის ზოგად თვისებებზე, ასევე საერთო იურისდიქციის სასამართლოებისა და არბიტრაჟების მიერ სარჩელების განხილვისა და გადაჭრის პროცედურის თავისებურებებზე.

2. სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის მიხედვით, რომლისგანაც წარმოიქმნა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, განსხვავდება სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ სამოქალაქო, შრომითი და სხვა ჰორიზონტალური (კერძო-სამართლებრივი) ურთიერთობებიდან და სარჩელები, რომლებიც გამომდინარეობენ

ადმინისტრაციული და სხვა ვერტიკალური (საჯარო-სამართლებლივი) ურთიერთობებიდან. მოცემულ კლასიფიკაციას უწოდებენ *მატერიალურ-სამართლებრივს ან კლასიფიკაციას მატერიალურ-სამართლებრივი ნიშნის მიხედვით.*

თავის მხრივ, პროცესუალური თავისებურებების ცოდნა ხელს უწყობს სარჩელის, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით დაცვის საშუალების სწორ და ეფექტურ გამოყენებას, სამოქალაქო საქმეების უფრო სწორ განხილვასა და გადაჭრას. ამით კი ხელი ეწყობა სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოების წინაშე დამდგარი ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერი არ არის ერთსულოვანი სარჩელების კლასიფიკაციის საკითხში. მაგალითად: ლოგინოვი და გურვიჩი არა მარტო უარყოფდნენ სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას, არამედ ეჭვქვეშ აყენებდნენ თვით მის არსებობას. იგი ამტკიცებდა, რომ საუბარია არა სარჩელების კლასიფიკაციაზე, არამედ მის უბრალო ჩამონათვალზე. იმის გათვალისწინებით, რომ ლოგინოვი სარჩელების დაყოფას სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის მიხედვით განიხილავდა, როგორც სარჩელების უბრალო “ტერმინოლოგიურ გადანაწილებას”, მისი მოსაზრება, გურვიჩის აზრით, არ არის კორექტული. საქმე ისაა, რომ გურვიჩი აღიარებდა სარჩელების მატერიალურ-სამართლებრივი კლასიფიკაციის არსებობას (აუცილებლობას), თუმცა, მისი აზრით, აღნიშნულ კლასიფიკაციას არა მეცნიერულად მიიჩნევდა იმ მიზეზით, რომ არ იყო ყოვლისმომცველი და ამომწურავი.

აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი კლასიფიკაცია არ შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი, ამომწურავი, სრულყოფილი, ამიტომაც აბსოლუტურად მკვეთრი მიჯნის დაწესება შეუთავსებელია თეორიასთან. (93,68)

3.სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში არანაკლებ ტრადიციულია სარჩელების კლასიფიკაცია პროცესუალური ნიშნით, რომელიც წარმოდგენილია როგორც პროცესუალური მიზანი.(90,68-69) ამ მიზნის მიხედვით სარჩელები შემდეგ სახეობებად იყოფა: მიკუთვნებითი, აღიარებითი (უფლება დამდგენი) და გარდაქმნითი სარჩელები.

სარჩელის მიზანი არ შეიძლება იყოს კლასიფიკაციის ნიშანი, რადგანაც ნებისმიერი კლასიფიკაცია წარმოადგენს ობიექტების გადანაწილებას ურთიერთდაკავშირებულ კლასებად მათი ტიპური ნიშნების მიხედვით, ამიტომ კლასიფიკაციის ნიშანმა უნდა ასახოს

არა მარტო საკლასიფიკაციო ობიექტების ერთიანობა, არამედ მისი განსხვავება სხვა ერთობლიობისაგან.(85,55)

ლოგინოვი უარყოფდა სარჩელების კლასიფიკაციას დაცვის ხერხის მიხედვით. მისი აზრით, სახეობებად იყოფა არა სარჩელები, არამედ სამოქალაქო უფლების დაცვის ხერხები.(103,103) ამ პოზიციას მეცნიერი ასაბუთებდა იმით, რომ “სარჩელს მოსარჩელე არჩევს და სასამართლოს მიერ დამტკიცებული ნებისმიერი დაცვის ხერხთან მიმართებაში თავისი არსით რჩება იგივე, რადგანაც მისი ბუნება არ არის დამოკიდებული დაცვის ხერხზე” . (103,104)

ამ აზრს ვერ დავეთანხმებით სხვადასხვა მოსაზრების გამო. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლოგინოვის პოზიცია, როცა იგი სარჩელების კლასიფიკაციას დაცვის ხერხის კლასიფიკაციით ანაცვლებს, გამომდინარეობს მისი ნეგატიური დამოკიდებულებიდან, რომელსაც იგი იჩენს ამ საკითხის მიმართ. მან სტატიაში “სარჩელის ცნება და უფლების დაცვის სასარჩელო ფორმა (103,2) „სარჩელი განსაზღვრა, როგორც “სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება”, როგორც “დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში განცხადებით მიმართვა, მოსარჩელესა და მოპასუხის მატერიალურ-სამართლებლივი დაცვის განხილვის და გადაჭრის შესახებ”. ამით მან უარყო სარჩელის მნიშვნელობა, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტისა. ის წერდა: “დოქტრინა სარჩელის სტრუქტურის შესახებ მეცნიერულად არ არის დასაბუთებული და პრაქტიკულად უსარგებლოა”. მისი აზრით, სარჩელი დაცვის საგანია და არა ინდივიდუალიზაციისა.

ლოგინოვმა სარჩელის უფლება განსაზღვრა, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მეცნიერის აზრით, სარჩელის ფუნქციური მნიშვნელობა ამოიწურება სამოქალაქო საქმის აღძვრის სტადიით, თანაც პროცესის ამ სტადიაში სარჩელის მნიშვნელობა თითქმის ნულზეა დაყვანილი.ამიტომაც, სამოქალაქო საქმეების იდენტიფიკაცია საქმის აღძვრის მომენტში, ლოგინოვის აზრით, უნდა განისაზღვროს არა სარჩელის, არამედ დაცვის ელემენტებით.

ყოველივე აქედან გამომდინარე, სარჩელის ბუნება, როგორც უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნა, ნამდვილად არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, თუ რა ხერხით იქნება დაცული დარღვეული უფლება ან კანონიერი ინტერესი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია, სარჩელების დაყოფა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხერხის მიხედვით.

ნებისმიერი სარჩელი, როგორც უფლების ან ინტერესის დაცვის მოთხოვნა, გულისხმობს მისი დაცვის განსაზღვრული ხერხის არსებობას. სარჩელი და უფლების (ინტერესის) დაცვის ხერხი ერთმანეთთანაა შეფარდებული როგორც მთლიანი და მისი არსებითი (განუყოფელი) ნაწილი (ანუ ნიშანი), რადგანაც არსებობს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სხვადასხვა ხერხი.

გარდა ქვემოთ მითითებული სარჩელის სახეებისა, დოქტრინაში განიხილება ასევე კიდევ ერთი კატეგორია – *ჯვარედინი სარჩელი (cross-claim)*. სარჩელის ეს ინსტიტუტი საერთო სამართლისთვისაა დამახასიათებელი. ამერიკის ფედერალური საპროცესო წესების მე-13 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, ჯვარედინი სარჩელი გამოიყენება მისივე სტატუსით მყოფი პირის წინააღმდეგ. ასეთი სახის სარჩელი გამოიყენება მაშინ, როდესაც დავა გამომდინარეობს გარიგებიდან ან საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან.

მაგალითად, „ა“-მ შეიტანა სარჩელი „ბ“-ს და „გ“-ს წინააღმდეგ. „ბ“ და „გ“ შეჯახებით კი იგი დაზიანდა. ამრიგად, „ბ“ „გ“ არიან მოპასუხეები, რომლებმაც პასუხი უნდა გასცენ სარჩელს, მაგრამ ამ შეჯახებაში დაზიანდა „ბ“-ც, ამიტომ მან ე.წ. ჯვარედინი სარჩელი წაუყენა „გ“-ს იმ მოტივით, რომ „გ“-ს ბრალით მოხდა „ბ“-სთან შეჯახება და აქედან გამომდინარე, „ა“-ს დაზიანება. ამიტომ ჯვარედინი სარჩელით მოითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელსაც მისგან ითხოვს „ა“ - ძირითადი მოსარჩელე.

სასამართლოები თავად აფასებენ და წყვეტენ საკითხს, მიეკუთვნება თუ არა ერთ-ერთი მოპასუხის მიერ მეორე მოპასუხის მიმართ წარდგენილი სარჩელი ჯვარედინი სარჩელს. თუ ჩათვლიან, რომ არ მიეკუთვნება და ჯვარედინი სარჩელში დაყენებული მოთხოვნა სცილდება ძირითადი სარჩელის ფარგლებს და მოთხოვნას, მაშინ ჯვარედინი სარჩელს ანიჭებენ დამოუკიდებელი სარჩელის- მოთხოვნის სახეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირმა სადავო საქმისგან დამოუკიდებლად უნდა აღძრას სარჩელი. (13,300)

აქვე ისიც აღინიშნება, რომ სასამართლოები თანდათან ამცირებენ ჯვარედინი სარჩელის გამოყენებას და მოსარჩელეს უწევს დამოუკიდებელი წესით სარჩელის აღძვრა. ჯვარედინი სარჩელის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მოპასუხემ ძირითად სარჩელზე პასუხის გაცემისას იქვე უნდა მიუთითოს ჯვარედინი სარჩელის შინაარსზე. ზემოთ მოხსენიებული ფედერალური წესის 31-ე წესის „გ“ პუნქტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დავის გადაწყვეტის დაჩქარებისა და ეკონომიური თვალსაზრისით გამოყოს შეგებებული სარჩელი ან ჯვარედინი სარჩელი დამოუკიდებელ წარმოებად ან ამავე წესების

54-ე წესის „ბ“ პუნქტის თანახმად, გამოიტანოს ცალკე გადაწყვეტილება ძირითად სარჩელზე, შეგებებულ სარჩელზე ან/და ჯვარედინ სარჩელზე.(13,301)

2.1 მიკუთვნებითი სარჩელი

მიკუთვნებითი სარჩელების საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომ მან შეასრულოს მოსარჩელის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს ასეთი მოქმედების შესრულებისაგან. ეს არის მოსარჩელის მატერიალურ - სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც იგი სასამართლოს მეშვეობით უყენებს მოპასუხეს. მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ მატერიალური სამართალი განსაზღვრავს, თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება, ვთქვათ, ვალის დაბრუნება, ნივთის გადაცემა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ. იმისათვის, რომ დაევალოს მოპასუხეს რაიმე მოქმედების შესრულება, მას უნდა წარმოემვას, მატერიალური სამართლის ძალით, ასეთი მოვალეობა. მაგალითად, თუ მოსარჩელე მოითხოვს გასესხებული თანხის დაბრუნებას, ამისათვის არ კმარა, რომ არსებობდეს სესხის ურთიერთობა, რომ მოსარჩელემ მართლა ასესხა გარკვეული თანხა მოპასუხეს. საჭიროა და აუცილებელია აგრეთვე ისიც, რომ უკვე დადგა ვალის დაბრუნების ვადა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და მოპასუხე არ აბრუნებს ამ ვალს, ე.ი. არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

მაშასადამე, მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელების დაკმაყოფილებისათვის არ კმარა მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთობის არსებობის დადასტურება, არამედ აუცილებელია აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლების დარღვევა. სწორედ ამ უფლების დარღვევა წარმოშობს ამ უფლების იძულებითი განხორციელებისა და უფლების დამრღვევის მოვალეობას, შეასრულოს გარკვეული მოქმედება.

ამასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უთითებენ, რომ ეს არის სარჩელის უფლება. როგორც მართებულად აღნიშნავს თ. ლილუაშვილი, ეს არის მიკუთვნებითი სარჩელის ერთ-ერთი ელემენტი - საგანი, რომელიც ასეთი სახის სარჩელებში მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის გამომხატველია.(16,281)

თ. ლილუაშვილის აზრით: „სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიკუთვნებითი სარჩელები, რომლებსაც ზოგჯერ აღსრულებით სარჩელებსაც უწოდებენ, ყველაზე მეტადაა გავრცელებული და მას ყველაზე

ხშირად ფიზიკური და იურიდიული პირები მიმართავენ. მაგალითად, ასეთ სარჩელებს მიეკუთვნება: ვალის დაბრუნება, ლიზინგის საგნის დაბრუნება, ბინის გათავისუფლება, ალიმენტის გადახდა, სამუშაოზე აღდგენა და ა.შ“ (14,280)

მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მიკუთვნებითი სარჩელები (Die Leistungsklage) ემსახურება მოთხოვნის განხორციელებას გერმანული საპროცესო კოდექსის 194-ე, 241-ე, 1004-ე, 1147-ე და 2214-ე პარაგრაფების შესაბამისად, რომლებიც მოპასუხეს აიძულებენ შეასრულოს: გადახდის ვალდებულება, საკუთრების უფლების გადაცემა, მესაკუთრის ხელშეშლის აღკვეთა ან მისი იძულება, შეასრულოს გარკვეული სახის მოქმედება და ა.შ. მიკუთვნებითი სარჩელები, როგორც სარჩელის სხვა სახეები, დასაშვებად რომ ჩაითვალოს და მიღებულ იქნას წარმოებაში, აუცილებელია სხვა მოთხოვნებსაც პასუხობდეს, ერთ-ერთია - უფლების სასამართლო წესით დაცვის ინტერესის არსებობა.(52,1843) როგორც წესი, აღნიშნულ ინტერესში იგულისხმება ის ფაქტი, რომ მოვალის მხრიდან არ არის შესრულებული შესაბამისი ვალდებულება და მოსარჩელეს არ ეკისრება იმის მტკიცების დამატებითი ვალდებულება, რომ გააჩნია ინტერესი.(59,95)

სამოქალაქო სამართალწარმოებისას დავის განხილვის დროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სინამდვილესთან შესაბამისობაზე ხდება მტკიცება. მანამ, სანამ სამოქალაქო სამართლებრივი დავა არ გადაწყდება, სასამართლოს საქმიანობა და მხარეთა მიერ აუცილებელი ფაქტების მითითება გრძელდება. ეს საქმიანობა მხარეთა და სასამართლოს მიერ გერმანულ თეორიაში იწოდება მტკიცებად. (38,242)

მნიშვნელოვანია და გაზიარებული უნდა იქნას სასამართლო პრაქტიკაში გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტება მტკიცებულებასთან დაკავშირებით: „სასამართლოს რწმენის ჩამოყალიბებისათვის სასამართლო პრაქტიკაში არ არის აუცილებლობა აბსოლუტური მათემატიკური სიზუსტით დადასტურდეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტი, არამედ მნიშვნელოვანია სინამდვილის ისეთი ხარისხი, რომელიც საშუალებას იძლევა, სასამართლოს შეუქმნას წარმოდგენა საქმის გარემოებებზე.“(35,346)

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება. ერთ-ერთ საქმეში აღინიშნულია, რომ მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი თვალსაზრისით: მათი სარწმუნოებისა თუ არასარწმუნოების, და ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულების შეფასება გულისხმობს

მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ერთობლიობაში შეფასებას, ამასთან, სასამართლო ვალდებულია, მოწმის ჩვენებაც და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიც შეაფასოს მათი შინაარსის და იურიდიული დამაჯერებლობის მიხედვით. აღნიშნული გულისმხობს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულებას, ფიზიკურ მდგომარეობასა და სხვა) განხილვას და გამორიცხვას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწმის ჩვენების სისწორეზე. მტკიცებულებათა შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენით არ ნიშნავს სრულიად დაუსაბუთებელი დასკვნების გაკეთების უფლებას. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს იმ მოსაზრებებზე, რომელთა გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები - არასარწმუნოდ. გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება დაუსაბუთებლად, თუ მასში არ არის მითითებული, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა სასამართლო, როცა საქმეში არსებული ესა თუ ის მტკიცებულება შეაფასა ასე და არა სხვაგვარად.(141)

მიკუთვნებითი სარჩელები მიმართულია მოვალის და ვალდებულებისგან გარკვეული მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, მიკუთვნებითი სარჩელები, თავის მხრივ, იყოფა გარკვეული მოქმედების განხორციელებისაკენ მიმართულ (Die Klage auf Unterlassung) და გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების (Die Klage auf Duldung) სარჩელებად. (89,301)

მიკუთვნებითი სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება მიკუთვნებითი სარჩელის არსიდან გამომდინარე. ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნა ხორციელდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 803-882-ე პარაგრაფების შესაბამისად. იძულებითი შესრულება, რომელიც მიმართულია ნივთის გადაცემაზე, გარკვეული მოქმედების შესრულება ან შესრულების შეწყვეტა ეფუძნება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 883-893 პარაგრაფებს. კონკრეტული ქმედება, მისი განხორციელებისაგან თავის შეკავება და განსაზღვრული მოქმედების შესრულება ხორციელდება 894-898-ე პარაგრაფების შესაბამისად.

მიკუთვნებითი სარჩელის წინაპირობას წარმოადგენს ვალდებული პირისაგან შესრულების არარსებობა (მოქმედების განუხორციელებლობა), თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც ასეთი ტიპის სარჩელის წინაპირობას წარმოადგენს სამომავლო შესრულების არარსებობა (განუხორციელებლობა) ან განსაზღვრული

ვალდებულების მოპასუხის მხრიდან შეუსრულებლობა. ეს შემთხვევები გათვალისწინებულია 257-259 პარაგრაფებში.

პერიოდული გადახდის შემთხვევებში მომავალში გადახდის თაობაზე შეიძლება მოთხოვნის დაყენება გადასახადის ნაწილზეც, რომლის ვადაც დადგება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (გსსკ-ის 258 პარაგრაფი). სამომავლო შესრულების შესახებ სარჩელი, გარდა გსსკ-ის 257-258 პარაგრაფებში გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც შეუსრულებლობის შესახებ საფრთხეს ეფუძნება, შეიძლება წამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, თუკი მოსარჩელის შიშს გარემოებებიც ამყარებს, რომ მოვალემ შეიძლება თავი აარიდოს დროულ გადახდას (გსსკ-ის 259 პარაგრაფი).

2.2. აღიარებითი სარჩელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლები ეხება აღიარებით სარჩელს. აღიარებითი სარჩელები ყოველთვის გულისხმობენ მოდავე მხარეებს, ამიტომ ასეთ სარჩელებში ყოველთვის გვყავს ორი მოდავე მხარე, მოსარჩელე და მოპასუხე, რითაც იგი განსხვავდება უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტის დადგენისაგან. ასევე მას წაყენება დამატებითი წინაპირობა - იურიდიული ინტერესი. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით, მაგრამ არ არსებობს იურიდიული ინტერესი, მოსარჩელეს უარი ეთქმება აღიარებით სარჩელის მიღებასა და განხილვაზე.(16,216) აღიარებითი სარჩელის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი ნამდვილი იურიდიული ინტერესია, ანუ ის განმსაზღვრელი გარემოება, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს დავის გადაწყვეტაზე, საქმის განხილვისას მოწმდება მხარის იურიდიული ინტერესის კანონიერება.

აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს წარმოადგენს შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ

ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.(146)

ერთ-ერთ საქმეში უზენაესმა სასამართლომ აღიარებით და მიკუთვნებით სარჩელთან დაკავშირებით განმარტა, რომ მართალია, ხელშეკრულების შესრულებაზე უარის თქმის მართლზომიერების აღიარება ფორმალურად აღიარებითი სარჩელია, მაგრამ სარჩელის მეორე მოთხოვნა - ნივთის უკან დაბრუნება - მიკუთვნებითი ხასიათისაა. ფაქტობრივად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მართლზომიერება წარმოადგენს მიკუთვნებითი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს, რის გამოც სარჩელი მთლიანად შეიძლება ჩაითვალოს მიკუთვნებით სარჩელად. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა არა იმის გამო, რომ სარჩელი აღიარებითი არ არის, არამედ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე.(136)

გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღნიშნულია, რომ აღიარებითი სარჩელები (Die Feststellungsklage) წარმოადგენს დაცვის განსაკუთრებულ პროცესუალურ ფორმას, თავისებური სარჩელის სახით, რომელიც ემსახურება მხარეთა შორის სამართალურ-თიერთობაში ეჭვის გაქრობას. ასეთი ტიპის სარჩელები, მიკუთვნებითისაგან განსხვავებით, არ საჭიროებენ მოპასუხის იძულებას გარკვეული მოქმედების შესრულების მიზნით, არამედ მიმართულია უფლების არსებობის, შესაბამისი სამართალურთიერთობის არსებობის, გამონაკლის შემთხვევებში კი - დოკუმენტის ორიგინალობისა თუ სიყალბის დადგენისაკენ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარებითი სარჩელები განსხვავდებიან მიკუთვნებითისაგან იმითაც, რომ ამ შემთხვევაში მოსარჩელეს სჭირდება მისი მოთხოვნის საფუძვლის დაკმაყოფილება დოკუმენტის ნამდვილობისა თუ სიყალბის დადგენით.

ამდენად, გსსკ-ის 256 (1) შეიცვას აღიარებითი სარჩელის ცნებას და განმარტავს, რომ გარკვეული სამართალურთიერთობის განსაზღვრისათვის, ასევე დოკუმენტის დედნისა თუ სიყალბის დადგენისათვის, შეიძლება წარდგენილ იქნას სარჩელი, თუკი მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ სამართალურთიერთობა ან დოკუმენტის ნამდვილობა /სიყალბე დადგენილ იქნას სასამართლოს მიერ.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ სამართალურთიერთობის დადგენისას საუბრობენ დადებით აღიარებით სარჩელებზე (die positive Feststellungsklage), იმ შემთხვევაში, თუკი არ დგინდება სამართალურთიერთობა უარყოფით ან ნეგატიურ აღიარებით სარჩელებზე (die negative Feststellungsklage).(41,42) აღიარებითი სარჩელის საფუძველი არის

არა მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ დაცვის განსაკუთრებული პროცესუალური ფორმა.

აღიარებითი სარჩელი სხვა სახის სარჩელებისაგან (მიკუთვნებითი, გარდაქმნითი) სწორედ იმით განსხვავდება, რომ უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის სასამართლო წესით დადგენისას მხარის მიზანი - იურიდიული ინტერესი-გამოწვეულია მისი სადავოდ ქცეული უფლების სამომავლოდ დაცვით და სასამართლოს მიერ აღიარებული ესა თუ ის ფაქტი სამომავლოდ მხარის სადავოდ ქცეული სხვა უფლების დაცვის უდავო წინაპირობადაა მიჩნეული. აღიარებითი სარჩელი ყოველთვის მიმართულია მხარის უფლების არსებობა-არარსებობის დადგენისა და სამომავლოდ განხორციელებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე არ იქნება მხარის იურიდიული ინტერესი. (139)

აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას სარჩელი თვით ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღიარებითი სარჩელი აღიძვრება მხოლოდ მაშინ, როცა მიკუთვნებითი სარჩელის გამოყენება არ არის შესაძლებელი. ამ გარემოებაზე კანონში უშუალოდ არ არის მითითებული, მაგრამ გამომდინარეობს მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესებიდან აღიარებითი სარჩელის სპეციალური ფორმის მიმართ. ყოველთვის, როცა მოსარჩელეს შეუძლია მიკუთვნებითი სარჩელით სარგებლობა, აღიარებითი სარჩელის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ იქნება ამ უკანასკნელით სამართლებრივად დაინტერესებული, რადგან მას შესაძლებლობა აქვს, სარჩელის სხვა ფორმით უკეთესად მიაღწიოს მიზანს.(19,145)

საინტერესოა საკითხი, როდესაც მოსარჩელე უთითებს ისეთი იურიდიული ინტერესის არსებობაზე, რომელიც იმთავითვე ცხადია, რომ მას არავითარ შედეგს არ მოუტანს, შესაძლებელია თუ არა, მას უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე ან წარმოებაში მიღებაზე? თუ სავალდებულოა მაინცდამაინც საქმის არსებითი განხილვის შემდეგ მას არსებითად ეთქვას უარი დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ მისი იურიდიული ინტერესით მისთვის სასურველი შედეგი არ დადგება?

მაგალითად, 70-მდე ფიზიკურმა პირმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მათ მიერ თვითნებურად დაკავებული ფართის მფლობელებად და მოსარგებლებად ცნობა. ამასთან, იურიდიულ ინტერესად მათ მოიყვანეს შენობის შემდგომი პრივატიზება. მოპასუხეებად მათ სარჩელში მიუთითეს მთელი რიგი ადმინისტრაციული ორგანოები. სარჩელის გაცნობისთანავე ნათელი იყო, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი

მათი იურიდიული ინტერესი ვერ იქნებოდა მიღწეული, ანუ მფლობელად და მოსარგებლედ ცნობას რაიმე გავლენის მოხდენა ფართის პრივატიზებაზე არ შეეძლო. (23,32)

საბოლოოდ, კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: როდესაც მოსარჩელეს შეაქვს სარჩელი, რომლიდანაც იკვეთება, რომ მის სასარჩელო მოთხოვნას არ აქვს პერსპექტივა, ეს იმთავითვე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს. კონკრეტული იურიდიული ინტერესის არსებობა დადგინდება და გამოიკვეთება პროცესის მსვლელობისას. გადაწყვეტილებისადმი იურიდიული ინტერესის არარსებობის საფუძველით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უნდა მოხდეს სარჩელის განხილვის შემდეგ.

ნებისმიერი სარჩელის განხილვისას უნდა დადგინდეს, იურიდიული ინტერესი აქვს თუ არა მოსარჩელეს, რადგან მხოლოდ ფორმალური მითითება სარჩელში, რომ პირს აქვს იურიდიული ინტერესი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ სახეზეა ის იურიდიული ინტერესი, რომელიც შეიძლება დაცული არ იქნეს კანონით. ეს უნდა გაირკვეს პროცესის მიმდინარეობისას და აისახოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტა, რომ დასახელებული ნორმით, აღიარებითი სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე შეზღუდულია იურიდიული ინტერესის არსებობით, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად და გახდეს აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, თუ დასაბუთებულია, ანუ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იკვეთება მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. აღიარებითი მოთხოვნის დასაბუთებულობაზე მსჯელობისას უნდა არსებობდეს სწორედ ამგვარი ინტერესი და არა ისეთი, რომელსაც სუბიექტური დამოკიდებულების შედეგად მხარე საკუთარ იურიდიულ ინტერესად მოიაზრებს. იმგვარ პირობებში, რომელშიც არ არსებობს მხარის მიერ მითითებული ინტერესის დაკმაყოფილების წინაპირობა, საფუძველი ეცლება აღიარებით მოთხოვნას. ამდენად, აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებაზე მსჯელობისას უნდა იქნას შეფასებული მისი იურიდიული ინტერესის მართებულობა.

ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო კრების ოქმის საფუძველზე ამხანაგობის წევრებს გამოეყოთ კონკრეტული ბინები. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე უთითებს, რომ მისი იურიდიული ინტერესია ახალი კრების მოწვევა და ოთხოთახიანი ბინის გამოყოფა ამხანაგობის ქონებიდან. თავისი იურიდიული ინტერესის

ასეთი ფორმულირებით მოსარჩელემ გამოკვეთა საბოლოო მიზანი. ახალი კრების მოწვევა არ წარმოადგენს გარანტიას მოსარჩელისათვის, რომ კრებაზე მისთვის სასურველი შედეგი დადგება და შესაძლებელია, დავა მხარეთა შორის გაგრძელდეს. ამ შემთხვევაშიც, მომავალში დადგება მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის აუცილებლობა.

აღნიშნული მიუთითებს, რომ აღიარებითი სარჩელი არ არის ერთადერთი მოსარჩელის დარღვეული უფლებების დაცვისათვის. ასევე დადგენილია, რომ კრების ოქმის საფუძველზე ბინები აღრიცხულია მოპასუხეთა საკუთრებაში. ბინები გასხვისებულია მესამე პირებზე. ამდენად, კრების ოქმის ბათილად ცნობისას, 2003 წლის 15 თებერვალს არსებული მდგომარეობის აღდგენა მოცემულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით ვერ იქნება მიღწეული.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილება არ არის შესაძლებელი აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით. მოსარჩელეს არ გააჩნია განსახილველი დავის დასაბუთებული და საფუძვლიანი იურიდიული ინტერესი.(18,465)

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, თუ აღძრულია აღიარებითი სარჩელი, მასში უნდა მიეთითოს იურიდიული ინტერესი. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი მოთხოვნის დაწესებამ გამოიწვია მოსარჩელეთა უფლებების გაუმართლებელი ხელყოფა საქმის აღძვრის სტადიაზე. კერძოდ, სასამართლოები სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველად ხშირად უთითებენ, რომ წარმოდგენილია აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელის მიერ მითითებული არ არის იურიდიული ინტერესი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იურიდიული ინტერესი არის არა მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შედეგი, არამედ საზოგადოებაში რეალურად არსებული მოვლენა, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იყოს.(152,3114)

2.3 გარდაქმნითი სარჩელი

სარჩელების კლასიფიკაციის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სამოქალაქო პროცესუალური სამართლის მეცნიერების ისეთ საკამათო საკითხს, როგორცაა გარდაქმნითი სარჩელები. გარდაქმნითი სარჩელების თეორია წარმოაჩინა და დაასაბუთა გურვიჩმა. გარდაქმნითი სარჩელები არის ისეთი სარჩელები, რომლებიც ცვლიან ან წყვეტენ სამართალ ურთიერთობებს სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით და განახორციელებენ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას.

პროფ. თ. ლილუაშვილის შეხედულებით, „გარდაქმნითი სარჩელები, როგორც სარჩელების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახესხვაობა, არაა აღიარებული ყველა პროცესუალისტის მიერ, ისინი თვლიან, რომ ეს სარჩელები სინამდვილეში აღიარებითი სარჩელებია“. (16,287) კერძოდ, გარდაქმნით სარჩელთან დაკავშირებით პროფ. ა. კობახიძე აღნიშნავს, რომ „გარდაქმნითი სარჩელის ცალკე დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა საჭირო არ არის, რადგან ასეთი სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა აღიარებითი სარჩელი... გარდაქმნითი სარჩელის ცალკე დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა, საჭირო აღარაა.“ (11,292-293)

გარდაქმნითი სარჩელის არსებობას აღიარებენ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. აღნიშნული ინსტიტუტი განხილულია უცხოურ პროცესუალისტების მიერ, ამ ინსტიტუტზე აქვთ მოსაზრებები თავიანთ ნაშრომებში დობროვოლსკის და ივანოვას. ნაშრომებში მათ ჩამოყალიბებული აქვთ მოსაზრებები და არგუმენტები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათ აზრს ეყრდნობიან სხვა ავტორებიც, რომლებიც გამოდიან გარდაქმნითი სარჩელების თეორიის წინააღმდეგ.

ამ ავტორთა ძირითადი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ გარდაქმნითი სარჩელების თეორია ეყრდნობა სასამართლოს კანონშემოქმედებით ფუნქციებს, მაგრამ ასეთი ფუნქციები არ ახასიათებს სასამართლოს, რომლის ამოცანაა, არა უფლებებისა და ვალდებულებების შექმნა, არამედ მათი დაცვა, რადგან სასამართლოს არ შეუძლია შექმნას სამართალი, ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილება არ განიხილება, როგორც იურიდიული ფაქტი, რომელსაც კანონი უკავშირებს სადავო სამართალურთიერთობების სახეცვლილებას. ამის საფუძველზე მიაჩნიათ, რომ გარდაქმნითი სარჩელების თეორია არის არამეცნიერული და პრაქტიკაში შედეგის არმქონე.

ვერ დავეთანხმებით მათ მსჯელობას იმ მიმართებით, რომელშიც ისინი მიიჩნევენ, რომ თითქოს სასამართლო არ ქმნის სამართალს და გადაწყვეტილებას არა აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა. იურიდიული ფაქტი უკავშირდება სამართალურთიერთობის

წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. თუმცა პირდაპირ არ აღინიშნება, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოშობს მომავალში ვალდებულებებს და, შესაბამისად, წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს მხარეთა შორის სამართალურთიერთობებს. „სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ნორმას, ქცევის წესს, რომლის შესრულება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სავალდებულოა. ასეთი გადაწყვეტილების და მის საფუძველზე მიღებული აქტის(სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ნოტარიუსის მიერ ცვლილებები იყო შეტანილი სამკვიდრო მოწმობაში) გათვალისწინება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული გადასაწყვეტ დავასთან, ასევე სავალდებულოა სასამართლოსთვის“. (153,1112) „სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა და ის უნდა შესრულდეს, ე.ი. მხარეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წარმოეშობა მისი შესრულების ვალდებულება“. (154,254-255)

კანონის შესაბამისად, გარდაქმნით სარჩელებს მიეკუთვნება ისეთი სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებულ სამართალურთიერთობის შეცვლასა და შეწყვეტაზე. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ბევრი ავტორი, მათ შორის, გურვიჩი და დობროვოლსკი, გარდაქმნით სარჩელებს მიაკუთვნებდნენ აღიარებით სარჩელებს. მაგალითად, გურვიჩი გარდაქმნით სარჩელს მიაკუთვნებდა გარიგების ბათილად აღიარების სარჩელს, ხოლო დობროვოლსკი კი - მამობის დადგენის შესახებ სარჩელს, თუმცა ორივე სარჩელი ტიპური სარჩელია აღიარების შესახებ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი სარჩელი არის უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, ხოლო მეორე კი - დადებითი სარჩელი აღიარების შესახებ.

უარყოფითი სარჩელი აღიარების შესახებ, გარდაქმნითი სარჩელისაგან განსხვავებით, მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არარსებულად აღიარებაზე. დადებითი სარჩელი კი აღიარების შესახებ მიმართულია სადავო სამართალურთიერთობის არსებულად აღიარებაზე.

სარჩელი აღიარებითია თუ მიკუთვნებითი, ეს კლასიფიკაცია დოქტრინის საქმე უნდა იყოს და არა კანონმდებლობისა. რაც შეეხება სასამართლოს, მან მაშინ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, თუ პირს ექნება რეალური იურიდიული ინტერესი.

ამრიგად, ზემო თქმულიდან გამომდინარე შეიძლება განვსაზღვროთ, რომ უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვის ხერხის მიხედვით, სარჩელები იყოფა შემდეგ სახეებად: მიკუთვნებითი, აღიარებითი და გარდაქმნითი.

თავი III. სარჩელის ელემენტები

სარჩელს გააჩნია შინაგანი სტრუქტურა, ანუ შინაარსი, შესაბამისად, ნებისმიერი სარჩელის სამართლებრივი ბუნება უნდა განვსაზღვროთ არა მარტო მისი ფორმალური ნიშნებით, არამედ შინაარსითაც.

სარჩელის შინაგანი სტრუქტურის, ანუ მისი შინაარსის დახასიათებისათვის სამოქალაქო პროცესის თეორიაში გამოიყენება ტერმინი “სარჩელის ელემენტები”. სარჩელის ელემენტებში იგულისხმება ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც მთლიანობაში განსაზღვრავენ მის შინაარსს, განაპირობებენ სარჩელის დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურობას.(91,39-178) სხვაგვარად რომ ვთქვათ, სარჩელის ელემენტები იძლევა უფლებას, განვსაზღვროთ ერთი სარჩელი მეორისაგან, რაც მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ადასტურებს.

სარჩელის ელემენტების საკითხი არის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში. მეცნიერები დავობენ არა მარტო სარჩელის ელემენტების რაოდენობრივ შემადგენლობაზე, არამედ თითოეულის განსაზღვრის

შესახება. ზოგიერთი ავტორი გამოყოფს სამ ელემენტს: საგანს, საფუძველს და შინაარსს (88,150-151) ან მესამე ელემენტად ასევე - მხარეებს. (107,87-88-97) ზოგიც ამტკიცებს სარჩელის ორელემენტოვანი სტრუქტურის არსებობას, რომელშიც, მათი აზრით, შედის მხოლოდ საგანი და საფუძველი.(115,196)

ვფიქრობ, რომ იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც ემხრობიან სარჩელის სამელემენტოვან სტრუქტურას, - რომელშიც გამოიყოფა სარჩელის საგანი, საფუძველი და შინაარსი, - არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღინიშნებოდა, რომ ფილოსოფიური კატეგორიების შესწავლა არის მნიშვნელოვანი პირობა სამართლებრივი თეორიის შემდგომი განვითარებისათვის, მისი მეთოდოლოგიური ჩამოყალიბებისათვის იმ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, რომლებსაც საზოგადოება განსაზღვრავს. (75,76)

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სარჩელის სამ ელემენტოვანი კონსტრუქციის ერთგვარი ხელოვნურობა, რომელშიც მესამე ელემენტი არის სარჩელის შინაარსი. ასეთი შეხედულება სარჩელის შიდა სტრუქტურის შესახებ არ შეესაბამება “შინაარსის” კატეგორიის ფილოსოფიურ განმარტებას. შინაარსი განიხილება, როგორც რაიმე ობიექტის ნაწილების (ელემენტების) ერთობლიობა. შინაარსი, რომელიც მთლიანის განმსაზღვრელი მხარეა, წარმოადგენს საგნის ნაწილების (ელემენტების) ერთობლიობას.”. (118,383)

ავტორთა ნაწილი სარჩელის მესამე ელემენტად მიიჩნევს დაცვის საშუალებას. მაგალითად, პუჩინსკი სარჩელში საგანთან და საფუძველთან ერთად გამოყოფს დაცვის საშუალებას (იურისდიქციულ ფორმას) და ვარაუდობს, რომ სარჩელის მესამე ელემენტის დასაბუთებისათვის ტერმინი “სარჩელის შინაარსი” არ არის გამართლებული, რადგანაც ეს ტერმინი “არ განმარტავს თავად ამ ცნების არსს”.(109,51-52) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვ.კ.პუჩინსკის მცდელობა, დაუკავშიროს სარჩელის ელემენტები სამართლებრივ ნორმას, მის სტრუქტურას.(109,47) ასეთი მიდგომა სარჩელის სტრუქტურის ანალიზისადმი უდავოდ საინტერესოა.

ავტორის აზრით, სარჩელი შედგება სამი ელემენტისაგან: საფუძველის, რომელიც განისაზღვრება სამართლებრივი ნორმის ჰიპოთეზით; საგნის, რომელიც განისაზღვრება ნორმის დისპოზიციით, და დაცვის ხერხისაგან, რომელიც განისაზღვრება სამართლებრივი ნორმის სანქციით. მაგრამ სარჩელის ელემენტების შემადგენლობის განსაზღვრა, აგრეთვე მათი კავშირი სამართლებრივი ნორმების შესაბამის ნაწილებთან, დაცვის საკითხია. თუმცა საფუძველი, როგორც სარჩელის ელემენტი, განპირობებულია არა მარტო ჰიპოთეზით,

არამედ სამართლებრივი ნორმის დისპოზიციითაც. რაც შეეხება დაცვის საშუალებას, როგორც სარჩელის ელემენტს, არ იქნება მართებული განვიხილოთ იგი, როგორც სარჩელის მესამე ელემენტი.

რადგან სარჩელის ელემენტები წარმოადგენენ მისი ინდივიდუალიზაციის საშუალებას, ამ თვალსაზრისით, პროცესუალისტების პოზიცია, რომლებიც ზღუდავენ სარჩელის შინაარსს ორი ელემენტით: საგნითა და საფუძვლით, -მეცნიერთა ნაწილს გაუმართლებლად მიაჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, უფლების ან კანონიერი ინტერესის სარჩელით დაცვის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს დავა უფლებაზე ან კანონიერ ინტერესზე, რაც, თავის მხრივ, ვარაუდობს არსებობას მოდავე სუბიექტების, ანუ მხარეებისა, რომელთაც აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო იურიდიული ინტერესები.

აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ სარჩელის შინაგანი სტრუქტურის განსაზღვრისას ვერ ავუვლით გვერდს ისეთ ელემენტს, როგორიცაა მხარეები. ამის შესახებ წერენ: “სარჩელის საგანი და საფუძველი იღებს აუცილებელ მნიშვნელობას მხოლოდ იმ პირობით, როდესაც საუბარია უფლებების და ვალდებულებების კონკრეტულ მფლობელების შესახებ”. (96,178)

3.1 სარჩელის საგანი და მისი განსხვავება დავის საგნისა და სარჩელის ობიექტისგან (პრაქტიკული ასპექტები)

სამოქალაქო-პროცესუალურ ლიტერატურაში სარჩელის საგანი განსაზღვრულია სახვადასხვაგვარად: როგორც მოსარჩელის მოპასუხისადმი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა(116,148), როგორც „სადავო სამართლებრივი ურთიერთობები(112,6-7) როგორც უფლება, რომელსაც ესაჭიროება დაცვა (85,6), როგორც - დაცვა (121,20); როგორც - დაცვის საშუალება.(120,91-93)

ვფიქრობ, ავტორთა ნაწილი არასწორად მიიჩნევს სარჩელის საგნის განმარტებას, როგორც მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას მოპასუხისადმი. ზოგიერთი ავტორის აზრით, ასეთი განმარტება საშუალებას გვაძლევს სარჩელის საგანი განვმარტოთ ზუსტად, როგორც მოთხოვნა, რომელსაც წაუყენებენ სასამართლოს მეშვეობით ვალდებულ პირს”(104,53). ანალოგიური მოსაზრებით, მიუღებელია სარჩელის საგნის განსაზღვრა, როგორც სადავო სამართლებრივი ურთიერთობისა (90, 34-37).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტი გახდა მასში დავის საგნის მითითება. (178-ემუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ამავე დროს, დასახელებული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს დავის საგნის გარდა მოსარჩელის მოთხოვნის მითითებასაც. როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ მოსარჩელის მოთხოვნაა სარჩელის საგანი. რაც შეეხება დავის საგანს, საჭიროა განიმარტოს, თუ რას გულისხმობს მასში საპროცესო კოდექსი. შესაბამისად, საინტერესოა გაირკვეს და დაზუსტდეს ტერმინოლოგიური საკითხიც, რაც, ამავდროულად, ნორმათა სწორი განმარტებისა და პრაქტიკაში სწორად გამოყენების საწინდარიც არის.

ჩვენი აზრით, ტერმინი - „დავის საგანი“ - სამოქალაქო საპროცესო კოდექსში კონტექსტების გათვალისწინებით სამი მნიშვნელობით გამოიყენება. კერძოდ, ერთ შემთხვევაში, ის გულისხმობს მოსარჩელის მოთხოვნას და ამ მხრივ ემთხვევა სარჩელის საგანს, მეორე შემთხვევაში, ის შეიძლება გამოიყენებოდეს სარჩელის ობიექტის, ანუ მოსარჩელის მოთხოვნის ოდენობის (მოცულობის) მნიშვნელობით, ხოლო მესამე შემთხვევაში - ის გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობას.

ამასთან, დავის საგნის კატეგორია (ტერმინი) შესაძლოა ერთბაშად გულისხმობდეს სამივე ზემოაღწერილ მნიშვნელობას. მაგალითად, სსსკ-ს მე-3 მუხლის თანახმად, მხარეები განსაზღვრავენ დავის საგანს. აქ იგულისხმება, რომ მხარემ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობას ხდის სადავოდ, ამ ურთიერთობიდან რა მოთხოვნას უყენებს მოპასუხეს და რა მოცულობით. სსსკ-ს 381-ე მუხლი დავის საგანში მოიაზრებს, როგორც სარჩელის საგანს, ისე ობიექტს. სსსკ-ს 272-ე მუხლის „ა¹“ ქვეპუნქტი კი - მასში გულისხმობს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არ არსებობას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სამომავლოდ გაუგებრობების და ნორმათა არასწორად გაგების თავიდან აცილების მიზნით, დაზუსტდეს ტერმინები. მოხერხებული იქნება ქართული სიტყვების გამოყენება-მოთხოვნა, მოთხოვნის ოდენობა, სამართლებრივი ურთიერთობა - რაც ნათელს გახდის ნორმათა შინაარსს. (იხ.დანართი N2)

რაც შეეხება სარჩელის ობიექტს, იგი ის მატერიალური სიკეთეა, რომლის შესახებაც აღძრულია სარჩელი და რომლის მიღებასაც მოსარჩელე ითხოვს. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ნივთი, საგანი, რომელიც საქმეში ფიგურირებს სწორედ სადავო

სამართალურთიერთობის ობიექტის სახით; ფულადი თანხა, რომელიც გადაცემულ ან გადახდილ უნდა იქნას. მაგალითად, მესაკუთრე მოითხოვს (სარჩელის საგანი) თავისი ქონების (მატერიალური ობიექტი) დაბრუნებას. სარჩელის საგანი შეეხება სარჩელის მატერიალურ ობიექტს. კერძოდ, როცა საუბარია სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის გადიდების (გაზრდის) ან შემცირების შესახებ, ამ შემთხვევაში იცვლება სარჩელის მატერიალური ობიექტის რაოდენობრივი მხარე და არა სარჩელის საგანი. (25,299)

სარჩელის საგანთან დაკავშირებულია მოსარჩელის უფლება, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა სარჩელის შეტანის შემდეგ, მაგრამ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე (83-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ასევე ამ საკითხთანაა დაკავშირებული ისიც, რომ სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა (248-ე მუხლი).

ამრიგად, მოსარჩელის დისპოზიციური უფლებაა (თავად განკარგავს იგი ამ საპროცესო უფლებას), განსაზღვროს მოთხოვნათა მოცულობა. სარჩელის საგანი შემდეგ ხდება სასამართლო გადაწყვეტილების საგანი.(25,300) ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს განმარტება 83-ე მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია კასატორთა მოსაზრება, რომ სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა 83-ე მუხლიდან გამომდინარე სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასარჩელო მოთხოვნის გაზრდისათვის საჭირო წერილობითი ფორმის და აღნიშნულზე მოპასუხის თანხმობის არარსებობა. სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით, დადგენილია რა მხარის უფლება, სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტების თაობაზე, მოსარჩელეს აღნიშნული შეუძლია განახორციელოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და ამისთვის მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის.(24,172)

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელეს პირველი ინსტანციის სასამართლოში არ შეუცვლია თავისი მოთხოვნის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი. იგი სარჩელში უთითებდა, რომ დაირღვა მისი შრომითი უფლებები, უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან, ხოლო მთავარ სხდომაზე ასევე დაამატა, რომ მისი უფლება შრომის წიგნაკის დაყოვნებითაც დაირღვა. ამდენად, მოსარჩელეს დაცვის საგანი და საფუძველი არ შეუცვლია, მან მხოლოდ დაამატა ახალი ფაქტები და, შესაბამისად, გაზარდა მოთხოვნა და შრომის წიგნაკის

დაყოვნებისათვის მოითხოვა ანაზღაურება. (24,96) მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სწორად შეაფასა მდგომარეობა.

რაც შეეხება უფლებას, რომელიც უნდა იყოს დაცული, ის არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სარჩელის საგანი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ სარჩელი იცავს არა მარტო უფლებებს, არამედ კანონიერ ინტერესებსაც. ამის გარდა, პიატილეტოვის აზრით, “სარჩელის საგნის განსაზღვრა, როგორც უფლებისა, იძლევა ამ უფლების განკარგვის შესაძლებლობას - დისპოზიციურობის პრინციპზე დაფუძნებული სარჩელის შეცვლის ინსტიტუტის გამოყენებით”.(110,169) დაცვის სასარჩელო ფორმის ლოგიკა და პრაქტიკა კარნახობს უფლების ან კანონიერი ინტერესის ჩართვის აუცილებლობას სარჩელის საფუძველში და არა მის საგანში. სადავო მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების უფლებამოსილი სუბიექტი დაინტერესებულია არა თვით უფლებით (ინტერესით), რადგანაც მას ის აქვს, არამედ წინააღმდეგობების აცილებით, მის მიერ უფლების ან კანონიერი ინტერესის განხორციელებისას მესამე პირის უკანონო ჩარევის აცილებით. ამისათვის კი აუცილებელი ხდება სახელმწიფო ძალის ჩარევა სასამართლოს სახით.

უფლების ან ინტერესის დაცვის ხერხი (ანუ სარჩელის საგანი) და სარჩელი, როგორც დაცვის მოთხოვნა, შეფარდებულია ერთმანეთთან ისევე, როგორც ნაწილი და მთელი. უფლების (ინტერესის) დაცვა და სარჩელი, როგორც დაცვის მოთხოვნა, შეფარდებულია როგორც მიზანი და მისი მიღწევის საშუალება. (107,91)

უფლების (ინტერესის) დაცვა არ განიხილება, როგორც სარჩელის საგანი, თუნდაც იმიტომ, რომ დაცვა შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ შეიძლება პირმა მასზე თქვას უარი, მაგრამ მისი შეცვლა, როგორც სარჩელის საგნისა, შეუძლებელია (უფლების ან ინტერესის დაცვის საშუალებისაგან განსხვავებით). სარჩელის ელემენტები, როგორც ცნობილია, არის მისი ინდივიდუალიზაციის საშუალება. აქედან გამომდინარე, სარჩელის საგანი, რომელიც განიმარტება როგორც დაცვა, დაკარგავს თავის ინდივიდუალურ მნიშვნელობას, იმიტომ, რომ, ყველა სარჩელი, თავისი საგნის თვალსაზრისით, აღმოჩნდება იდენტური.(107,92)

3.2 სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი

სარჩელის მეორე ელემენტად საგანთან და ერთად მიიჩნევენ საფუძველს. სარჩელის საფუძველის ქვეშ გულისხმობენ იმ ფაქტებს, რომლებიც ასაბუთებს უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის მოთხოვნას. (122,17-133) სარჩელის საფუძველში შედის მხოლოდ იურიდიული ფაქტები, ანუ ფაქტები, რომლებთანაც მატერიალური უფლების ნორმები აკავშირებს სადავო მატერიალურ - სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების უფლებისა და მოვალეობის შეცვლას ან შეწყვეტას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დისკუსია სარჩელის სამართლებრივი (იურიდიული) საფუძველისა და მისი შინაარსის შესახებ.

დასაბუთებულად მიაჩნიათ იმ ავტორთა აზრი, რომლებიც განარჩევენ სარჩელის ფაქტობრივ და იურიდიულ სამართლებრივ საფუძველს. (111,9-11) სარჩელში ფაქტობრივთან ერთად იურიდიული (სამართლებრივი) საფუძველის გამოყოფა ნაკარნახევია იმით, რომ სარჩელი წარმოადგენს უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის შესახებ მოთხოვნას. ამიტომ სანამ სასამართლო დაიწყებს დარღვეული უფლების (ინტერესის) დაცვას, ის საქმის სამართლებრივი გადაწყვეტის პროცესის განმავლობაში უნდა დარწმუნდეს როგორც თვით უფლების (კანონიერი ინტერესის) რეალურად არსებობაში, აგრეთვე იმაში, ეკუთვნის თუ არა ის იმ პიროვნებას, რომელმაც წარადგინა სარჩელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას სარჩელის იურიდიული (სამართლებრივი) საფუძველის შესახებ. (78,58-59) მაგალითად, ვიკუტი თვლის, რომ მოსარჩელეს არ უნდა ეთქვას უარი სარჩელის მიღებაზე, თუ მას სასარჩელო განაცხადში არა აქვს თავისი სარჩელის სამართლებრივი დასაბუთება. თანაც, ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ სარჩელის სამართლებრივი საფუძველი არ ეფუძნება კანონს. (77,21) ის, რომ მოსარჩელები არ არიან ვალდებული, მიუთითონ თავიანთ სარჩელში შესაბამისი კანონის ნორმები, აიხსნება იმით, რომ კანონმდებელი ცდილობს, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს მართლმსაჯულება ყველა მოქალაქისათვის, ხოლო საკითხის გადაწყვეტა ხდება დიფერენცირებულად. სარჩელის იურიდიული საფუძველის არსებობის აღიარებასთან ერთად შეუძლებელია განვმარტოთ იგი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა(90,43), ვინაიდან მიაჩნიათ, რომ მას არ ითვალისწინებს სარჩელის ყველა სახე.

რაც შეეხება სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს, მასში შედის იურიდიული ფაქტები. მათ მიეკუთვნება უფლების წარმომქნელი ფაქტები (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტი კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით უქმნის მოსარჩელეს

საკუთრებაზე); უფლების წარმოქმნის ხელშემშლელი ფაქტები (მაგალითად, როდესაც არ არის დაცული გარიგების დადებისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმა); უფლების შემცვლელი ფაქტები (მაგალითად, ალიმენტის გადამხდელი პირის მძიმე მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა); უფლების შემწყვეტი ფაქტები (მაგალითად, იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლა). გარდა ჩამოთვლილი ფაქტებისა, სარჩელის ფაქტობრივ საფუძველში შედის აგრეთვე ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევას ან უარყოფას (მაგალითად, იჯარის გადასახადის გადაუხდელობა).

ამგვარად, სარჩელის საფუძველში გამოიყოფა ორი ნაწილი: იურიდიული და ფაქტობრივი. სარჩელის ორივე ნაწილი ურთიერდაკავშირებული და ურთიერგანპირობებულია იმიტომ, რომ რეალური სინამდვილის ფაქტებს ექნებათ იურიდიული მნიშვნელობა, თუკი ისინი სადავო უფლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ კანონთან კავშირში განაპირობებენ სადავო უფლების ან ინტერესის შეცვლას ან შეწყვეტას. იურიდიული ფაქტები, რომლებსაც შეიცავს სარჩელის საფუძველი, განაპირობებს მის შემადგენლობაში სამართლის ნორმების შეტანასაც (მისი იურიდიული ნაწილის გამოყოფას), რასაც ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება.

როდესაც ავტორი გვთავაზობს იურიდიული კვალიფიკაციის განხილვას, როგორც სარჩელის დამოუკიდებელი ელემენტისა, ამით ის ართულებს სარჩელის კონსტრუქციას. სარჩელის დასაბუთება, როგორც მოთხოვნის უფლებისა კანონიერი ინტერესის დაცვის შესახებ, განისაზღვრება არა ნებისმიერი ფაქტით, არამედ მხოლოდ იმ ფაქტებით, რომლებსაც აქვთ იურიდიული მნიშვნელობა სასამართლოს მიერ მისი მართებულად გადაწყვეტისათვის. ამიტომაც ფაქტების იურიდიულ კვალიფიკაციას აქვს პირდაპირი და უშუალო კავშირი სარჩელის საფუძველთან და გავლენას ახდენს ამ უკანასკნელის იურიდიულ ბედზე “დასაბუთების” კატეგორიის მეშვეობით.

სარჩელის ელემენტებთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილები წარმოადგენენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელს და განსხვავებულს, მაგრამ ისინი არიან ნაწილები მხოლოდ თანაფარდობის თვალსაზრისით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთად აღებული, ისინი შეადგენენ მთლიანს. (79,301)

აქედან გამომდინარე, “ცალკეული ნაწილის ამოღება, მათი ერთობლივად განხილვის შეუძლებლობა აუცილებლად იწვევს შეცდომების დაშვებას პრაქტიკაში”. (94,90) სარჩელისა და მისი ელემენტების ურთიერთმიმართება ნიშნავს, რომ ერთი, ცალკე აღებული, ელემენტი არ შეიძლება სწორად იყოს გაგებული. აქედან გამომდინარე, სარჩელის ელემენტის

დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან ახსნას სარჩელის შინაარსი, როგორც მოთხოვნა უფლებებისა და ინტერესების შესახებ. სარჩელის ყოველი ელემენტი ატარებს განსაზღვრულ აზრობრივ დატვირთვას, ახასიათებს სარჩელის ერთ-ერთ არსებით მხარეს.

სარჩელის საგანი, როგორც მისი შინაარსის ელემენტი, პასუხობს კითხვაზე, თუ რას ითხოვს კონკრეტულად, რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს.

სარჩელის საფუძველი, როგორც მისი შინაარსის ელემენტი, პასუხობს კითხვაზე: რომელი ფაქტებზე დაყრდნობით ითხოვს მოსარჩელე თავისი უფლების (ინტერესის) დაცვას.

ამგვარად, სარჩელის ელემენტების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მათგანი აუცილებელია, ხოლო ყველა ერთად საკმარისია სარჩელის ინდივიდუალური ალიზაციისათვის. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, როდესაც წყდება საკითხი სარჩელთა იგივეობასთან დაკავშირებით. სარჩელები ერთნაირი იქნება, ე.ი. სარჩელთა იგივეობასთან გვექნება საქმე, თუ მათში აბსოლუტური სახით ერთმანეთს დაემთხვევა ამ სარჩელების საგანი და საფუძველი და თუ საქმეში მონაწილეობენ იგივე მხარეები. „სარჩელთა იგივეობის“ ცნების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს იურიდიულ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ერთი და იმავე სარჩელების განმეორებითი განხილვის საკანონმდებლო აკრძალვა. (25,301-302)

თავი IV. სარჩელის მიღების პირობები და მისი მოპასუხისათვის ჩაბარების თავისებურებანი

სარჩელმა უფლების დაცვის საპროცესო საშუალების როლი რომ შეასრულოს, ის უნდა წარედგინოს განსახილველად და გადასაწყვეტად საერთო იურისდიქციის სასამართლოს - საპროცესო კანონით დადგენილი წესით. სსკ-ს 186-187-ე მუხლებში მითითებულ ყველა მოქმედებას საქმის აღძვრის სტადიაზე მოსამართლე ერთპიროვნულად ასრულებს. ამიტომ იმაზე, თუ რამდენად სწორი და თანმიმდევრულია მოსამართლის მოქმედებები და გადაწყვეტილებები საქმის აღძვრის სტადიაზე, დამოკიდებულია, რეალურად განხორციელდება თუ არა დაინტერესებული პირის კონსტიტუციური უფლება სასამართლოსადმი მიმართვის საკითხში, თუ უარი ეთქმება მას უფლების სასამართლო წესით დაცვაზე.

საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, სასამართლო 5 დღის ვადაში წყვეტს სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით არ მიიღება განჩინება. სასარჩელო წარმოებაში გამოყენებული წესები საერთოა სამართალწარმოების ყველა სახისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს წესები ყველა შემთხვევაში მოქმედებს, თუ კანონით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. კერძოდ, არა სასარჩელო წარმოების საქმეებისათვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურება და ეს თავისებურება გამონაკლისია ამ საერთო წესებიდან. მაგალითად, ეს ითქმის უდავო წარმოების ზოგიერთ თავისებურებაზე (311-ე მუხლი). (25,347)

სამოქალაქო პროცესს, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, აქვს ფორმალური და იმპერატიული ხასიათი.(42,2) ინგლისის სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, დოქტრინაში აღნიშნავენ ინგლისის სასამართლოთა აქტიურ როლს. ისინი მხარის მიერ შესაბამისი მოქმედებების განხორციელების მოლოდინში იწყებენ საკუთარი შეხედულებების შესაბამის მიდგომას საქმის მომზადებისათვის.(48,27)

ამერიკის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს, ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი-სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში ძირითადად რეგულირდება ფედერალური და შტატის კანონმდებლობით. იმისათვის, რომ პირმა - ფიზიკურმა პირმა, კორპორაციამ და ა.შ. დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლება, მან სარჩელი (complaint) უნდა აღძვრას სასამართლოში. სარჩელის რეგისტრაციით სასამართლოში იწყება სამოქალაქო დავა.

სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების E-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით სარჩელის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლოს კლერკი (clerk of the court).(44) ფედერალური სამოქალაქო საპროცესო წესების 77-ე და 79-ე მუხლებით, კლერკის, როგორც სასამართლო თანამშრომლის (Officer of court), ძირითად ფუნქციებს შეადგენს წერილობითი შეჯიბრის დროს მოპოვებული დოკუმენტების, შუამდგომლობების, სასამართლო ბრძანებების, გადაწყვეტილებების და სხვა პროცესუალური საკითხების რეგისტრაცია და მოთავსება ე.წ. civil docket-ში, ანუ სპეციალურ რეესტრის წიგნში.

თუ სარჩელი შეტანილია ფედერალურ სასამართლოში, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს იმ სასამართლოს იურისდიქციის საფუძველი, რომელშიც სარჩელი შეიტანა. მაგალითად, დაასაბუთოს, რომ სადავო საქმე ემყარება ფედერალურ წესებს ან კიდევ, რომ მხარეები არიან სხვადასხვა შტატის მაცხოვრებლები. ფედერალური წესები, კერძოდ, მე-8 მუხლი, ავალდებულებს მოსარჩელეს, რომ მან სარჩელში მოკლედ და ზუსტად ასახოს თავისი მოთხოვნა. მაგალითად, ამავე წესების მე-8 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1) სასამართლოს იურისდიქციის საფუძველი, ე.ი. დაასაბუთოს, თუ რატომ შეაქვს სარჩელი სწორედ იმ სასამართლოში და არა სხვა სასამართლოში;

2) მოკლედ და ნათლად მიუთითოს და დაასაბუთოს, რომ მას ე.ი. განმცხადებელს, აქვს სასამართლო დაცვის უფლება;

აღნიშნული წესი განსხვავებულად მოქმედებს ცალკეულ შტატებში. მაგალითად კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425.10-ე მუხლი ოდნავ განსხვავებულად მიუთითებს, რომ სარჩელი, გარდა მოთხოვნაზე მითითებისა, უნდა შეიცავდეს იმ ფაქტებზე მითითებას, რომლებიც ქმნიან სარჩელის საფუძველს, რაც სავსებით სწორი მიდგომაა. სამხრეთ კაროლინას შტატის კანონთა კრებულის 632. 10 - ე მუხლი კი მიუთითებს, რომ სარჩელის საფუძველი არის ფაქტების ერთობლიობა. სიტყვა „ფაქტებში“ მოაზრება, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული ფაქტები.

3) მოთხოვნა, რომ სასამართლო დაცვიდან გამომდინარე, მიღებული იქნას გადაწყვეტილება.

მოსამართლეები სწავლობენ მოსამზადებელ სტადიაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს არა იმისათვის, რომ დაეხმარონ მხარეებს და ურჩიონ, შეცვალონ ან დაამატონ რამე, არამედ იმისათვის, რომ თავად იყვნენ მომზადებული საქმის მოსმენის დროს. ამიტომაც

რასაც ღებულობენ ერთი მხარისაგან, იმის ასლს უგზავნიან მეორე მხარეს. მიღებული მასალა კი შემდგომში ხდება მხარეებს შორის თავდაცვისა და შეტევის საფუძველი.

სარჩელის შეტანასთან ერთად საინტერესოა სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხიც. ფედერალური წესების მე-3 მუხლით: „სამოქალაქო პროცესი იწყება სასამართლოში სარჩელის შეტანით“. სარჩელის შეტანისთანავე სასამართლოს კლერკი ატარებს მას რეგისტრაციაში, გამოწერს უწყებას და უგზავნის მოპასუხეს.

აღნიშნული ფედერალური წესის პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხსაც გადაწყვეტდნენ, მაგრამ სხვადასხვა შტატის საპროცესო წესებში აღნიშნული საკითხი ზოგჯერ არაერთგვაროვნადაა გადაწყვეტილი.(13,292) მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სამოქალაქო საპროცესო წესების 203-ე და 304-ე პარაგრაფები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ სარჩელის რეგისტრაციის ფაქტს და უთითებენ, რომ სამოქალაქო დავა აღიძვრება და ხანდაზმულობის მიმდინარეობა შეწყდება, როდესაც მოპასუხეს გადაეცემა სასამართლო უწყება, ან როდესაც პუბლიკაციის მეშვეობით იქნება გამოძახებული მოპასუხე და ა.შ.

ამრიგად, სარჩელის შეტანის შემდეგ ხდება მოპასუხის სახელზე უწყების (summons) გაგზავნა. ეს მოქმედება არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ მოქმედებას, მას დიდი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მასზეა დამოკიდებული უფლების (ინტერესის) დაცვის შემდგომი მსვლელობა.

სასამართლო უწყებას ხელს აწერს სასამართლოს კლერკი, მას ადასტურებს სასამართლოს ბეჭდით, უთითებს სასამართლოს და მხარეებს, მოსარჩელის ადვოკატის სახელს და მისამართს, თუ მოსარჩელეს არ ჰყავს ადვოკატი, მაშინ - მოსარჩელის სახელს და მისამართს. უწყებაში ასევე უნდა აღნიშნოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მოპასუხემ სარჩელს უნდა უპასუხოს, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ თუ პასუხს არ გასცემს სარჩელს, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მოპასუხის წინააღმდეგ.(13,293)

ნიუ-იორკის შტატის წესების 305-ე მუხლის შესაბამისად, უწყებაში უნდა დასაბუთდეს აგრეთვე საქმის განხილვის თაობაზე სასამართლოს უფლებამოსილებაც. საერთოდ, უწყება სარჩელთან და მასზე დართულ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება მოპასუხეს, მაგრამ თუ უწყებასთან ერთად მას არ ეგზავნება სარჩელი, მაშინ უწყებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე სარჩელის საგანი, მოთხოვნა და სარჩელის სხვა ძირითადი ელემენტები. გარდა ამისა,

განსხვავებულია პასუხის გაცემის ვადებიც, მაგალითად, კალიფორნიაში, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 412.20 მუხლით გათვალისწინებულია პასუხის გაცემის 30 დღიანი ვადა.

ფედერალური წესების მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით: „სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ მოსარჩელემ შეიძლება გადასცეს უწყება სასამართლოს კლერკს ხელის მოსაწერად და ბეჭდით დადასტურებისთვის. თუ უწყება სწორად არის შედგენილი, სასამართლოს კლერკი ხელს აწერს მას, ადასტურებს ბეჭდით და უბრუნებს მოსარჩელეს, რათა მან გადასცეს მოპასუხეს. თუ უწყება გათვალისწინებულია რამდენიმე მოპასუხისათვის, მაშინ თითოეულ მათგანს უნდა გადაეცეს იგი.“

სარჩელის უფლების (კონკრეტულად კი - სარჩელის შეტანის უფლების) განხორციელების კანონით დადგენილ წესს, თეორიაში სარჩელის შეტანის უფლების განხორციელების პირობებს უწოდებენ.

სარჩელის უფლება შეიძლება წარმოიშვას და არსებობდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამისთვის არსებობს კანონით დადგენილი პირობები. ამასთან, ეს წინაპირობები საკმარისი არაა, არამედ საჭიროა ამ უფლების სწორად განხორციელება. სარჩელის შეტანა უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედებაა. სარჩელის შეტანა ნიშნავს, მიმართო სასამართლოს განცხადებით, რომ მან განიხილოს უფლების შესახებ მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. სამოქალაქო საქმე რომ აღიძრას, არ არის საკმარისი მხოლოდ სარჩელის შეტანა სასამართლოში. სამოქალაქო საქმე რომ აღიძრას, მოსამართლემ დადებითად უნდა გადაწყვიტოს სარჩელის სასამართლოს წარმოებაში მიღების საკითხი.

თუ პირს აქვს სარჩელის შეტანის უფლება, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, დაცულია თუ არა ამ უფლების განხორციელების წესები. თუ მოსამართლე დაასკვნის, რომ სარჩელის შემტანს აქვს სარჩელის შეტანის უფლება, მაშინ მან უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორადაა განხორციელებული ეს უფლება, კერძოდ, დაცულია თუ არა საპროცესო კანონით დადგენილი მისი განხორციელების პირობები. მოსამართლე მიიღებს განცხადებას (სარჩელს), თუ მოსარჩელეს აქვს სარჩელის (განცხადების) უფლება და ამასთან, შეიტანა იგი კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. მაგრამ, სანამ გადაწყდება სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხი, მანამდე იგი გადის ფორმალურ შემოწმებას კანცელარიაში რეგისტრაციის დროს. აღნიშნულ წესს ითვალისწინებს სსსკ-ს 183-ე მუხლი.

სარჩელი არ დარეგისტრირდება, თუკი არ აკმაყოფილებს შემდეგ ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მოთხოვნებს:

ა) არ არის შეტანილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით;

ბ) მის ფორმაში არ არის აღნიშნული კანონით (178-ე მუხლით) გათვალისწინებული რეკვიზიტები;

გ) არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი), (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია სახ. ბაჟისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის, გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების შუამდგომლობა);

დ) არ ერთვის თანდართული დოკუმენტების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი;

ე) არ ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს;

ვ) არ არის ხელმოწერილი;

ზ) არ არის წარმოდგენილი სარჩელის და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

186-ე მუხლში მოცემულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები. კერძოდ, თუკი სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ და ა.შ.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სარჩელის წარდგენა (Die Klageerhebung) ხორციელდება სასარჩელო განცხადების წარდგენის შეტანით (Der Klageschrift), რომელიც წარმოადგენს დაინტერესებული პირის შუამდგომლობას მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

სარჩელის წარდგენა, როგორც პროცესუალური მოქმედება, რამდენიმე სტადიისაგან შედგება. სარჩელისადმი წაყენებული მოთხოვნები მოცემულია გერმანიის საპროცესო კოდექსის 253-პარაგრაფში, რომლის თანახმად, სარჩელის წაყენება ხორციელდება სასარჩელო განცხადების წარდგენით, რომელიც უნდა შეიცავდეს:

1) მხარეთა და სასამართლოს დასახელებას;

2) მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძვლისა და სარჩელის საგნის დასახელება;

3) სადავო საგნის ღირებულების მითითება.

განცხადებები თუ ახსნა-განმარტებები სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით, - შესაბამისი ასლების რაოდენობით. ამასთან, სასარჩელო განცხადებაში გამოიყენება პროცესუალური დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ზოგადი მოთხოვნები. ეს ნიშნავს, რომ სასარჩელო განცხადება უნდა შეიცავდეს ასევე სხვა რეკვიზიტებს, რომლებიც მოცემულია 130-პარაგრაფში, ასევე დაზუსტებულია 253-პარაგრაფში. სასარჩელო განცხადება უნდა შეიცავდეს:

- 1) მხარისა და კანონიერი წარმომადგენლის შესახებ ინფორმაციას;
- 2) სასამართლოს დასახელება, დავის საგნისა და დანართების რაოდენობა;
- 3) შუამდგომლობა, რომელსაც მხარე დააყენებს სასამართლოში საქმის განხილვის დროს;
- 4) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მოთხოვნა ეფუძნება;
- 5) მოწინააღმდეგის სადავო ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ახსნა-განმარტება;
- 6) მტკიცებულებათა ჩამონათვალი;

7) საადვოკატო პროცესების დროს (იგულისხმება სამოქალაქო პროცესი, რომლის დროსაც მხარეთა ყველა პროცესუალური მოქმედების შესრულება ადვოკატის წარმომადგენლობით ხორციელდება) საჭიროა ადვოკატის ხელმოწერა, ხოლო სხვა სახის პროცესებზე თავად მხარის ხელმოწერა ან იმ პირისა, რომელიც არის შესაბამისად უფლებამოსილი.

როგორც გერმანიის საპროცესო კოდექსის 194-ე და 241-ე პარაგრაფებიდან გამომდინარეობს, მოთხოვნა, რომელსაც სარჩელი შეიცავს, მიმართული უნდა იყოს მოპასუხის იძულებაზე - შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონიერ საფუძვლებს, რაც, თავის მხრივ, საფუძველი გახდება მოპასუხის მხრიდან ასეთ მოქმედების განხორციელებისათვის.(65,378)

მნიშვნელოვანი და აქტუალურია სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარების წესი სამოქალაქო პროცესში. 2012 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილება. თუმცა, როგორც სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, სამართალწარმოებაში სიახლეები არასწორად დამკვიდრდა, რაც, განაპირობებს სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტების არსებით საპროცესო და მატერიალურ უფლებათა მასობრივ დარღვევას.(26,35)

ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის კანონში შესულ ცვლილებათა საკანონმდებლო ფორმულირებების დაუხვეწაობა და, მეორე მხრივ, თუნდაც ამგვარი დაუხვეწავი ნორმების მიუხედავად, სასამართლოთა მიერ მათი არასწორი განმარტება და გამოყენება.

კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 183-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის რეგისტრაციის წესს, რომელიც სასამართლოს კანცელარიის ფუნქციაა. სსკ-ის 184-ე მუხლი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების პროცედურას აწესრიგებს. ამ ნორმათა მიხედვით, განსაზღვრულია სუბიექტთა წრე, რომელთაც თავად ევალებათ სასამართლოს გზავნილის (რომელშიც იგულისხმება სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) მოპასუხისათვის ჩაბარება.

სსკ-ს 185-ე მუხლი კანონიდან ამოღებულ იქნა, ხოლო 186-ე მუხლით კი განისაზღვრა 5-დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლე არ მიიღებს სარჩელს. ცვლილებების შემდგომ აღარ ხდება განჩინების მიღება საქმის წარმოებაში რეგისტრაციის თაობაზე. მხოლოდ უარყოფით შემთხვევაში იღებს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოპასუხისათვის გადასაცემი გზავნილი, რომლის მოპასუხისათვის ჩაბარებაც ევალებათ სსკ-ს 183-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს, მოიცავს სარჩელს, სარჩელზე თანდართულ დოკუმენტებს, სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმას, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად. რაც შეეხება სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ განხორციელებულ ღონისძიებებს, მოსარჩელეს გადაეცემა ყველა დასახელებული დოკუმენტის გზავნილი (კონვერტი) მოპასუხისათვის ჩასაბარებლად.

სარჩელის განსახილველად მიღების შემდეგ სასამართლო ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, როგორებიც არის:

1. მოსარჩელესთან ან წარმომადგენელთან ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით დაკავშირება;
2. სარჩელის მიღების შესახებ მოსარჩელის ინფორმირება;
3. გზავნილის მოპასუხისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში 2 თვის ვადაში წარმოდგენის ვალდებულების განმარტება;
4. მოსარჩელის ინფორმირების შესახებ აქტის შედგენა, რომელიც საქმეს დაერთვის.

მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია შესაგებლის წარუდგენლობის გამო მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა, რომელიც ასახულია 232-ე პრიმა მუხლში. თავის მხრივ, აღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობაა 201-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა მოპასუხის მიერ. აქვე ისიც აღინიშნება, რომ 232-ე პრიმა მუხლი მიუთითებს 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობაზე.

ცვლილებათა შედეგად ამგვარი ქვეპუნქტი 201-ე მუხლს აღარ გააჩნია, მაგრამ ამავე მუხლის პირველ ნაწილში დარჩა არსებითი და იმპერატიული წესი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს თავისი შესაგებელი.

სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი, თუ რა იგულისხმება ცნებაში სასამართლო. მართებულად აღინიშნება, რომ სასამართლოს ცნებაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სასამართლოს კანცელარია.(26,36) მით უფრო, მოქმედი ნორმების თანახმად, კანცელარიას ევალება მარტოოდენ ფორმალური გამართულობის კონტროლი და არცერთი ნორმით არ აქვს მინიჭებული მოპასუხისათვის შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრის ფუნქცია. ეს მოსაზრება მყარდება იმითაც, რომ 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ შესაგებლის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე-21 დღეს. **(იხ. დანართი)**

ბუნებრივია, საკითხი იმის შესახებ რთული კატეგორიისა არის თუ არა საქმე, სასამართლომ უნდა განსაზღვროს; მასვე ევალება, საქმის სირთულიდან გამომდინარე, შესაგებლის წარდგენის ოპტიმალური ვადის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე კი, შეიძლება დასკვნის სახით ვთქვათ, რომ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განსაზღვრულ იქნას მოპასუხისათვის შესაგებლის წარმოდგენის ვადა, რაც წარმოებაში მიიღება სარჩელი, ე.ი. როდესაც პირი მიიღებს მოპასუხის სტატუსს.

შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა საპროცესო ურთიერთობაა. როგორც ცნობილია, საპროცესო ურთიერთობა მხარეებს შორის არ წარმოიშობა. საპროცესო ურთიერთობა წარმოიშობა ცალ-ცალკე თითოეულ მხარესა და სასამართლოს შორის, მას შემდეგ, რაც სარჩელი იქნება წარმოებაში მიღებული. კანცელარიას არ აქვს უფლება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გადასაცემ კონვერტში, რომელშიც მოთავსებულია სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, განათავსოს სასამართლოს შესაბამისი მოხელის

მიერ ხელმოწერილი გზავნილის ფორმა, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრება ვადა შესაგებლის წარმოსადგენად.(26,37)

დღესდღეობით კი ამგვარი პრაქტიკაა ჩამოყალიბებული: სარჩელი დარეგისტრირებულია, იგი ჯერ არ გადასცემია მოსამართლეს, სარჩელი წარმოებაში არ არის მიღებული, სუბიექტს არ შეუძენია მოპასუხის სტატუსი, ხოლო კანცელარია ითავსებს მოსამართლის ფუნქციას და წინასწარ განსაზღვრავს შესაგებლის შეტანის სტანდარტულ ვადას, რომელიც შეადგენს ათ დღეს. პრაქტიკის გაცნობა ცხადყოფს, რომ შესაგებლის წარმოუდგენლობის საფუძვლით მასობრივად გამოდის დაუსწრებელი გადაწყვეტილებები. ამგვარი გადაწყვეტილებებით ხდება პროცესის სუბიექტების უფლება-მოვალეობების განსაზღვრა და პერსპექტივაში, თუ ძალაში დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

ყურადსაღებია კიდევ ერთი საპროცესო მოქმედება, როგორცაა, საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაგებლის წარდგენის ვადის გაგრძელება, რომელსაც სსსკ-ის 201-ე მუხლი ითვალისწინებს. როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკაში შესაგებლის წარდგენის ვადის განსაზღვრა არ ხდება სასამართლოს მიერ, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუკი სასამართლოს არ განუსაზღვრავს შესაგებლის წარმოდგენის ვადა, მაშინ მის მიერ რომელი ვადა გაგრძელდება?

უდავოა, რომ ამ ვადის გაგრძელებისათვის მოპასუხე კანცელარიას ვერ მიმართავს, რაც აბსურდული იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ ავტორთა პოზიციას იმის თაობაზე, რომ კანცელარიის მიერ შესაგებლის წარმოდგენის ვადის განსაზღვრა პრინციპულად არასწორი მოქმედებაა და არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო ნორმების და ინსტიტუტების იურიდიული ბუნებიდან.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს, უკავშირდება მხარის მიერ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების თავისებურებას. სწორად არის აღნიშნული, რომ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სსკ-ის 184-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება მოსარჩელის მიერ სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ.(25,302)(იხ.დანართი N4)

კანონის ეს დანაწესი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ხშირ შემთხვევაში მხარეთა შორის არის არაჯანსაღი, ზოგჯერ კი - მტრული დამოკიდებულება. ამასთან, მოპასუხეს არ გააჩნია სსკ-ის VIII თავში (სასამართლო შეტყობინება და დაბარება) სასამართლოსათვის

მინიჭებული სასამართლო გზავნილის ჩაბარების ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა.(30,43)

ვფიქრობთ, არასწორი იყო არსებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის რეფორმის პროექტმა გაიზიარა ადვოკატთა ნაწილის რეკომენდაცია, შემოღებული ყოფილიყო ალტერნატიული (კერძო) ჩაბარების ინსტიტუტი. როგორც აღნიშნავდნენ, მხარეებს, განსაკუთრებით იურიდიულ პირებს, უნდა შეძლებოდათ და, გარკვეულ შემთხვევაში, ევალუოდეთ კიდეც, სამოქალაქო პროცესში თავად უზრუნველყოთ როგორც ძირითადი საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი) ჩაბარება მეორე მხარისთვის, ასევე დოკუმენტებისა და მტკიცებულების ურთიერთგაცვლა საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე.

ისინი მიუთითებდნენ, რომ ეს დაზოგავდა როგორც სასამართლოს, ასევე პროცესის მონაწილეთა დროს, ასევე ეფექტურს გახდიდა მხარეთა შორის დოკუმენტურ კომუნიკაციას. აქედან გამომდინარე, მართებულია საპროცესო კანონმდებლობაში აღდგეს ადრე მოქმედი რედაქცია, როდესაც ჩაბარებას თავად სასამართლო უზრუნველყოფდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს დღეს მოქმედი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და მიღებაზე უარის თქმის შედეგებთან დაკავშირებით საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საჭიროებასა და მიზანშეწონილობაზე.

მართებულია შემდეგი მოსაზრება, რომ (30,43) საჭიროა საპროცესო კანონმდებლობაში კვლავ იქნას გათვალისწინებული ხარვეზის ინსტიტუტი სარჩელის წარმოებაში მიღების განხილვისას. არსებითი ცვლილება განხორციელდა 2011 წლის 28 დეკემბრის კანონით. კერძოდ, ადრე არსებული რედაქციის თანახმად, (159) 185-ე მუხლი ითვალისწინებდა სარჩელის წარმოებაში მიღებისას ხარვეზის დადგენის შესაძლებლობას, როდესაც სასამართლო მხარეს განუსაზღვრავდა ვადას მის შესავსებად. კერძოდ, თუ მოსამართლე გამოარკვევდა, რომ სარჩელი შეტანილი, იყო ამ კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით. სასამართლო გამოიტანდა ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავდა ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში გაასწორებდა განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შესაძლებელი იყო კერძო საჩივრის შეტანა.

ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარებოდა მთლიანად დაბრუნებას. ასევე, თუ სარჩელში არ არის მითითებული ამ კოდექსის 178-ემუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარჩელის მისამართი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.(160,71)

როგორც ამას დოქტრინაში უწოდებენ, ხდებოდა სარჩელის უმოძრაოდ დატოვება. საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში (სასამართლოს მიერი ვადა) სავალდებულოა ისევე, როგორც კანონით განსაზღვრულ ვადაში მოქმედების შესრულება (კანონისმიერი ვადა). როგორც კი ამოიწურებოდა სარჩელის ხარვეზის გამოსწორების ვადა, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ. (16,216)

2011 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი(161) „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის ინიციატორები იყვნენ პარლამენტის წევრები კ. ანჯაფარიძე და ა. ალავეძე. წარმოდგენილი თავდაპირველი ინიციატივით, გათვალისწინებული იყო ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, მეწარმეთა შესახებ კანონში, გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების შესახებ კანონსა და სამოქალაქო კოდექსში.

წარმოდგენილი ინიციატივა რამდენჯერმე გადამუშავდა, თუმცა ეს არ შეეხო 185-ე მუხლს. საინტერესოა ამ ცვლილებების მიღების აუცილებლობა, კერძოდ, განმარტებით ბარათში ინიციატორები უთითებდნენ, რომ ცვლილებების მიღების მიზანია კერძო სამართლის სუბიექტთა შორის სახელშეკრულებო თუ სხვაგვარი დავების დროული დასრულების უზრუნველყოფა, შესაბამისი საპროცესო მოქმედებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება, ასევე სააღსრულებო მოქმედებათა ეფექტურობა.

კანონპროექტი მიზნად ისახავდა კანონმდებლობაში იმდაგვარი მექანიზმების შემოტანას, რომლებიც კიდევ უფრო მიმზიდველი იქნებოდა საინვესტიციო საქმიანობისთვის და, ამავდროულად, გაუადვილებდა კერძო სამართლის სუბიექტებს საქმიანობას. ასევე კანონპროექტის მიზნად არის მითითებული არსებულ ნორმათა დახვეწა. ინიციატორთა მითითებით, ცვლილებები უზრუნველყოფდა სწრაფ და ეფექტიან სამართალწარმოებას სამოქალაქო დავებზე და ა.შ.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ წარმოდგენილ ინიციატივას წამყვან კომიტეტზე პირველი მოსმენის შემდეგ დაემატა 405-450-ემუხლები.(162) კერძოდ, 447-ე მუხლით განისაზღვრა ადმინისტრაციულ საქმეებზე ხარვეზის ინსტიტუტის არსებობა. რაც თავისთავად აჩენს კითხვებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხრივ განსხვავებული მიდგომის არსებობაზე.

ცვლილებების კანონად ქცევის შემდეგ პრაქტიკაში არის რეალობა, როცა სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში გაუმართლებლად ეუბნებიან მხარეს უარს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც, რაღა თქმა უნდა, ხელს უშლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და გაუმართლებლად ქმნის ხელოვნურ ბარიერებს. არსებულის გათვალისწინებით, აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის ინსტიტუტის კვლავ შემოღებას. (იხ.დანართი N5)

თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას მეორე უკიდურესობის თავიდან აცილების საშუალებაც. სასამართლო ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტმა 2010 წელს ჩაატარა კვლევა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის წარმოების შეფერხების მიზეზების თაობაზე, ასევე შეისწავლა სხვადასხვა სასამართლოში საქმეთა განხილვის საშუალო ვადები და სხდომების გადადებათა მიზეზები. კვლევის შედეგად გამოვლინდა კონკრეტული სახის პრობლემები. ადვოკატთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მოსამართლე, რომელსაც წარმოებაში ბევრი საქმე აქვს, ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო საქმეებზე ხარვეზს ადგენს უსაფუძვლოდ, რათა დროებით მაინც „თავიდან მოიცილოს“ ეს საქმე. ზოგჯერ ხარვეზების დადგენა ხდება მრავალჯერადად. მოსამართლეები ამ კრიტიკას ხსნიან იმით, რომ ისინი ხარვეზს ადგენენ იმისთვის, რომ საქმე კარგად მოამზადონ და შემდგომ ეტაპზე ხელი არ შეეშალოს სამართალწარმოებას.

ადვოკატთა ნაწილმა მიუთითა, რომ მოსამართლე ხარვეზად არ უნდა მიიჩნევდეს იმ საბუთის წარმოუდგენლობას, რომლის წარმოდგენაც სასამართლოს მიერ გამოთხოვის გარეშე შეუძლებელია. თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე არსებულმა ადვოკატებისა და მოსამართლეების საკონსულტაციო ჯგუფმა წარმოადგინა მოსაზრება, რომ შეიზღუდოს მოსამართლის მიერ ხარვეზების მრავალჯერადი დადგენა. ხარვეზის ერთხელ დადგენის შემდეგ თუ ის არ გამოსწორდა, სარჩელი დარჩეს განუხილველად.(163)

თავი V. სარჩელის მომზადების, მტკიცებულებათა გამოვლენისა და დავის გადაწყვეტის თავისებურებანი

მტკიცებითი საქმიანობა მოქცეულია საპროცესო ჩარჩოში და ეფუძნება პროცესის საერთო პრინციპებს (შეჯიბრებითობა, უშუალოება და ა.შ.) სასამართლოში საქმის განხილვის მიზანი არის სამართლის სუბიექტების უფლებებისა და ინტერესების დაცვა (აღდგენა). ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა სასამართლო დაადგენს საქმის გარემოებებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. (25,337)

სამოქალაქო პროცესში საქმის განხილვის დროს სასამართლოს ძალისხმევა მიმართულია საქმის ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეგროვილი მასალების შეფასებისაკენ. სასამართლოს საქმიანობა, რომლის მიზანია იმ ფაქტების უტყუარად გამორკვევა, დადგენა,

რომლებზეც დამოკიდებულია მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტა, შემცნებითი საქმიანობის სახე სხვაობა. (25,337)

სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო მხოლოდ კანონის ნების აღმსრულებლად და კანონის შემფარდებლად არ გვევლინება. სასამართლოს ამოცანა უფრო მეტია, ვიდრე კანონის შეფარდება. სასამართლომ სამართლიანობა უნდა აღადგინოს, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა გადმოსცეს ის, თუ მოდავე მხარეთა შორის რეალურად რა ურთიერთობას ჰქონდა ადგილი. ამ მიზნის მისაღწევად მოსამართლეს ორი დაბრკოლება აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში, რაც ხშირად არც ისე იოლია, ვინაიდან მოსარჩელის ახსნა-განმარტება არ არის მკაფიო და ხშირ შემთხვევაში, საჭიროებს დაზუსტებას; ამავდროულად, იგი არ ემთხვევა მოპასუხის ახსნა-განმარტებას. შემდგომ მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი. (7,28)

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სასარჩელო წარმოებისას მტკიცების ტვირთის სტანდარტი და პრობლემატიკა, ასევე ის ნოვაცია, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში მოხდა. ასევე საინტერესოა, როგორ უნდა შეფასდეს სარჩელზე თანდართული კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება. სასამართლო პრაქტიკამ ამ მხრივ ცვლილება განიცადა, თუკი აქამდე ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებად ითვლებოდა, მიმდინარე პრაქტიკით, ეს გარემოება შეიცვალა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. უახლესი პრაქტიკა სასამართლოში მტკიცებულებათა წარდგენისას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტს ამკვიდრებს.

სამოქალაქო პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს და მოპასუხეს, ასევე იმ პირს, რომელმაც დავაში დააყენა დამოუკიდებელი მოთხოვნა. მტკიცება გულისხმობს სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებების შეგროვებასა და წარდგენას, ასევე მხარის მხრიდან უნდა მოხდეს პოზიციის დაფიქსირება მტკიცებულების გამოკვლევისა და შეფასების შესახებ.

ამაშივე მოიაზრება ასევე უფლებამოსილება დააყენოს შუამდგომლობა საქმეზე ამა თუ იმ მტკიცებულების დართვაზე, მტკიცებულებათა გამოთხოვაზე, ექსპერტის დანიშვნაზე, მოწმეთა დაკითხვაზე და ა.შ. მოქმედების განხორციელებაზე მტკიცებულებათა შეგროვებისა და გამოკვლევის მიზნით.

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოსამართლემ უკვე უნდა შეამოწმოს, იძლევა თუ არა მოსარჩელის მიერ ახსნა-განმარტებებში მითითებული ფაქტები და გარემოებები იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ მას მართლაც აქვს მოთხოვნის (მოთხოვნების) დაყენების უფლება. მოსარჩელის ახსნა-განმარტებები მაშინ არის გამართული (დასაბუთებული), თუ მასში დასახელებული ფაქტები და გარემოებების შესაბამისი სამართლებრივი სამოქალაქო კოდექსი ნორმასთან ერთად ქმნის იმის საფუძველს, რომ სამართლის ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება წარმოეშვას მოსარჩელე პირს; საუბარია, როდესაც მითითებული ფაქტები შეიცავს მოთხოვნის წარმოშობისათვის ნორმით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობას. (72,9)

ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ მხოლოდ ფაქტებზე (სამართლებრივი შეხედულებები ვერ იქნება („გამართული/დასაბუთებული“). ამასთან, შემოწმების პირველ ეტაპზე მოსამართლე ეყრდნობა ვარაუდს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები მართალია.

მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც დასახელებული დასაბუთებულობის შემოწმებას უდევს საფუძველად, შედგება ყველა არასადავო (მთავარი) - ფაქტებისა და გარემოებებისაგან და მოსარჩელის სადავო, მაგრამ პირველ ეტაპზე მართებული, ანუ სწორი მტკიცებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები ვერ ექცევა სულ მცირე ერთი ნორმის (მოთხოვნის საფუძველი) აბსტრაქტული დისპოზიციის ქვეშ, მისი სარჩელი გაუმართავია. ასეთ შემთხვევაში მას მოპასუხის მხრიდან ყველანაირი რეაგირების (შესაგებლის) გარეშე უნდა ეთქვას უარი. (72,9)

ამერიკის სამოქალაქო სამართალში მოსამზადებელ სტადიაზე, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია ე.წ. Pretrial conference- მოსამართლეთა შეხვედრა ადვოკატებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ეწყობა მტკიცებულებების გამოვლენის შემდეგ.(49,150) მოსამზადებელ შეხვედრებს ძირითადად არეგულირებს ფედერალური წესების მე-16 წესი. ამ წესის „ა“ პუნქტის თანახმად: მოსამზადებელ სტადიაზე ასეთი შეხვედრის მიზანია, დაჩქარდეს საქმის გადაწყვეტა, ხელი შეეწყოს მხარეთა მოლაპარაკებას, მორიგებას, ზუსტად დადგინდეს საკითხები, რომლებიც ნაჩვენები იქნა მტკიცებულებათა გამოვლენის შემდეგ.

მოსამართლის და ადვოკატის შეხვედრის ბოლოს დგება (მთავარ სხდომაზე) მუშაობის გეგმა, დგინდება, თუ ვინ უნდა გამოცხადდეს და რა მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ანუ ზუსტდება მოწმეები და მტკიცებულებები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას მთავარ

სხდომაზე. ამავე წესის „ე“ პუნქტის თანახმად, შეხვედრის შემდეგ სასამართლო დებულობს დადგენილებას (pretrial order). დადგენილებაში მითითებულია მოწმეები, რომლებიც უნდა გამოცხადდნენ სასამართლოში, მთავარ სხდომაზე, აგრეთვე, მითითებულია ის მტკიცებულებები, რომლებიც უნდა იქნას წარმოდგენილი. ის, რაც დადგენილებაშია ნაჩვენები და მითითებული, ფაქტობრივად აღარ იცვლება მთავარ სხდომაზე.

მაგალითად, თუ დადგენილებაში მითითებულია ორი მოწმე, მთავარ სხდომაზე ახალი, მესამე მოწმის, გამოძახება აღარ ხდება. ან რა მტკიცებულებაც იქნა აღნიშნული მოსამზადებელი შეხვედრის დადგენილებაში, მხარეებს ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა აღარ შეუძლიათ. მხარეების ასეთი შეზღუდვა ძირითადად ხდება ფედერალურ სასამართლოებში და შტატების დიდ ნაწილში. ამიტომაც არის, რომ ადვოკატი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო პროცესში. მოსამართლის და ადვოკატის შეხვედრები შეიძლება შედგეს როგორც მოსამართლის ოთახში, ასევე საჯაროდ, დარბაზშიც. მოსამართლეთა ასეთი აქტიურობა, რა თქმა უნდა, აჩქარებს სამოქალაქო დავის გადაწყვეტას.(13,306-307)

მოსამზადებელი სტადიის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს მტკიცებულებების გამოვლენა (discovery), რომელიც სარჩელის აღმზრის მომენტიდან იწყება. (45,114) დოკუმენტების წარდგენა ხდება სასამართლოს მოთხოვნის გარეშე. თუ მოსარჩელეს უნდა, რომ მოპასუხემ მისცეს წერილობითი ჩვენება ფიცის ქვეშ, მაშინ იგი მოპასუხის ადვოკატს გადასცემს წერილობით შეტყობინებას, უთითებს დროს და ადგილს, რათა მიიღოს წერილობითი ჩვენება. ამ პროცესს შეიძლება დაესწროს მხოლოდ სასამართლოს რეპორტიორი (court reporter - პირი, რომელიც ახორციელებს სტენოგრაფიული ჩანაწერების გაშიფვრას ანდა ახორციელებს სასამართლო პროცესზე მიცემული ფიცის ელექტრონულ ჩაწერას)(37) და არა მოსამართლე ან სასამართლოს პერსონალი. დოკუმენტების გამოვლენის პროცესი ხორციელდება ადვოკატების ინიციატივით. რომელიმე ადვოკატი, რომელსაც უნდა, რომ მეორე მხარემ წარმოადგინოს მის მფლობელობაში არსებული დოკუმენტი, უგზავნის წერილობით მოთხოვნას მეორე მხარეს, რათა მან წარმოადგინოს ეს დოკუმენტი.

დავა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას გამოვლენილი დოკუმენტები, წყდება მოლაპარაკების მეშვეობით ან შეიძლება საკითხი გადაწყდეს მოსამართლის ან მისი თანაშემწის მეშვეობით. გამოსავლენი დოკუმენტები მოიცავს იმ ფაქტებსა და მტკიცე-

ბულებებს, რომლებსაც კავშირი აქვთ დავის საგანთან და გამომდინარეობენ კანონიდან ან პრეცედენტებიდან.

ფედერალური წესების 26-ე წესის თანახმად, შესაძლებელია, რომ მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია სადავო საგნის შესახებ, მაგრამ ინფორმაციის მიწოდება უფლებაა და არა მოვალეობა. მისაწოდებელ ინფორმაციაში მოიაზრება, მაგალითად, პირის სახელი, მისამართი, ტელეფონი, დოკუმენტების ასლები, მოწმეთა წერილობითი და ზეპირი ჩვენება, მხარის პროცესთან დაკავშირებული სხვა პირის ფიზიკური და ფსიქიკური უნარიანობა და ა.შ. (13,304)

მტკიცებულებათა წინასწარ გამოვლენისა (initial disclosures) და გაცნობის ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს მხარეებს მათ შემდგომ მუშაობაში, კერძოდ, ამის მეშვეობით ადვოკატები ქმნიან შემდგომი მუშაობის სტრატეგიას და ტაქტიკას, ადვილად ხედავენ საკუთარ და მოწინააღმდეგე მხარის დადებით და სუსტ მხარეებს, მუშაობენ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და ა.შ. ამასთან ერთად, მტკიცებულებების წინასწარ გამოვლენის ინსტიტუტი ხელს უწყობს იმასაც, რომ ადვოკატებმა მიაღწიონ ურთიერთ შეთანხმებას ან/და გადაწყვეტილება გამოტანილი იქნას გამარტივებული წესით. ყოველი დოკუმენტი, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა იქნას დადასტურებული ერთი მხარის ადვოკატის მიერ მაინც.

თუ მტკიცებულებათა გამოვლენა უნდა განხორციელდეს აშშ-ის გარეთ, მაშინ სპეციალურად დანიშნული პირი - კომისიონერი (commissioner), აშშ-ის დიპლომატი ან საკონსულოს წარმომადგენელი ახორციელებს ამ ქმედებას, ანდა იგი ხორციელდება სასამართლოს დავალებით (letters rogatory). შეიძლება აგრეთვე მიმართონ შესაბამისი ქვეყნის სასამართლოს, რათა მან დაავალდებულოს პირი, რომ იგი გამოცხადდეს და ამერიკის კონსულს, საელჩოს, მისცეს ჩვენება ან გადასცეს დოკუმენტი.

მოწმის ჩვენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ამერიკის საპროცესო სამართალში. მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესების 603-ე წესის თანახმად: ჩვენების მიცემამდე ყოველი მოწმე ვალდებულია განაცხადოს, რომ იგი ფიცის (oath) ქვეშ მისცემს სწორ ჩვენებას; მოწმე აგრეთვე იძლევა საყოველთაო დაპირებასაც, რომ არ იტყვის ტყუილს (Affirmation). ფიცის და საყოველთაო დაპირების მიზანია, რომ მოწმემ კეთილსინდისიერად, ამერიკელი ხალხის წინაშე მოიხადოს ვალი და განაცხადოს ის, რაც უშუალოდ მისთვის არის ცნობილი. თუ მოწმე არ შეასრულებს თავის მოვალეობას და არ

გამოცხადდება სასამართლოში არასაკატიოდ, ეს ითვლება სასამართლოსადმი უპატივცემულობად. იგი პოლიციის შერიფის მეშვეობით იძულებით იქნება მოყვანილი და თანაც, დაჯარიმდება. უფრო მეტიც, თუ მისი გამოუცხადებლობა ზარალს მიაყენებს მხარეს, მაშინ დაზარალებულს შეუძლია, მოწმეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ფიცის მიცემა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი ადვოკატის ოფისშიც. ამ დროს ფიცის მიცემას შეიძლება ესწრებოდეს სასამართლოს რეპორტიორი ან ნოტარიუსი, რომელიც დაადასტურებს ფიცის მიცემას და სრულად ჩაიწერს მოწმის ჩვენებას.(35,346)

მტკიცებულებათა თეორიის მიხედვით, მტკიცების ქვეშ მოიაზრება სასამართლოსა და სხვა პირების მტკიცებითი საქმიანობა, რომელიც მოიცავს მტკიცების საგნის განსაზღვრის, მტკიცებულებათა შეგროვების (მტკიცებულებათა გამოვლენა, მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა), მტკიცებულებათა სასამართლოში გამოკვლევისა და მტკიცებულებათა შეფასების სტადიებს.(7,25)

მტკიცებას ექვემდებარება ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებს, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც მნიშვნელოვანია საქმის გადაწყვეტისათვის. სარჩელის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ რაში მდგომარეობს უფლების დარღვევა ან მოსარჩელის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესების დარღვევის საშიშროება.

მოსარჩელემ უნდა მოიხმოს ყველა ის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, ხოლო, თავის მხრივ, მოპასუხემ შესაგებელში უნდა ჩამოაყალიბოს საპასუხო შეხედულება სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცების საგნის განსაზღვრა და წარმოსადგენი მტკიცებულებების დასაშვებობა თავდაპირველად განისაზღვრება სარჩელში და შესაგებელში. მოსარჩელის მიერ მისი წილი მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება საქმის ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სწორედ ამაში მდგომარეობს მტკიცების ტვირთის ვალდებულების მქონე სუბიექტის მიერ მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობით დამდგარი უარყოფითი შედეგი. საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო, დასაბუთებული პოზიციის არარსებობამ შესაძლებელია მხარეები მიიყვანოს უარყოფით შედეგებამდე, რაც მოსარჩელისათვის მდგომარეობს სარჩელის

დაკმაყოფილებაზე სრულ ან ნაწილობრივ უარის თქმაში, ხოლო მოპასუხისათვის - მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის სრულ ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში.(7,26)

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენილად მიჩნევა განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას, რაც გულისხმობს, რომ ფაქტის სადავოდ თუ უდავოდ მიჩნევა მხოლოდ სამოსამართლო უფლებამოსილების სფეროა. ამდენად, ფაქტი მიიჩნევა დადგენილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მას ასეთად მიიჩნევს, თუ სასამართლო დარწმუნდება ამ ფაქტის არსებობაში. მოსამართლისათვის ამგვარი რწმენის შექმნა იმ პირობა მოვალეობაა, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ საქმეში ეკისრებათ მტკიცების ტვირთი. (7,29)

პრაქტიკაში შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც შინაგანი რწმენა მოსამართლეებისა არ აღმოჩნდება უტყუარი, როდესაც იგი დარწმუნდება იმაში, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ამის გამო საქმეს არასწორად გადაწყვეტს. ასეთ შემთხვევაში, საქმის არასწორი გადაწყვეტა იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მოსამართლის ღრმა, საფუძვლიანი შინაგანი რწმენა ყალბი აღმოჩნდა, არამედ იმით, რომ მოსამართლე ჯეროვნად ვერ ჩასწვდა საქმის ყველა გარემოებას მათ ერთობლიობაში და თავისი დასკვნა მხოლოდ ზედაპირულად მიღებულ შთაბეჭდილებას დააფუძნა. ასეთ შემთხვევაში, შთაბეჭდილების შინაგან რწმენად მიჩნევა შეცდომაა. ამიტომ, თუკი მოსამართლეს არა აქვს შექმნილი მტკიცე რწმენა, თუ მან ვერ გააქარწყლა თუნდაც მცირედი ეჭვი, მაშინ საქმის გარემოებები დამტკიცებულად არ უნდა მიიჩნიოს და გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს.(64,14)

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების არასწორი სამართლებრივი შეფასება მიიჩნია და მიუთითა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი:

„საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახისმტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით“. პალატის განმარტებით, კანონის ეს მოთხოვნა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად კანონით გათვალისწინებულია მტკიცების სტანდარტი – სპეციალური მტკიცებულება. კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა გათვალისწინებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლით, რომელიც ადგენდა მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას მამკვიდრებლის კრედიტორთა წინაშე და ამ მუხლიდან წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულებების დადასტურებისათვის კანონით რაიმე სპეციალური ფორმა ან მტკიცებულება გათვალისწინებული არ ყოფილა. (22,17-18)

ამიტომ ამ მუხლზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილზე მითითებით, მოწმეთა ჩვენებების უარყოფა არ გამომდინარეობდა კანონიდან. ამოსავალი წერტილი ერთია: მოსამართლემ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს საქმეში მონაწილე ორივე მხარის პოზიციიდან უნდა შეხედოს. საქმის ნამდვილი გარემოებების დანახვა და მხარეთა რეალური ურთიერთობების გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ასეთ შემთხვევაში. ცხადია, ამ დროს მოსამართლეზე მოქმედებს ძლიერი ემოციური ფონი, მაგრამ მთავარი ამ ემოციის არსებობა როდია, მთავარია ის, იმართოს ასეთი ემოციები და, საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდეს ყოველგვარი ემოციისაგან განთავისუფლებული შინაგანი რწმენა.

გამომდინარე იქიდან, რომ მტკიცების ტვირთის რეალიზება საბოლოოდ გავლენას ახდენს საქმის განმხილველი სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე, „მტკიცების ტვირთი“ უნდა განიმარტოს, როგორც მოდავე მხარეთა იმგვარი საპროცესო მოქმედება, რომლის შესრულებაზე, ან პირიქით, შეუსრულებლობაზეა დამოკიდებული სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე მოდავე მხარეთათვის ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლო საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ როდესაც ახდენს ფაქტების დიფერენცირებას, გამოყოფს უდავო, მათშორის, აღიარებულ, საყოველთაოდ ცნობილ და პრეუდიციული მნიშვნელობის ფაქტებს, ასევე საქმისათვის მნიშვნელოვან სადავო ფაქტებს, რომლებისგანაც შედგება მტკიცების საგანი. მან უნდა

მოახდინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების ტვირთი, ანუ დამტკიცების პროცესში მხარეთა უფლება-ვალდებულებების, სწორად გადანაწილება.(9,272)

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები არასწორად ანაწილებენ მტკიცების ტვირთს, რომლის გამოც, ერთ-ერთი მხარის ფაქტზე მითითებების გაუზიარებლობა გამოიხატება მტკიცებულების წარმოდგენლობაში, როდესაც ამ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება აკისრია მეორე მხარეს და ა.შ. აქედან გამომდინარე, მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპის დარღვევას, როგორც წესი, მოჰყვება არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.(9,273)

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ მართებულია არის მითითებული იმის შესახებ, რომ მტკიცების ვალდებულების და მისი განაწილების წესის სამართლებრივი ბუნების ზუსტი ამოხსნა შეუძლებელია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების გათვალისწინების გარეშე.(116,56)

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია ფაქტების დადგენის და ამასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა შეფასების კომპეტენცია, მაგრამ ასეთი კომპეტენციის არარსებობას აქვს ორმაგი ხასიათი, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები ან ხელახლა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, რომლებიც წარმოადგენენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განხილვის საგანს. მაგრამ საკასაციო სასამართლო ამოწმებს მოტივაციას და აკონტროლებს ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებით სამართლებრივი ნორმების დაცვას, კერძოდ, მტკიცებითი ტვირთის განაწილებისა და შეჯიბრებითობის წესების დაცვას.(9,274)

ამასთან ერთად, თითოეული კონკრეტული ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია იმ უფლებათა თუ ვალდებულებათა შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, თუ კონკრეტულად რომელი ფაქტი უნდა დაადასტუროს ერთმა მხარემ და რომელი - მეორემ. ამ უფლება-ვალდებულებათა განაწილების პროცესუალური წესი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ემუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეებზე, მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნით, ასევე მესამე პირებზე დამოუკიდებელი

მოთხოვნის გარეშე იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის უფლებებზე. სასამართლო არის მტკიცების, როგორც საპროცესო საქმიანობის, სუბიექტი, მაგრამ სასამართლო არ არის და არც შეიძლება იყოს დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) სუბიექტი.(9,274)

ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც დავის საგანს წარმოადგენდა ვალდებულების შესრულება, შპს „ა.-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა.ს“ მიმართ მოპასუხისათვის 3600 ლარის დაკისრების მოთხოვნით. 2009 წლის 7 აპრილს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე მოპასუხის კუთვნილ ფართზე ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას, სანაცვლოდ, მოსარჩელე ვალდებული იყო, მოპასუხისათვის გადაეცა მოგების 50%. მოსარჩელეს არ უსარგებლია ქონებით, ვინაიდან მიმდინარეობდა გაშვება-გამართვის სამუშაოები. 2009 წლის 21 ივნისს შპს „ა.ს“ დირექტორის თხოვნით მოპასუხეს სალარო ჩეკით წინსწრებით გადაეცა 400 ლარი, ხოლო 2009 წლის 13 აგვისტოს შეცდომით ჩაერიცხა 3200 ლარი. მოპასუხემ არ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება, გაწყვიტა ხელშეკრულება, ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხა აღარ დაუბრუნებია.

როგორც მოპასუხე უთითებდა, მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულების პირობები, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა შპს „ა.“, ვინაიდან არ აანაზღაურა გამოყენებული გაზის, ელექტროენერჯისა და დაცვის ხარჯები, ასევე მოაცდინა ფართი, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც მოპასუხე მიიღებდა საიჯარო თანხას, შესაბამისად, მოსარჩელეს 3600 ლარზე მეტი უნდა გადაეხადა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ა.-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ა.ს“ შპს „ა.-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 3200 ლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლომ მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა შემდეგზე, რომ სამართალწარმოების მიზნის მისაღწევად სავალდებულოა, სასამართლომ საქმის განხილვის მარეგულირებელი პროცესუალური წესების დაცვით მხარეების მიერ მითითებული ფაქტებისა და გარემოებების სწორი სამართლებრივი ანალიზის გზით დაადგინოს მოსარჩელის მოთხოვნის მართებულობა. საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უპირველესად უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი

საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიან სარჩელში მითითებული ფაქტები, იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

განსახილველ შემთხვევაში, სადავოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოსარჩელე კონდიქციური ვალდებულების საფუძველზე მოითხოვდა თანხის დაბრუნებას. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ხდება მოთხოვნის სხვა საფუძვლებთან სუბსიდიალურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის, გამოყენება ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ, რაც გამოირიცხება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველებიდან. ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს რამდენიმე პირობა კუმულატიურად, კერძოდ: მოპასუხის გამდიდრება; მოპასუხის გამდიდრების შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძვლობა.

სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლით რეგულირებულია ე.წ. „შესრულების კონდიქცია“ და ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოსარჩელემ უნდა მიუთითოს სამართლებრივი სიკეთის გადაცემის ფაქტზე, ასევე მხარეთა შორის ვალდებულების არარსებობაზე.

თავის მხრივ, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად ადგენს საქმის განხილვის თითოეულ სტადიაზე (საქმის მოსამზადებელი ეტაპი, მთავარი სხდომა და სხვა), როგორც მხარეთა უფლებამოსილებებს ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენის კუთხით, ისე სასამართლოს ვალდებულებას, უხელმძღვანელოს მათ შეჯიბრებითობას, სწორად განსაზღვროს მტკიცებულების საგანი, მასში შემავალი ფაქტები და საპროცესო წესების დაცვით მიღებული მტკიცებულებების ანალიზით დაადგინოს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ამ სასამართლო დავაში სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ სასამართლოს დასკვნა გამყარებული იყო შპს „ა.-ის“ დირექტორის ახსნა-განმარტებით, რომ საწარმოო პროცესი დაიწყო 2009 წლის 1-ლ ივლისს, შესაბამისად, პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ ამავე წლის სექტემბერში განაწილდა მოგება უკვე ახალი, 2009 წლის 1-ლ აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ახალი ხელშეკრულების პირობებში დაქირავებული ფართი იმავე ფართს წარმოადგენდა, რაც იყო 2009 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების საგანი. ახალი ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ა.-მა“ გადაიხადა როგორც დაქირავებული ფართის ღირებულება, ასევე სხვა გადასახადები. მოსარჩელის განმარტებით, მისმა ბუღალტერმა ივლისის თანხა შეცდომით გადარიცხა აგვისტოში გაუქმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მაშინ, როცა იგივე თანხა სხვა კომპანიის (რომელიც მოპასუხის კომპანიას წარმოადგენდა) სახელზე 2009 წლის 1-ლ აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე ხელმეორედ გადარიცხა.

კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმადაც 3 200 ლარის გადარიცხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა, რადგანაც სასამართლოს ეს დასკვნა არ ემყარებოდა საქმის მასალების სრულყოფილ ცოდნას. საკასაციო პალატამ გაიზიარა კასატორის აღნიშნული პოზიცია და მიიჩნია, რომ მხარემ სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები და დასაბუთებული შედავება წარმოადგინა. დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის არსებობა კი, თავის მხრივ, სადავო ნაწილში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით განსაზღვრული კვლევის სტანდარტთან შესაბამისობის გამორკვევის საფუძველია.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიზნებისათვის კანონმდებლობა ადგენს დასაშვები მტკიცებულებების მყარ ნუსხას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სადავო გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საყურადღებოა, რომ ჩამოთვლილთაგან სასამართლოსათვის წინასწარ დადგენილი ძალა არც ერთს არ გააჩნია. ერთადერთი საგამონაკლისო ნორმა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასების ამ სტანდარტისგან განსხვავდება, 106-ე მუხლით

გათვალისწინებული საყოველთაოდ ცნობილი და პრეიუდიციული ფაქტებია, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, არც ერთი არ არსებობდა.

სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს ფაქტების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სსსკ-ს 105-ე მუხლი). პალატამ ყურადღება გაამახვილა სარჩელში მითითებულ გარემოებაზე, რომ მხარეთა შეთანხმების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის კუთვნილი ფართის გამოყენებით უნდა ეწარმოებინა სამეწარმეო საქმიანობა, ხოლო მოპასუხეს უნდა მიეღო მოგების 50%. 2009 წლის 21 ივნისსა და 2009 წლის 13 აგვისტოს მოსარჩელემ სადავო თანხები წინასწარ გადაურიცხა მოპასუხეს და თანხის უსაფუძვლოდ მიღებას შპს „ა.-ი“ უკავშირებს შპს „ა.ს“ მიერ ანგარიშ-ფაქტურის გაუცემლობას და ამ კუთხით ვალდებულების დარღვევას. საქალაქო სასამართლოში გამართულ მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ საწარმო ამუშავდა და ეს თანხა იყო მოპასუხის კუთვნილი მოგება, რომლის უსაფუძვლოდ მიღება განაპირობა სწორედ ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობამ (იხ. 11.12.2012 წ. საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი).

საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განემარტა საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის აღიარების სამართლებრივი მნიშვნელობა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 132-ე მუხლების თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

საპროცესო სამართლის თეორიაში აღიარების განსაკუთრებული მნიშვნელობა განმარტებულია იმგვარად, რომ ფაქტს, რომელსაც უნდა ადასტურებდეს დავის სუბიექტი, ადასტურებს მისი მოწინააღმდეგე მხარე. ფაქტის აღიარების დროს მხარე ცნობს დავის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რაც სასამართლომ შეიძლება საკმარის საფუძვლად

მიიჩნოს გადაწყვეტილების გამოტანისას და დაეყრდნოს ამ აღიარებას. 133-ე მუხლით ამომწურავადაა დადგენილი აღიარების გაქარწყლების წესი და მისი უარყოფა სარწმუნოა მაშინ, როდესაც აღიარების ავტორი გადაწყვეტილების გამოტანამდე დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო: ა) შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ; ბ) მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქიკურ ან ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელიც გამორიცხავდა მხარის თავისუფალ ნებას. თავის მხრივ, აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში.

მართალია, 3200 ლარის ვალდებულების ფარგლებში გადახდის საპირისპიროდ, მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მას ამ თანხების გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა, თუმცა არც საქალაქო სასამართლოს უმსჯელია ფაქტის აღიარებასა თუ ამ აღიარების გაქარწყლებაზე და არც სააპელაციო პალატას გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას, მით უფრო, რომ აპელანტი ამ გარემოებაზე მიუთითებდა სააპელაციო საჩივარში.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მითითებულია ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა თაობაზე მოსარჩელემ მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე აღნიშნა (შპს „ა.სა“ და შპს „ა.-ს“ შორის 2009 წლის 7 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმებით, აღარ მოქმედებდა 2009 წლის 1-ლი აგვისტოდან).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა კასატორის პრეტენზია გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის ნაწილში და განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ანალოგიური მოთხოვნებია დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლით. კანონის ეს დათქმა ორიენტირებულია მართლმსაჯულების მიზნის მიღწევაზე - ერთი მხრივ, გადაწყვეტილება იყოს ზუსტი და ამომწურავი პასუხი მოსარჩელის მოთხოვნაზე და, მეორე მხრივ, ის უნდა შეიცავდეს იმ

გონივრული განხილვის პროცესის ზუსტ ასახვას, რომელიც საფუძვლად უდევს უფლების დამდგენ მართლმსაჯულების აქტს - გადაწყვეტილებას, რადგან მისი ერთ-ერთი დანიშნულებაა, დაარწმუნოს მხარე მოთხოვნის საფუძვლიანობასა თუ უსაფუძვლობაში.

აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

საყურადღებოა, რომ საქალაქო სასამართლომ 400 ლარის უსაფუძვლოდ გადახდასთან დაკავშირებით არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის თაობაზე. სასამართლოს მითითებულ დასკვნას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ სალარო შემოსავლის ორდერის თანახმად, თანხა გადახდილი იყო 2009 წლის 7 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც შეეხება 3200 ლარს, მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ამ თანხის გადახდის დროისათვის მხარეთა შორის 2009 წლის 7 აპრილს დადებული ხელშეკრულება აღარ მოქმედებდა, ვინაიდან გაფორმებული იყო ახალი ხელშეკრულება, თუმცა, სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ, მოსარჩელის განმარტებით, 13 ა 3200 ლარი გადახდილი იყო ივლისის თვის ანგარიშში. პალატამ ყურადღება გაამახვილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე, რომლის თანახმადაც, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მხარეები ფაქტებისა თუ მტკიცებულებების წარდგენისას შეზღუდული არიან საქმის მოსამზადებელი პერიოდით, ე.წ. წერილობითი შეჯიბრებითობის ეტაპით, საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად დაშვება მიანიშნებს იმაზე, რომ ამ დროისათვის დასრულებულია მხარეთა პოზიციებისა თუ მტკიცებულებების წარდგენა და სასამართლო უკვე შეგროვებული მასალების არსებითად გამოკვლევის გზით გადაწყვეტს საქმეს. თავის მხრივ, მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ ახალი გარემოებების მითითება და გაზიარება დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზით მათი მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე წარდგენის შეუძლებლობისას. მოცემულ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ა.-ს“ სარჩელში არ მიუთითებია სამეწარმეო ობიექტზე ახალი

ხელშეკრულების დადებისა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების არსებობის ფაქტზე, მან ეს გარემოება მხოლოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გააჟღერა იმგვარად, რომ არ განუმარტავს ამ გარემოების საქმის მოსამზადებელ ეტაპზე საპატიო მიზეზით მიუთითებლობის შესახებ, რაც გამორიცხავდა სასამართლოს შესაძლებლობას, ახალი ფაქტების გამოკვლევისა და ამ გზით დადგენილი გარემოებები აესახა გადაწყვეტილებაში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელში მითითებული ფაქტების ლოგიკური შეფასებიდან არ გამომდინარეობს სასამართლოს დასკვნა თანხის უსაფუძვლოდ გადახდის თაობაზე, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა, რომელსაც სარჩელითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტების ფარგლებში აღნიშნავს შპს „ა.-ი“, განეკუთვნება საჯარო სამართლის (საგადასახადო კანონმდებლობა) რეგულირების სფეროს, შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულების დარღვევამ ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის თვალსაზრისით, არ შეიძლება გავლენა იქონიოს სამოქალაქო ურთიერთობებში ვალდებულების არსებობაზე. თავის მხრივ, გასაზიარებელია კასატორის მსჯელობა, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგს, ვალდებულების შეწყვეტის რეგულაციას იცნობს სამოქალაქო კოდექსის მე-6 კარი და 427-454-ე მუხლების არც ერთი დანაწესით ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების შეწყვეტასთან არ არის გაიგივებული.

ყოველივე ამის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ სწორად დააკმაყოფილა ნაწილობრივ შპს „ა.ს“ საკასაციო საჩივარი. (151)

სხვა საქმეში საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. (150)

სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მხარე თავის

მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომელთა შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი შემადგენლობის არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც, მოსარჩელის განმარტებით, გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან). ამ თვალსაზრისით, ყურადღებაა მისაქცევი იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე ა. ხ-ს მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ხდის. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად (სსკ-ის მე-4 მუხ.) კი, სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“, ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მითითებით კანონის ეს მოთხოვნა

განპირობებულია მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსით, მისი ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით.

კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავოდ ქცეული სასესხო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი მტკიცებულებების სახე. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი თუ მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას.

ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხესთან სასესხო ურთიერთობის შესახებ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითა მოწმეთა ჩვენებებსა და საქმეში წარმოდგენილ ჩანაწერებზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს ა. ხ-სა და ო. მ-ს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადასტურებას.

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსზე, ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც, თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთად, უტყუარად მიუთითებს ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ საჭიროდ ჩათვალა, ყურადღება გამახვილებინა სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დასტურის შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დასტურის ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხეს) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მსესხებელს (მოპასუხეს). ზეპირი ფორმით სასესხო ვალდებულების ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რომელიც მოწმის ჩვენებასთან ერთად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს.

ამდენად, სასესხო ვალდებულებების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად. ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი წესით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნას წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

განსახილველი დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ყურადღება გამახვილებულია იმ რისკებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ზეპირი სესხის ხელშეკრულებას, ასევე ამ რისკებთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის გადანაწილებას.

როგორც აღინიშნა, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი-აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი - მოპასუხეს (მსესხებელს). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაში ზუსტად ამმტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება. განსახილველი დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში. ამდენად, სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე, უფლება-ვალდებულებები (და არა მხოლოდ გამსესხებლის უფლება) მათ შორის, სესხის შესრულების ვალდებულება, არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, თუ ის ზეპირი ფორმითაა დადებული. განსახილველი ნორმის მიზანია, სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ამდენად, სასესხო ურთიერთობებში კანონი „არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებებთან შეფასების გზით).

აქედან გამომდინარე, კანონი მიუთითებს არა მხოლოდ გამსესხებლის უფლებაზე, არამედ „ხელშეკრულების ნამდვილობაზე“, რაც მოიცავს როგორც გამსესხებლის უფლებას, ასევე მსესხებლის ვალდებულებას (ხელშეკრულების რეალური ბუნებიდან გამომდინარე, გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების საგნის მსესხებელზე საკუთრებაში გადაცემის და შემდეგ მისი მიღების ფაქტის დადგენა ემორჩილება ერთსა და იმავე წესს.).

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერებიდან, კერძოდ, ერთ ფურცლად წარმოდგენილ აღნიშვნაზე იმის შესახებ, რომ: „დარჩა 10 000 ლარი - რ.მ-ე“ (ხელმოწერა); „მომიტანა რ. 1750ლ. და დარჩა 10 0000 ლარი. 2010 წლის 30.12. ა.ხ-ე“ (ხელმოწერა) (ს.ფ. 15) და მუყაოს ქაღალდზე გაკეთებული შემდეგი შინაარსის მინაწერზე: „ა-ის - 11 600 - ლარი“ (ს.ფ. 16) და აღნიშნავს, რომ ამ ჩანაწერების შინაარსიდან არ ირკვევა, რომ კრედიტორმა მოვალეს გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გადასცა თანხა სესხის სახით (თანხის გადაცემის ფაქტი); არც ის ირკვევა, რომ მითითებული თანხა წარმოადგენდა სესხს (გადაცემის დანიშნულება), არ დგინდება რომელი მათგანია მოვალე და რომელი კრედიტორი (მხარეთა იდენტიფიცირება/ხელშემკვრელ მხარეთა

სტატუსი); გაურკვეველია მითითებული თანხის გადაცემის ან/და დაბრუნების სავარაუდო თარიღი (სახელმწიკრულებო ურთიერთობის წარმოშობისა და დასრულების დრო). კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული არცერთი კომპონენტი, რომელიც რაიმე საფუძვლიანი და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემდა სასამართლოს, არ არსებობს. შესაბამისად, ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით იმგვარი დასკვნის გაკეთება, რომ მხარეებს შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა 10 000 ლარზე, დაუსაბუთებელია.

ზემოთ მითითებული ჩანაწერების შესახებ მსჯელობისას საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ „ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულება, რაც თავისთავად გამორიცხავს სრულყოფილი წერილობითი დოკუმენტის (სესხის ხელშეკრულების) არსებობას, რომლის არსებობის შემთხვევაში სადავო არაფერი იქნებოდა“ და განმარტავს, რომ, მართალია, კანონმდებელმა დაუშვა სასესხო ურთიერთობის თაობაზე ზეპირი შეთანხმების გაფორმება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სადავობისას ნებისმიერი ჩანაწერი მივიჩნიოთ სადავო ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებად. აღნიშნული ეწინააღმდეგება არამარტო კანონმდებლის ნებას, არამედ ასევე მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებსაც. ამ მხრივ, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო შედავება. მტკიცებულებათა შეფასების დროს მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მტკიცებულებების სარწმუნოება. მათი უტყუარობის თუ სიყალბის შესახებ მოსაზრებები შეიძლება გამოთქვან არა მარტო მხარეებმა, არამედ მესამე პირებმა, აგრეთვე - სპეციალისტებმა და ექსპერტებმა, თუ ისინი მონაწილეობენ პროცესში. საბოლოოდ კი, წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოწმის ჩვენება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული მტკიცებულებაა სამოქალაქო პროცესში. მოწმის მეშვეობით დასტურდება მრავალი ფაქტი, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა. მოწმეს წაეყენება შემდეგი მოთხოვნები: მოწმედ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც შესწევს უნარი, სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება და რომელიც არ არის იურიდიულად დაინტერესებული საქმის შედეგით. აქ მხედველობაშია ისეთი ინტერესი, რომელიც გააჩნია მოსარჩელეს და მოპასუხეს,

რომლებისთვისაც საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას შეუძლია გარკვეული სარგებლობის მოტანა.

ამრიგად, მოწმის ჩვენება, ესაა სასამართლოში მოწმედ გამოძახებული და კანონით განსაზღვრული წესით დაკითხული იურიდიულად დაუინტერესებელი პირის ცნობები საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

იმის მიუხედავად, რომ მტკიცებულებებს სასამართლო აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქმეში მონაწილე პირებს არ შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მათ შესახებ. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, მხარეებს უფლება აქვთ, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას, საკასაციო პალატამ ვერ გაიზიარა და განმარტა, რომ კანონის დანაწესი, რომელიც სასამართლოს ანიჭებს წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაგანი რწმენით შეფასების უფლებამოსილებას, არ გულისხმობს, რომ მათი შეფასებისას სასამართლოს შეეძლოს გააკეთოს დაუსაბუთებელი დასკვნები საქმის გარემოებების შესახებ. სასამართლო ვალდებულია, თავის გადაწყვეტილებაში მიუთითოს მოსაზრებაზე, რის გამოც მან ზოგიერთი მტკიცებულება ცნო უტყუარად, ხოლო სხვები – არასარწმუნოდ (სსკ-ის 249-ე მუხლის მე-4 ნაწ.).

მოცემულ საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს სადავო სამართალურიერთობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად მათი არასარწმუნოების გამო იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთი მოწმის ჩვენება თავისი შინაარსით არათანმიმდევრული და უზუსტოა, სახელდობრ, ნ.შ-ს, რ.შ-ს, რ.წ-ს, ი.ბ-სა და გ.ხ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ ისინი არ შესწრებიან ა. ხ-ს მიერ ო. მ-სათვის თანხის სესხად გადაცემის ფაქტს, არამედ მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ მათ შეიტყვეს თავად ა. ხ-გან. ამდენად, ინფორმაციის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც მოწმეები მიუთითებენ სადავო სამართალურიერთობის დასადასტურებლად, საკასაციო პალატის შეფასებით, არასარწმუნოა და იგი სხვა არაფერია თუ არა მოსარჩელის ვერბალური ახსნა-განმარტება.

ბ. შ-ს ჩვენებას, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელე - ა. ხ-ს მეუღლეს და ამდენად, საქმის განხილვის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგით პირდაპირ დაინტერესებულ პირს, საკასაციო პალატა ასევე არასარწმუნოდ მიიჩნევს. იგივე უნდა ითქვას რ. შ-ს ჩვენებაზეც, რომელიც ა. ხ-ს შვილია და დაინტერესებულია საქმის განხილვის შედეგით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მართებულად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რის გამოც იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის მაკვალიფიცირებელ კომპონენტებს (ნორმის შემადგენლობის ნიშნებს), ვინაიდან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი - მოპასუხეს (მსესხებელს). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაში ზუსტად ამ მტკიცების ტვირთისა და მტკიცების საგანში შემავალი სასესხო ურთიერთობასთან დაკავშირებული ფაქტების დადასტურების თავისებურებაზეა გამახვილებული ყურადღება, რომლის დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ა. ხ-მ ვერ დაადასტურა მასსა და ო. მ-ს შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ხ-ს სარჩელი თანხის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია, რაც ო. მ-ს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.(155)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა რადიკალურად შეიცვალა 2010 წლის შემდეგ 2015 წელს. ცვლილება შეეხებოდა ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების საკითხს.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა არ მოიცავს კონკრეტულ მტკიცებულებათა ჩამონათვალს და შესაბამისად, არ არის მითითება ფარულ ვიდეო-აუდიო ჩანაწერის, როგორც მტკიცებულების შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უთითებს დასაშვებ და დაუშვებელ მტკიცებულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, თუ კანონის დარღვევით მოპოვებულ რომელ მტკიცებულებას არა აქვს იურიდიული ძალა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არც მტკიცებულებათა მოპოვების რაიმე წესს ადგენს. შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულად უნდა ჩაითვალოს მტკიცებულება, თუ მისი მოპოვებით ამა თუ იმ კანონით დადგენილი წესი ირღვევა (ფორმალურ-პროცედურული დარღვევა), ან თუ მისი მოპოვებით მხარეთა ან მესამე პირთა უფლებები ილახება (არსებითი პროცედურულ-შინაარსობრივი დარღვევა). ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ვინ მოპოვებს მტკიცებულებებს.(17,1)

დოქტრინაში არსებული მოსაზრების თანახმად, შეფასებას არ ექვემდებარება არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, მაგალითად, საუბრის ფარული ვიდეოგადაღება, სატელეფონო საუბრის ფარული ჩაწერა და ა. შ. მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და, როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება, თუ მტკიცებულება პირის კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის ხარჯზეა მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტი ისეთ კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებების შელახვაზე კეთდება, როგორცაა, პირადი უფლებები (პირადი ცხოვრება, პირადი საუბარი, პირადი მიმოწერა და ა. შ). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების გახმაურება, პირადი მიმოწერისა თუ საუბრის მტკიცებულების სახით წარდგენა, იმთავითვე მითითებულ მტკიცებულებას უკანონოდ არ აქცევს.

მტკიცებულება უკანონოდ მიიჩნევა მისი არამართლზომიერი მოპოვების (შექმნის) გამო, რომელიც, როგორც წესი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევის გზით ხორციელდება. შედარებისათვის ფოსტის, მეილისა, თუ ფაქსის მეშვეობით მიღებული წერილის მტკიცებულების სახით წარდგენა, თუნდაც, მისი გამომგზავნი პირის თანხმობის

გარეშე, კანონის დარღვევით მოპოვებულ და, შესაბამისად, დაუშვებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს, ვინაიდან მხარემ მითითებული მტკიცებულება კანონის სრული დაცვით მოიპოვა. თუ წერილი პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს შეიცავს, აღნიშნული გარემოება მას, პირადი ცხოვრების ამსახველი დეტალების უნებართვოდ გახმაურების საფუძვლით, სხვა სახის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს და არა მითითებული მტკიცებულების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის მოთხოვნის საპროცესო-სამართლებრივ უფლებას. იმავე მაგალითზე დაყრდნობით, თუ მხარემ პირადი მიმოწერა, სხვისი მეილის, ფოსტის და ა. შ. უნებართვოდ სარგებლობის გზით (უკანონო შეღწევა და ა. შ) მოიპოვა, რაღა თქმა უნდა, მითითებული მტკიცებულება, როგორც კანონდარღვევით მოპოვებული, უკანონო მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება. იგივე წესი ვრცელდება ფარულად მოპოვებულ ვიდეოჩანაწერებზე, სადაც საუბარიც იმის. მტკიცებულება უკანონოდ მოპოვებული არ არის, თუ ვიდეო ან აუდიო ჩამწერი აპარატურა მხარისათვის შესამჩნევ ადგილზეა დამონტაჟებული ან, მართალია, შეუმჩნეველ ადგილზეა დამონტაჟებული, თუმცა, არსებობს მხარისათვის ნათლად აღქმადი ფორმით მინიშნება იმის თაობაზე, რომ მითითებული სივრცის ვიდეო-გადაღება ან აუდიო - ჩაწერა მიმდინარეობს.(17,3) ამგვარი ფორმით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად არ უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღნიშნავენ, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება იმთავითვე დაუშვებელი მტკიცებულებაა და შეფასებას არ ექვემდებარება. მტკიცებულების კანონ-საწინააღმდეგო ხასიათს მისი მოპოვების არამართლზომიერება განაპირობებს და არა მტკიცებულების შინაარსი. მოპოვების არამართლზომიერებაში კი, პირველ რიგში, მოწინააღმდეგე მხარის უფლებებში უნებართვო ჩარევა იგულისხმება, რითაც მხარის კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებები ირღვევა. ერთი პირის სამოქალაქო უფლების დაცვა კი მეორე პირის კონსტიტუციით უზრუნველყოფილ გარანტიათა შელახვის ხარჯზე, დაუშვებელია.

თუმცა მითითებული აკრძალვა აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს. ორმხრივი ინტერესის აწონ-დაწონვისა და ურთიერთშეჯერებული ანალიზის შედეგად, კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულება შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებადაც იქცეს. თუმცა მითითებული დაშვება გამონაკლისია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

განმტკიცებული წესიდან, რომლის მიხედვითაც, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს. (17,3-4)

იმავე პოზიციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელმაც არაუფლებამოსილ პირთა მიერ ფარული ჩანაწერის განხორციელება და ამ გზით მტკიცებულებათა მოპოვება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად მიიჩნია და, შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა დააფიქსირა. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური წესების თანახმად, ჩაწერა უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად, მხარეთა ინფორმირებული თანხმობის პირობებში და მათ ნებაზე ყოველგვარი პირდაპირი თუ ირიბი ზემოქმედების გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული წესები კუმულატიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა პირობის დაცვა აუცილებელი იმისათვის, რომ ჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებად ჩაითვალოს. ერთ-ერთი პირობის არარსებობა ან ეჭვი, მისი არარსებობის თაობაზე, მითითებული მტკიცებულების მართლზომიერებას გამორიცხავს და, შესაბამისად, მას სასამართლო დასაშვებ მტკიცებულებად არ ცნობს.(17,4)

ლიტერატურაში აღნიშნულია მოსაზრება, რომ ადვოკატთა შესახებ კანონი განსაზღვრავს ასევე იმას, რომ არ იქნას ასეთი წესით მოპოვებული მტკიცებულება, რაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნას. ცალსახად იმის თქმა, რომ ეს გამომდინარეობს ადვოკატთა შესახებ კანონიდან, არ იქნება ზუსტი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არაუფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, როგორც წესი, შეფასებას არ ექვემდებარება. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ამგვარი მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნას და შეფასებას დაექვემდებაროს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არამართო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“. თუმცა იმისდა მიხედვით, თუ პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. თუ სახეზეა ინტიმური სფერო, იგი აბსოლუტური დაცვით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ჩარევა არცერთი საფუძვლით არ არის გამართლებული. თუ საქმე ინტიმს არ ეხება, მაშინ იგი აბსოლუტური პრივილეგიით არ სარგებლობს. მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის

ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა, დაცვის ღირსი ისეთი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეთა ორმხრივი ინტერესების აწონ-დაწონვის შედეგად სასამართლომ უკანონო გზით მტკიცებულების მოპოვება შეიძლება იმ პატივსადები ინტერესის გათვალისწინებით გაამართლოს, რამაც მხარეს მტკიცებულების უკანონოდ მოპოვება აიძულა. ეს მხოლოდ ისეთი შემთხვევა შეიძლება იყოს, როდესაც სასამართლო მტკიცებულების მოპოვების გზით სხვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი უფლებების ხელყოფას, მათ შორის, პირად ცხოვრებაში ჩარევას გაამართლებს, მაგალითისათვის, როდესაც ადგილი აქვს პირის უფლებათა ისეთ ხელყოფას, რომლის დადასტურება, კანონით დასაშვები მტკიცებულებების მოპოვების გზით, შეუძლებელია. მაგალითისათვის, როდესაც პირს გარიგებაზე იძულების ისეთი მეთოდების გამოყენების გზით მოაწერინეს ხელი (იარაღით მუქარა, შანტაჟი და ა. შ.), რომელიც ნების გამოხატვის თავისუფლებაზე ზემოქმედებს, თუმცა, განსხვავებით ფიზიკური ზემოქმედებისაგან, ე.წ. „კვალს“ არ ტოვებს. ასეთ ვითარებაში გარიგებაზე ხელმომწერი პირის მიერ ფარული აუდიო (სატელეფონო) ჩანაწერის შექმნა, მტკიცებულების არამართლზომიერად მოპოვებას ამართლებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ მხარეს მტკიცებულების „მართლზომიერად მოპოვების“ შესაძლებლობა შეზღუდული აქვს და მტკიცებულების ამ გზით მოპოვება, თვითდახმარების ფარგლებში, გარდაუვალი აუცილებლობით არის განპირობებული. შესაბამისად, ფარული მოსმენის, გადაღებისა და ა. შ. გზით მოპოვებული მტკიცებულება მართლზომიერად მოპოვებულ და დასაშვებ მტკიცებულებად არ მიიჩნევა, თუ მხარეს მტკიცებულების შექმნის სხვა შესაძლებლობა (თავისუფლება) შეზღუდული არ აქვს.(17,5-6)

ამდენად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, უფლების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შექმნა სხვისი კონსტიტუციური უფლებების ხელყოფის ხარჯზე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, დაუშვებელია, მაშინაც, როდესაც მხარეს მტკიცებულების სხვა გზით მოპოვება არ შეუძლია. ამ მხრივ ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში, მტკიცებულების შექმნა სამართალურთიერთობაში შესვლის ეტაპზე ყოველთვის შესაძლებელია. ასეთ ვითარებაში კი მტკიცებულების არ შექმნა

სამოქალაქო-სამართლებრივი დაუდევრობაა, რომელიც, უფლების სადავოობის შემთხვევაში, მტკიცების ნაკლს განაპირობებს. აღნიშნული კი მხარის სამოქალაქო-სამართლებრივი რისკია, რომლის დაზღვევა სხვა პირის კონსტიტუციურ უფლებათა შელახვის ხარჯზე დაუშვებელია.

საქმის მთავარ სხდომაზე განხილვამდე, კანონით დადგენილი წესით წარდგენილი მტკიცებულება, ანუ მტკიცებულება, რომელიც სარჩელს ან შესაგებელს ერთვის, საქმეში იდება და მითითებულ გარემოებაზე სასამართლო ზეგავლენას ვერ ახდენს. თუმცა, სასამართლო საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებას, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) ასრულებს. როგორც აღნიშნავენ, მითითებული საპროცესო მოქმედების შესრულება სასამართლოს ვალდებულებაა და არა უფლება.(17,6)

დამატებით უნდა განიმარტოს, რომ ვალდებულებასთან ერთად ეს მოსამართლის მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს და ამის საფუძველზე ახდენს მტკიცებულების საქმიდან ამოღებას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი ანალიზის მიხედვითაც, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან არ ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. როგორც აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმესთან შემხებლობაში არარსებული მტკიცებულების საქმიდან ამოღების თაობაზე მის კანონისმიერ მოვალეობას საკუთარი ინიციატივით არ შეასრულებს, მაშინ აღნიშნული საპროცესო მოქმედება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს.

ასეთი შემთხვევა უთითებს იმაზე, რომ მოსამართლე საკუთარი შეხედულების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას და ამის შემდეგ დგება შედეგი. ვინაიდან ამ ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით პროცესი სხვა რეაგირების მექანიზმს არ ითვალისწინებს, კანონმდებელმა ასეთი გარემოების არსებობისას მხარეს მიანიჭა უფლება, მიუთითოს მოსამართლეს შესაბამისი მტკიცებულების ამოღების შესახებ. რაზეც უნდა იმსჯელოს მოსამართლემ.

საპროცესო სამართალში განმტკიცებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით არსებული მტკიცებულებები ფასდება.

არსებობს მოსაზრება, რომ მტკიცებულებას, რომელსაც საქმესთან შეხება არა აქვს, სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს არ ერთვის, მაშინ, სასამართლო ამგვარი მტკიცებულების დართვის თაობაზე შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს.(17,7) არსებობს ასევე მოსაზრება, რომ მართალია, კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების შესაბამისად, საქმიდან ამოღებას მხოლოდ საქმესთან შეხების არმქონე მტკიცებულება ექვემდებარება, თუმცა, იგივე წესი უნდა გავრცელდეს კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე, ვინაიდან კანონის ჩანაწერის მიხედვით, მას მტკიცებულების ძალა არ აქვს. ამასთან, გარდა იმისა, რომ იგი გაზიარებულ არ უნდა იქნას, მიზანშეწონილია, რომ იგი სასამართლომ არ მოისმინოს და არ ნახოს, რათა სასამართლოს შინაგანი რწმენა ქვეცნობიერად აღნიშნული მტკიცებულების შთაბეჭდილების ქვეშ არ მოექცეს.(17,7)

აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იქნეს გაზიარებული. სარჩელის მიღების ეტაპზე გარკვეული მტკიცებულების ამოღების საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე გაეცნობა კონკრეტულ მტკიცებულებებს, როდესაც შეაფასებს ამ მტკიცებულების კანონდარღვევით მოპოვების ფაქტს. ამის გარეშე მსჯელობა მტკიცებულების საქმიდან ამოღების შესახებ არ იქნებოდა სწორი. რაც შეეხება მოსამართლის შინაგან რწმენაზე ქვეცნობიერი ზემოქმედების ფაქტორს, აღნიშნულის მითითება ვერ იქნება სწორი. მოსამართლის ქვეცნობიერზე ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ზემოქმედების ფაქტორი აღმოჩნდეს მხარეთა ფიზიკური და სოციალური გარემოება, შეიძლება ამის შემდეგ მოსამართლეს წინასწარი განწყობა ჩამოუყალიბდეს, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ასეთი ჩანაწერის მოსმენის მიუხედავად, მოსამართლემ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს შესაბამის საფუძვლებსა და ფაქტებზე, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღო გადაწყვეტილება.

როგორც უკვე აღინიშნა, თუ ამკარაა, რომ მხარემ მტკიცებულება ფარულად, კანონდარღვევით მოიპოვა და არ არსებობს მისი საქმეში დატოვების მიმართ მეორე მხარის დაცვის ღირსი ინტერესი, ასეთ ვითარებაში მითითებულ მტკიცებულებას სასამართლო საქმიდან ამოიღებს, ხოლო თუ ამგვარი მტკიცებულება სარჩელს ან შესაგებელს იმთავითვე არ ერთვის, მაშინ სასამართლო მას საქმეს მტკიცებულების სახით არ დაურთავს. ამასთან, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ როგორც საქმიდან მტკიცებულების ამოღება, ასევე მისი საქმეზე დართვა, მხარეთა პოზიციების მოსმენისა და აწონ-დაწონვის საფუძველზე უნდა

მოხდეს, როდესაც სასამართლომ მხარეთა ორმხრივი ინტერესის შეფასების საფუძველზე უნდა გააკეთოს დასკვნა მასზედ, მტკიცებულება უკანონოდაა მოპოვებული თუ არა, და თუ უკანონოდაა მოპოვებული, ხომ არ არსებობს მისი საქმეზე დართვის ან საქმეში დატოვების გამონაკლისი შემთხვევა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მტკიცებულება კანონდარღვევითაა მოპოვებული და, ამასთან, არც მისი კანონდარღვევით შექმნის გამამართლებელი დაცვის ღირსი ინტერესი არსებობს, ასეთ ვითარებაში სასამართლომ მტკიცებულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, საქმიდან უნდა ამოიღოს ან საქმეში არარსებული მტკიცებულება საქმეს არ უნდა დაურთოს. (17,7)

მიმდინარე წელს ფარული ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვებასთან დაკავშირებით საპირისპიროდ შეიცვალა არსებული პრაქტიკა. ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს ორი გადაწყვეტილების ანალიზი, რომლებმაც პრაქტიკის ჩამოყალიბება განაპირობა.

პირველ საქმეში,(138,9) რომლის შესაბამისადაც ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი ჩაითვალა დასაშვებ მტკიცებულებად, დავის საგანი იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია. კასატორის მოთხოვნა ემყარება შემდეგ საფუძველებს: მოცემული სამოქალაქო დავის სასამართლოში განხილვის პერიოდში ო. ნ-ძის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ნ. ქ-შვილის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ მოვალის თანხების მითვისების გამო. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმის განხილვამდე შეჩერდა სამოქალაქო საქმის განხილვა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო მოპასუხის მიერ წარდგენილი ფარული აუდიოჩანაწერი, რომელზეც ასახულია საუბარი ნ. ქ-შვილსა და ო. ნ-ძის მეუღლე მ. ნ-ძეს შორის სხვადასხვა დროს კასატორისათვის მიღებული თანხის დადასტურების თაობაზე. მოგვიანებით, 2007 წლის 13 ნოემბერს, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მიიღო დადგენილება ო.ნ-ძის განცხადების საფუძველზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 20 ოქტომბერს საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი აუდიოჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უტყუარ მტკიცებულებად. დასახელებული დადგენილება სასამართლოების მიერ საბოლოოდ უცვლელად დარჩა. კასატორის მოსაზრებით, მხარეებს შორის სესხისა და იპოთეკის

სახელშეკრულებო ურთიერთობა მყარად დადგენილი ურთიერთობაა, რომელიც მხარეთა ნამდვილ ნებაზეა დაფუძნებული. ამ ნების ნამდვილობას ადასტურებს ნოტარიუსი და მას ზუსტად ის სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს, რასაც მხარეები გამოხატავენ სანოტარო მოქმედების დადასტურებისას. მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი ნების შესაბამისად შეცვალონ პირობები. მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი ნების განდობის სურვილი არ გამოუხატავთ. შესაბამისად, ვერც მემკვიდრეები იდავებენ მამკვიდრებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობაზე. ამდენად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სესხის ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ დადგენილი თანხის ოდენობის სამართლებრივ კრიტიკაზე, მას არ შეეძლო დაედგინა იმაზე ნაკლები თანხა, რაც ხელშეკრულებაში იყო მითითებული და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ უპირატესობა მიენიჭებინა თითქოსდა მამკვიდრებლის (ნ. ნ-ძე) სიცოცხლეში კრედიტორთან დადებულ სიტყვიერ გარიგებაზე, რომელიც ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე გაცილებით ნაკლებია.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სასამართლოს მსჯელობას შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით ფარული აუდიო ჩანაწერისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭების თაობაზე. იგი ამასთან დაკავშირებით ყურადღებას მიაქცევს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებას, რომლითაც დადგინდა ფარული აუდიო ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად.

კასატორის აზრით, სასამართლოს მცდარად ესმის აღიარების სამართლებრივი ბუნება და არასწორი დასკვნები გამოაქვს ფარული აუდიო ჩანაწერის გამოკვლევის შეფასებისას. მეორე მხარემ მხოლოდ მაშინ უნდა მიუთითოს აღიარების იურიდიულ შედეგებზე, თუ აღიარება პირად მოვალესთან მოხდება, თუნდაც ფარული ჩანაწერის მეშვეობით და არა იმ პირთან, რომელიც პირად მოვალეს არ წარმოადგენს.

სასამართლომ შინაგან რწმენაზე დაყრდნობით სამოქალაქო პროცესში მტკიცებულების ძალა მიანიჭა სისხლის სამართლის საქმეზე (იმავე მხარეებს შორის, იმავე საფუძვლებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე) უკანონოდ ცნობილ ფარულ აუდიო ჩანაწერს. ამ შემთხვევაში სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ მიანიჭა თავის შინაგან რწმენას უპირატესობა ისეთ სპეციალურ ნორმასთან შედარებით, როგორცაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ემუხლი.

კანონის აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს მხარის გათავისუფლებას იმ ფაქტების დადასტურებისაგან, რომლებიც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. კასატორისათვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა მიადგეს მას ზიანი სასამართლოს მიერ უკანონოდ მოპოვებული აუდიო ჩანაწერის გამოყენებით, ხოლო დადებით შემთხვევაში, რატომ არ უნდა იქნას გამოყენებული მის სასარგებლოდ საუბრის ის ნაწილი, სადაც მოსაუბრეები ადასტურებენ, რომ კრედიტორმა ვალის დროულად მიუღებლობის გამო განიცადა ზიანი, რომ ვალის დროულად მიღება უკავშირდება მისი ვალების დროულ გასტუმრებას, რის გამოც მისმა ოჯახმა დააგირავა ნივთები და სახლიც კი გაასხვისა. ნ. ქ-შვილმა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოში წარადგინა.

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს, დასაბუთებაში საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2004 წლის 29 ოქტომბრის '1156/22 ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ აუდიო კასეტა ვარგისია ექსპერტიზის ჩასატარებლად, აუდიო კასეტაზე ჩაწერილია ფონოგრამა, მისი ტექსტი დეტალურად დადგენილი და დაფიქსირებულია წერილობითი სახით. აუდიო კასეტაზე არსებული ფონოგრამის შიგნით არავითარი მონტაჟის ნიშნები არ აღინიშნება; შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2006 წლის 5 დეკემბრის 10/7/10-13303 დასკვნით დადგენილია შემდეგი: ა. ო. ნ-ძისმიერ 2005 წლის 8 მარტს წარდგენილ აუდიო კასეტაზე არ აღინიშნება მონტაჟის ნიშნები და არ არის დამზადებული რომელიმე მონტაჟის და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით;

ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით გამოძიებამ დაადგინა, რომ ო. ნ-ძესა დან. ქ-შვილს შორის არსებული დავა არ სცილდება სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს და, შესაბამისად, უნდა გადაწყდეს სამოქალაქო კანონმდებლობით. ამავე დადგენილებაში

აღნიშნა, რომ აუდიო კასეტა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იგნორირებით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უტყუარ მტკიცებულებად და გახდეს შეფასების საგანი.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა კასატორის მსჯელობას საქმეში წარმოდგენილი აუდიო კასეტის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ. აღნიშნულს კასატორი ასაბუთებს იმით, რომ ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით აუდიოკასეტა სისხლის სამართლის საქმეზე დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი.

სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებენ და განსხვავებულია მტკიცებულებათა დასაშვებობის კრიტერიუმებიც სისხლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სისხლის სამართალში, სადაც ორივე დაპირისპირებული მხარე არ არის კერძო სამართლის სუბიექტი, გადამწყვეტია, რომ ბრალდების მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება, არ იმოქმედოს თვითნებურად და არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები, საბოლოოდ, არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი. მტკიცებულებათა დაშვების საკითხიც სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე წესრიგდება, ამიტომ აქ ბრალდების მხარისათვის დაკისრებული მტკიცების სტანდარტი უფრო მკაცრია, ვიდრე დაცვის მხარისთვის.

აღნიშნულის გამოხატულებაა ისიც, რომ სისხლის საპროცესო სამართალში ერთი და იგივე მტკიცებულება ერთ შემთხვევაში შეიძლება დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვალოს, თუკი ბრალდების დასადასტურებლად გამოიყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში - არა, თუკი განსასჯელის გამართლებას ემსახურება. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ასეთი პრობლემატიკა არ დგას, რამდენადაც აქ ურთიერთდაპირისპირებულია კერძო სამართლის სუბიექტები, რომელთაც თანაბარი საპროცესო შესაძლებლობები აქვთ თავის დასაცავად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სამოქალაქო საქმისწარმოება არ ხორციელდება. ამიტომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სადავო აუდიო კასეტის მტკიცებულებად დაშვების საკითხი განსახილველ სამოქალაქო საქმეზე უნდა გადაწყდეს სამოქალაქო პროცესის ნორმების საფუძველზე. უზენაესმა სასამართლომ

აღნიშნა, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს ამ შემთხვევაში აუდიოჩანაწერის კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად მიჩნევას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მოცემული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს მხარეთა პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, ისეთ კონფიდენციალურ ფაქტებს, რასაც დაუკავშირდებოდა მოსარჩელის სუბიექტური ინტერესი, რომ მისი საუბარი სხვა პირთათვის არ გახდეს ცნობილი. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტს (106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტი ამოღებულია კოდექსიდან, თუმცა საკითხზე მსჯელობისათვის და გადაწყვეტილების განხილვის ნაწილში ჩავთვალეთ საჭიროდ ყოფილიყო, აღნიშნულ საკითხზეც მსჯელობა), რასაც კასატორი უთითებს, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა მოცემულ სამართლებრივ ურთიერთობას არ მიესადაგება. ამ მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეზე მტკიცებას არ საჭიროებდა ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლის მიმართაც გამოტანილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, მოცემულ შემთხვევაში კასატორი ითხოვდა პრეიუდიციული ძალის მინიჭებას არაკონკრეტული ფაქტისთვის, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა მოქმედება საქმეში მონაწილე პირმა, არამედ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების დაშვების საპროცესო საკითხის გადაწყვეტისთვის. აღნიშნული არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მაშინ მოქმედი 106-ე მუხლის “გ” ქვეპუნქტის არსს. როგორც უზენაესი სასამართლო უთითებდა, აუდიო ჩანაწერი შეიძლება განიმარტოს, როგორც საქმესთან დაკავშირებული გარემოებების დამტკიცების საშუალება ხმის ან სხვა ხმოვანი სიგნალის სპეციალურ ტექნიკურ საშუალებაზე ფიქსაციის მეშვეობით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აუდიო ჩანაწერს არ განიხილავს მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ. მას მოიცავს ნივთიერი მტკიცებულებების ცნება და განიხილება, როგორც ნივთიერი მტკიცებულებების ერთ-ერთი სახე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი აუდიო

კასეტა, რომელზე არსებული აუდიო ჩანაწერის ნამდვილობაც დადგენილია საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნებით, პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს. ამდენად, კასაციამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული აუდიო ჩანაწერი დასაშვები მტკიცებულებაა საქმეზე, რომელიც უნდა შეფასდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და არ წარმოადგენს აღიარებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად.

სადავო სამართალურთიერთობას წარმოადგენს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნების მართლზომიერება. სამოქალაქო კოდექსის 623-ემუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. როგორც ყველა ხელშეკრულება, სესხიც ესაა მხარეთა ურთიერთ შემხვედრი ნების გამოვლენა და მისი შინაარსის სწორი განმარტებაც სწორედ მხარეთა ნამდვილი ნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საქმეში არსებული ხელშეკრულებების შინაარსის ზემოაღნიშნული აუდიო ჩანაწერის შინაარსთან ერთობლიობაში გაანალიზების საფუძველზე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მხარეთა შორის რეალურად არსებული შემდეგი სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

მოპასუხეები საქმეზე აღნიშნავენ, რომ მათ მიერ დაბრუნებულია სულ 17 500 აშშ დოლარის ოდენობის თანხა. საქმეში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული თანხის დაბრუნების დამადასტურებელი ხელწერილები. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ თანხის დაბრუნების საკითხის დასადასტურებლად საქმეში არსებული აუდიოკასეტის შეფასება საქმის მასალებთან ერთობლიობაში იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ნ. ქ-შვილს მოვალისაგან გარკვეული თანხები მიღებული აქვს, აღნიშნულზე აუდიო ჩანაწერში თავად ნ. ქ-შვილი მიუთითებს დარწმუნებით, ხოლო საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ აქვს და ამის თაობაზე კასატორსაც არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

რაც შეეხება კონკრეტულად დაბრუნებული თანხების ზუსტ ოდენობას, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა 2002 წლის 16 სექტემბრამდე კრედიტორისათვის სულ 16 960 აშშ დოლარის გადახდის შესახებ ყველაზე უფრო შესაბამისი დასკვნაა, რაც გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საქმეში არსებულ

აუდიოჩანაწერში ნ.ქ-შვილის საუბრიდან გამომდინარე, მას მიღებული აქვს სწორედ აღნიშნული ოდენობის თანხა. აღნიშნული თანხის ოდენობა წინააღმდეგობაშია საქმის მასალებთან. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა.

წარმოდგენილი შეფასებები, რომელიც უზენაესმა სასამართლომ გააკეთა ამ კონკრეტულ საქმეზე, არსებითად განსხვავებული აღმოჩნდა იმავე ფაქტთან დაკავშირებით 2015 წელს განხილულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, წარმოადგენს თუ არა ორი ფიზიკური პირის პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრის ფარული აუდიო ჩანაწერი დასაშვებ მტკიცებულებას აღნიშნულ პირთა შორის სამოქალაქო დავის პროცესში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერი მოცემულ საქმეში საპროცესო - სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებ მტკიცებულებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე - კომუნიკაციის თავისუფლება, გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე წამკითხველისა და მარეგისტრირებელი სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც გაუაზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია ან რაიმე ფორმულირება, რომლის

ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაში შესაძლებელი, სხვა გარემოებებსა და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული.

ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის განსაჯაროება. განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხებოდა პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიო ჩანაწერს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ინდივიდის პირად ცხოვრებას არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების შემთხვევაშიც. თუმცა, იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში საქმე არ ეხებოდა ინტიმურ სფეროს, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში ეს იყო კერძო საუბარი, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში.

შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავისმხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არასამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, როდესაც განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია.

ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვით დახმარების ან „თვით დახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია.

ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე

მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არ არსებობის პირობებში დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ აბსოლუტურად სწორად მიიჩნია, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული აუდიო ჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება იქნას გამოყენებული. მისასაღმებელია, პრაქტიკაზე უფრო მეტად ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე მაღალი სტანდარტის შემოღება.

თავი VI. უფლების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა

დისპოზიციური უფლებების განკარგვით მხარეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პროცესის მსვლელობაზე (დინამიკაზე). ამ უფლებათა განკარგვამ, შესაძლოა, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი წარმოშვას. მხარეები თავიანთი შეხედულებით განსაზღვრავენ, თუ რა საშუალებით დაიცვან თავი. როგორც გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში აღინიშნება: „არ არის მოსარჩელე, არ არის მოსამართლე“. აღნიშნული ფრაზა უფრო მკაფიოდ გამოხატავს დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსს. პროცესი იწყება მხოლოდ მხარეთა ინიციატივის შესაბამისად. იგი წარმოადგენს ნების ავტონომიის პროცესუალურ გაგრძელებას. მისი მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ პროცესის დაწყებით, არამედ იგი ვრცელდება მთლიანად სამოქალაქო საპროცესო სამართალზე.(68,64)

დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, მხარეები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, დაიცვან თუ არა თავიანთი დარღვეული უფლებები. მათ შეუძლიათ არა მხოლოდ ისარგებლონ ყველა საპროცესო საშუალებით თავიანთი მატერიალური უფლებების დასაცავად, არამედ განკარგონ კიდევ ეს საპროცესო საშუალებები. შესაბამისად, მხარეებს საქმის განხილვის დროს შეუძლიათ კანონით დადგენილ ფარგლებში განახორციელონ თავიანთი მატერიალური მოთხოვნების კორექტირებაან საერთოდ უარი თქვან მათ დაცვაზე. კანონი ითვალისწინებს უფლების დაცვის საშუალებების განკარგვის სხვადასხვა ფორმას, კერძოდ: მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საგანი ან საფუძველი, უარი თქვას სარჩელზე, გამოიხმოს სარჩელი, გაზარდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, დააზუსტოს სარჩელი. თავის მხრივ, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი, მხარეებს ასევე შეუძლიათ, მორიდდნენ.(25,318)

6.1 შეგებებული სარჩელი

მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპი პროცესში იმითაა უზრუნველყოფილი, რომ მოპასუხეს კანონი უფლებას აძლევს, დაიცვას თავი სარჩელისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმის მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუკი მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუკი მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას (მაგალითად, მოსარჩელის მოთხოვნის შესრულება სკ-ის 427-ე მუხლის თანახმად) და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; როდესაც მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიცდება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). (72,20)

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიზნებისათვის დადგენილია, რომ მოთხოვნის ინიციატორმა მხარემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს მისი მოთხოვნები, ხოლო სასამართლოს როლი შედავების ფარგლებში მათი ნამდვილობა-საფუძვლიანობის კვლევით შემოიფარგლება (სსსკ-ს 102-ე და 105-ე მუხლები). (148) (იმავე გადაწყვეტილებიდან) სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში და შეუძლია, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შინაგან რწმენაზე დაყრდნობით დადგენა, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გადაწყვეტილების ვარაუდზე დაყრდნობით მიღების შესაძლებლობას.(143,)

მოპასუხეს ზოგჯერ შესაძლოა ჰქონდეს დამოუკიდებელი მოთხოვნაც მოსარჩელისადმი, რომელიც თავისი შინაარსით მოსარჩელის მოთხოვნის საპირისპიროა. ეს მოთხოვნა

პროცესზე შეიძლება წამოყენებულ იქნას შეგებებული სარჩელის სახით. შეგებებული სარჩელისათვის დამახასიათებელია ის, რომ:

- 1) ეს არის მოპასუხის დამოუკიდებელი სარჩელი (მოთხოვნა);
- 2) შეგებებული სარჩელის აღძვრა ყოველთვის დაწყებულ პროცესში ხდება;
- 3) შეგებებული სარჩელი აღიძვრება პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვის მიზნით (პირვანდელი და შეგებებული სარჩელები ერთად განიხილება).

სამოქალაქო პროცესში შეგებებული სარჩელი, ისევე, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, მიმართულია მოსარჩელის მოთხოვნების წინააღმდეგ. ამასთანავე, შეგებებული სარჩელი და მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდება. განსხვავება ისაა, რომ შეგებებულ სარჩელში დაფიქსირებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის განხილვა და გადაწყვეტა შეიძლება არა მხოლოდ პირვანდელ სარჩელთან ერთად, არამედ ცალკეც, მისგან დამოუკიდებლად, დამოუკიდებელ პროცესში.

შეგებებული სარჩელის წარდგენა მოპასუხის მიერ მისი უფრო აქტიური საპროცესო საქმიანობაა შესაგებელთან შედარებით. შესაგებელი წარდგენილ უნდა იქნას სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, შეგებებული სარჩელი - კანონით დადგენილ ვადაში - საქმის მომზადების დამთავრებამდე. იმდენად, რამდენადაც მოპასუხის სარჩელს შეგებებულს ვუწოდებთ, მოსარჩელის მოთხოვნას მოცემულ შემთხვევაში პირვანდელი მოთხოვნა უნდა ვუწოდოთ. შეგებებულ სარჩელს მოპასუხე წარადგენს პირვანდელი სარჩელისაგან თავისი უფლებების დასაცავად. კერძოდ, შეგებებული სარჩელის წარდგენით, მოპასუხე ან აქარწყლებს (აბათილებს, უარყოფს) მოსარჩელის მოთხოვნებს ან მოითხოვს თავისი მოთხოვნების ჩათვლას. იმის გამო, რომ შეგებებული სარჩელის მიღება განსახილველად ნაკარნახევია პრაქტიკული მოსაზრებით, ძირითადი და შეგებებული სარჩელების მოთხოვნები ან ერთგვაროვანი უნდა იყოს, ან აღძრული უნდა იყოს ერთი და იმავე სადავო საკითხის გამო.

შეგებებული სარჩელის განსჯადობის განსაკუთრებულ წესს ადგენს კანონი. კერძოდ, შეგებებული სარჩელის მიღება, მიუხედავად მისი განსჯადობისა, ხდება იმ სასამართლოში, სადაც პირვანდელი სარჩელია აღძრული. ეს იმიტომ, რომ, საერთოდ, შეგებებული სარჩელის განსჯადობა განპირობებულია მისი კავშირით პირვანდელ სარჩელთან. ამის შედეგადაა, რომ ის წარედგინება იმ სასამართლოს, რომელშიც პირვანდელი სარჩელი იხილება. მოსამართლე

მოპასუხის შეგებებულ მოთხოვნას (სარჩელს) მიიღებს პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად მხოლოდ 189-ე მუხლით გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში:

1) თუ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად. ჩათვლას ადგილი აქვს მაშინ, როცა ორივე სარჩელი ქონებრივი ხასიათისაა. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როცა შეგებებული და პირვანდელი მოთხოვნები ერთმანეთს არ აღემატება, ჩათვლის შესახებ მოთხოვნა შეიძლება მოპასუხემ დააყენოს შეგებებული სარჩელის სახით და, ამავდროულად, ეს მოთხოვნა მოპასუხემ შეიძლება დააყენოს შესაგებლის ფორმით.

ტერმინოლოგიის ერთიანობა კანონში ყოველთვის არ არის დაცული „სსსკ-ს 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი შეეხება არა შეგებებულ სარჩელს, არამედ წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი ნების გამოვლენას (სკ-ის 442-ე მუხლი), რაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენის შემდეგ საპირისპირო მოთხოვნის გაუქმებას განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშეც. აღმჭურველი უფლების განხორციელების უშუალოდ ეს სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ისე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა საჭირო არ არის. აღნიშნული უშუალოდ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 443-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებებიდან“.(6,23) მეთოდოლოგიურად უფრო სწორია სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყოს შეგებებული სარჩელის დაშვების შემოწმებით, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, შეგებებული მოთხოვნის პირვანდელ სარჩელთან ერთად ერთ პროცესში განსახილველად მიღება ამ მოთხოვნათა შესაძლო ჩათვლის მოტივით, სასამართლოს უფლებაა და არა მისი მოვალეობა.

2) თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

სასამართლო ვალდებულია მიიღოს ასეთი მოთხოვნები ერთად განსახილველად და მათ შესახებ გამოიტანოს ერთი საერთო გადაწყვეტილება.

3) კანონი უშვებს პირვანდელ და შეგებებულ სარჩელს შორის ურთიერთკავშირის სხვა შემთხვევებსაც; კერძოდ, როცა მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული - მიიჩნევს თუ არა ის, რომ მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია.

შეგებებული სარჩელის მიღების მომენტში ძნელია განვსაზღვროთ, თუ რა შედეგით დამთავრდება პროცესი, არ არის გამორიცხული პროცესის გართულება და გაჭიანურება, არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. ამიტომ სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიუდგეს სარჩელთა ასეთი გაერთიანების საკითხს.

თუ დასახელებული სამი საფუძველიდან, შეგებებული სარჩელის მიღების რომელიმე საფუძველი არ არსებობს ან შეგებებული სარჩელი წარდგენილია 188-ე მუხლით დადგენილი ვადის გაშვების შემდეგ, სასამართლოს გამოაქვს განჩინება პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად მის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება, რადგან იგი არ ართმევს უფლებას მოპასუხეს, წარადგინოს დამოუკიდებელი სარჩელი. ხოლო, თუკი სასამართლო არ მიიღებს მოპასუხის შეგებებულ სარჩელს საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული მოტივებით, მაშინ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს.

აქედან გამომდინარე, არასწორად მიმაჩნია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რომლის თანახმადაც პირვანდელ სარჩელთან შეგებებული სარჩელის კავშირის არარსებობის მოტივით შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება გამოდის, რომლის გასაჩივრების უფლებასაც აძლევენ მოსარჩელეს, რაც არაკეთილსინდისიერი მხარის ხელში საქმის გაჭიანურების შესაძლებლობას იძლევა.

ამგვარი პრაქტიკა სამომავლოდ უნდა აღმოიფხვრას. მართალია, სსსკ-ს 189-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითხოვს შეგებებული სარჩელის წარდგენას სარჩელის წარდგენის წესების დაცვით, მაგრამ აქ საუბარია შეგებებული სარჩელის წარდგენის წესზე, რომელიც გამორიცხავს შეგებებული სარჩელის მიმართ მის მიღებაზე უარის თქმის განჩინებაზე სსსკ-ს 187-ე მუხლის გავრცელების შესაძლებლობას, თუკი, როგორც ითქვა, ამგვარი უარის საფუძველი გახდა მარტოოდენ კავშირის არარსებობა პირვანდელსა და შეგებებულ სარჩელებს შორის.

6.2 სარჩელის შეცვლა

სსკ-ს მე-3 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს სარჩელის საგანი და საფუძველი. სასამართლოს არ აქვს უფლება, შეცვალოს მოსარჩელის მიერ წამოყენებული სასარჩელო მოთხოვნების საფუძველი და საგანი. სარჩელის საგნისა და საფუძვლის შეცვლა მხოლოდ მოსარჩელეს შეუძლია. მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლა შესაძლებელია სარჩელის თავდაპირველი საგნის, საფუძვლის, ფასის, სუბიექტური შემადგენლობის შეცვლით (მისი გაზრდით ან შემცირებით). სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეს ამ განკარგვით მოქმედებების მნიშვნელობა, რათა მხარეს გაუთვითცნობიერებულობის გამო არ მიადგეს ზიანი. კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, რომელზეც მოსარჩელე აფუძნებს მოთხოვნას მოპასუხისადმი, სარჩელის საფუძვლის შეცვლას წარმოადგენს. სარჩელის შეცვლის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეს მისცეს სასარჩელო მოთხოვნის ჩამოყალიბების დროს თავიდანვე დაშვებული შეცდომის კორექტირების შესაძლებლობა.

სარჩელის საგნის შეცვლა ნიშნავს მოპასუხისადმი მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შეცვლას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში აღნიშნულია, რომ ნ. ბ.მ კ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, გ-ის ქ. N20-ის მე-3 სართულზე მდებარე N12 ბინის გამიჯვნა სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2010 წლის 2 სექტემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის N8790 დასკვნაში მოყვანილი გაყოფის პირველი ვარიანტის შესაბამისად, რაზეც იმსჯელა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას. 2011 წლის 29 ნოემბერს აპელანტმა განცხადებას დაურთო სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ახალი 2011 წლის 23 ნოემბრის დასკვნა და დააზუსტა, რომ სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საზიარო უფლების გაუქმებას ხსენებული დასკვნის საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ზემოხსენებული სახით დაზუსტებით აპელანტს არ შეუძვლია სასამართლო მოთხოვნა, ვინაიდან, როგორც კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, მხარე იმთავითვე ითხოვდა და სააპელაციო საჩივრითაც დასტურდებოდა, რომ სურდა საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო რა სახით მოხდებოდა საზიარო უფლების გაუქმება, დამოკიდებული იყო საქმის მასალებზე. (18,441-442)

სსკ-ს 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება ან

დამატება. მითითებული ნორმის შესაბამისად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მასში მითითებული გარემოებების დაზუსტება ან დამატება, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი უცვლელი რჩება, ზუსტდება ან ემატება ახალი ფაქტები, მაგრამ სარჩელის თავდაპირველი ფაქტობრივი საფუძვლის აზრი და შინაარსი არ იცვლება.(156)

ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. თბილისის ნამალადევის რაიონის სასამართლოს 1996 წ. 12 იანვრის გადაწყვეტილებით თბილისში, ... ა.ჭ-ის სახელზე მდებარე სახლიდან ფართი გამოეყო ნ.ი.-ს მცირეწლოვან შვილთან ერთად, რაც არ აღსრულებულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა, რომ 1999 წ. 18 ივნისს გაფორმდა სანოტარო წესით დამოწმებული გარიგება, რომლის თანახმად ა.ჭ.-ემ ნ.ი.-ს წინაშე იკისრა ვალდებულება, რომ ექვსი თვის განმავლობაში უყიდდა ერთოთახიან ბინას. ამდენად, აღნიშნული გარიგების თანახმად, ა.ჭ.-ს ექვსი თვის განმავლობაში უნდა შეეძინა ერთოთახიანი ბინა და უსასყიდლოდ გადაეცა იგი ნ.ი.-სთვის, ანუ მან იკისრა უძრავი ნივთის შეძენის ვალდებულება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა შემდეგი საფუძველით: გაიზიარა რა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დაიდო ახალი გარიგება, რომლის თანახმად, ა.ჭ.-ემ ნ.ი.-ს წინაშე იკისრა ვალდებულება ბინის შეძენის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე, სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილი და არასწორად მიიჩნია, რომ ამ ნორმის თანახმად, ნ.ი.-ს უფლება ჰქონდა, ბინის სანაცვლოდ მოეთხოვა თანხა 8000 აშშ დოლარის ოდენობით. განსახილველი ნორმის გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს ის შემთხვევა, თუ მხარე სარჩელით ითხოვდა ნივთს, ხოლო შემდეგ მოითხოვა ამ ნივთის ღირებულება. აღნიშნული ნორმა არ არის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. იმ შემთხვევაშიც, თუ იარსებებდა სსკ-ის 83-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გარემოება, სასამართლო ვალდებული იყო შეემოწმებინა ამ მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი საფუძველი.(157)

დაუშვებელია სარჩელის საფუძვლისა და საგნის ერთდროული შეცვლა. კანონის თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზიდან, რომელიც მხოლოდ ალტერნატივის შესაძლებლობას ითვალისწინებს (ალტერნატივის სახით, ფორმით არის ჩამოყალიბებული).(25,320)

საპროცესო კოდექსში რაიმე სპეციალური ჩანაწერი, სპეციალური ნორმა არ არსებობს, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთდროულად შეცვლის შედეგები, თუმცა უნდა დავასკვნათ, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად შეცვლის დროს სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და განუმარტოს მოსარჩელეს, რომ ახალი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრა მას შეუძლია დამოუკიდებელ პროცესში. ამ საკითხის ასეთნაირად გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ს 272-ე მუხლი. ამასთან, ის დებულება, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად შეცვლა არსებითად ახალი სარჩელის აღძვრას ნიშნავს, დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, დაუშვებელია სარჩელთა ელემენტების ერთდროულად შეცვლა, ხოლო სარჩელის საგნის შეცვლის დროს ხდება იმ გარემოებათა შესაბამისი შეცვლა, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს. მაგალითად, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ, ხოლო შემდეგ ამ სარჩელს დაამატა განაცდენი ხელფასის გადახდევინების მოთხოვნა. ცხადია, ამ შემთხვევაში მოსარჩელემ სარჩელის საფუძველს უნდა დაამატოს ახალი გარემოებები. კერძოდ, უნდა მიუთითოს იძულებითი გაცდენის ფაქტსა და მიყენებულ ქონებრივ ზიანზე.(25,321)

აშშ-ს ფედერალური საპროცესო სამართალი ითვალისწინებს ე.წ. შესწორებებს (დაზუსტებას) პასუხებში ან სარჩელში. ამ შესწორებების საფუძველზე მოსარჩელეს უფლება ეძლევა შეიტანოს სარჩელში ისეთი ფაქტები, რომლებიც არსებობენ, მაგრამ არ ყოფილა შეტანილი დროულად. ასეთივე უფლება აქვს მოპასუხესაც, მასაც შეუძლია გარკვეული შესწორებები შეიტანოს თავის პასუხებში (შესაგებელში). ეს უფლებები მხარეებს აქვთ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში, კერძოდ, ფედერალური წესების მე-15 წესის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: ყოველი მხარე უფლებამოსილია, ერთხელ შეცვალოს თავისი პოზიცია ნებისმიერ დროს, სანამ მეორე მხარისაგან არ მიუღია პასუხი, ანდა თუ პასუხი არის და საქმე ჯერ კიდევ არ არის დანიშნული ძირითადი მოსმენისათვის (has not been placed upon the trial calendar), მაშინ 20 დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მოწინააღმდეგე

მხარეს ჩაბარდა შესაბამისი პასუხი. შემდგომი შესწორებები შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ანდა სასამართლოს ნებართვით.(13,301)

შესწორებები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს, მაგალითად, მხარის შეცვლით, გარკვეულ საკითხებზე მორიგებით და ა.შ. გარდა შესწორებებისა, ფედერალური წესების აღნიშნული მუხლის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს აგრეთვე მხარის შუამდგომლობით ე.წ. დამატებითი საბუთების წარდგენის შესაძლებლობას (Supplemental pleadings). დამატებით საბუთში უნდა იყოს ასახული გარიგება, მოვლენა, რომელიც მოხდა წერილობით შეჯიბრების დაწყების შემდეგ.

6.3 სასარჩელო მოთხოვნათა გაერთიანება და გამოყოფა

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უფლება აქვს, რომ ერთ სარჩელში გააერთიანოს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე მოთხოვნა. თუმცა მხედველობაში უნდა იქონიოს საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს უფლება აქვს გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია. გასაერთიანებელი მოთხოვნები ხშირად ერთი და იმავე სადავო სამართალურიერთობიდან გამომდინარეობს. ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნები.

მაგალითად, პატივისა და ღირსების დაცვის სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურების მოთხოვნა. პირობითად შეიძლება გამოიკვეთოს ორი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვითაც ხდება მოთხოვნა (სარჩელთა) გაერთიანება და გამოყოფა. კერძოდ, ესენია - სუბიექტი და ობიექტი. სარჩელთა გაერთიანებას სუბიექტის მიხედვით ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი და იმავე სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით პროცესში ხდება რამდენიმე მოპასუხის ჩაბმა, ანუ სარჩელთა გაერთიანებაში სუბიექტის მიხედვით იგულისხმება ერთ წარმოებაში სხვადასხვა პირის რამდენიმე სარჩელის გაერთიანება, რაც სხვა არაფერია, თუ არა საპროცესო თანამონაწილეობა.

სარჩელთა გაერთიანებას ობიექტის მიხედვით, ე.ი. სარჩელთა გაერთიანებას იმისთვის, რომ ერთ პროცესში განხილულ იქნას დავა სხვადასხვა ობიექტთან (საგანთან) დაკავშირებით, ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთ სარჩელში (ერთ წარმოებაში) ერთიანდება რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხისადმი. ამ დროს ხდება სარჩელთა ისეთი გაერთიანება ერთ წარმოებაში, რომლის დროსაც მოსარჩელედ და მოპასუხედ გვევლინებიან ერთი და იგივე პირები.

6.4 სარჩელზე უარის თქმა და სარჩელის გამოხმობა

სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედება ვლინდება არა მხოლოდ პროცესის დაწყების დროს, არამედ მის დასრულებამდე.(68,65) მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე უარს ამბობს არა მხოლოდ თავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე მოპასუხისადმი, არამედ თავისი მოთხოვნების დაცვის საპროცესო საშუალებების გამოყენებაზეც (პროცესის გაგრძელებაზეც). ამრიგად, სარჩელზე უარის თქმა - ესაა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტი საპროცესო სამართლებრივი შედეგით.(15,85) ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე პრიმა მუხლის თანახმად, დასაშვებია, რომ მოსარჩელემ უარი თქვას მხოლოდ სასამართლო წესით უფლების დაცვაზე (საპროცესო საშუალებების გამოყენებაზე), სასარჩელო მოთხოვნაზე ანუ სარჩელზე უარის თქმის გარეშე. ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელის გამოხმობას უწოდებს. მოსარჩელეს ასევე შეუძლია უარი თქვას სარჩელის ნაწილზე ან გამოიხმოს სარჩელის ნაწილი, თუ მოთხოვნა გაყოფადია. სარჩელზე უარის თქმის და სარჩელის გამოხმობის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს საქმის წარმოების დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, ე.ი. საქმე აღარ განიხილება არსებითად. განსხვავება ის არის, რომ სარჩელზე უარის თქმის დროს სასამართლოს გამოაქვს განჩინება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, ხოლო სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს განუხილველად ტოვებს.

სარჩელზე უარის თქმის შემდეგ სასამართლოსადმი მიმართვა იმავე მოთხოვნით დაუშვებელია. სარჩელის გამოხმობაც დასაშვებია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, ოღონდ სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში მთავარ სხდომაზე ასევე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. სარჩელის გამოხმობა არ ართმევს მოსარჩელეს უფლებას იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველზე და იმავე მხარეებს შორის ხელშეორედ მიმართოს სასამართლოს. (15,327)

აღსანიშნავია, რომ სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტი სასამართლო პრაქტიკის პირმშოა და იგი ანალოგიით გამოიყენებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ არსებობდა 83 -ე პრიმა მუხლი. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ შემთხვევა სასამართლო პრაქტიკიდან. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა შეტანილი ანაბრების და მასზე რიცხული პროცენტების გადახდა. აღწერილობითი ნაწილი: 2000 წლის 25 ივლისის ს/ს,,ა“-ის კრედიტორების წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს ს/ს,,ბ“-ის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხე ორგანიზაციაში შეტანილი ანაბრების და მათზე რიცხული პროცენტების გადახდა. მოსარჩელებმა მოპასუხისაგან მოითხოვეს შეტანილი თანხების, სულ 360852 აშშ დოლარის დაბრუნება. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 26 იანვრის განჩინებით, საქმე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს. საქმის განსახილველად მომზადების სტადიაზე მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა შეამცირეს 231288 აშშ დოლარამდე და, აღნიშნულის გამო, შუამდგომლობით მოითხოვეს საქმის განსჯადობით გადაგზავნა რაიონული სასამართლოსათვის. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 14 სექტემბრის განჩინებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები საქმის რაიონული სასამართლოსათვის განსახილველად გადაგზავნის შესახებ. 2001 წლის 18 სექტემბერს მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს სარჩელის განუხილველად დატოვება და უკან დაბრუნება იმ საფუძველით, რომ გადაწყვიტეს, სასარჩელო განცხადებების ცალ-ცალკე შეტანა რაიონულ სასამართლოში, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ, საქმე გაესაჩივრებინათ სააპელაციო და საკასაციო წესით.

2001 წლის 2 ოქტომბერს მოსარჩელებმა განმეორებით მიმართეს სასამართლოს განცხადებით და მიუთითეს, რომ ამ ეტაპზე ისინი პირადი მოტივით ვერ მიიღებდნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, ხსნიდნენ სარჩელს და მოითხოვდნენ საქმის მასალების დაბრუნებას. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა შუამდგომლობა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო სარჩელის მოხსნის შესახებ განცხადების განხილვისას მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე, რადგან სარჩელის მოხსნა სარჩელზე უარის თქმად მიიჩნია.

სასამართლომ განჩინებით დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ემუხლის «გ» პუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეწყდა. მოსარჩელებმა კერძო საჩივრით მიმართეს საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს 2001 წლის 2 ოქტომბრის განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ემუხლის «გ» ქვეპუნქტი. სასამართლომ ამ ნორმის არასწორად გამოყენებით მხარეს დაუკარგა უფლება, დარღვეული უფლების აღსადგენად სარჩელით კვლავ მიმართოს სასამართლოს.

მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ სარჩელის მოხსნა გამოიწვევდა მათი სარჩელის უკან დაბრუნებას და არა საქმის შეწყვეტას. კერძო საჩივრის ავტორებმა ასევე მოითხოვეს საოლქო სასამართლოს 2001 წლის 14 სექტემბრის განჩინების გაუქმება, რომლითაც უარი ეთქვათ მოთხოვნაზე საქმის რაიონული სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის შესახებ. განჩინების გაუქმება მოითხოვეს იმ საფუძველით, რომ მათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა 500 000 ლარზე ქვევით. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლით და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რაიონული სასამართლოსათვის. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 27 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუშვებლობის გამო და იგი განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოცემულ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნული იყო 2001 წლის 2 ოქტომბერს. 2001 წლის 18 სექტემბერს მოსარჩელებმა

განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს სარჩელის განუხილველად დატოვება და მისი უკან დაბრუნება იმ მოტივით, რომ გადაწყვეტეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სარჩელთა ცალ-ცალკე შეტანა რაიონულ სასამართლოში, რათა სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა ჰქონოდათ, გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ ორ ინსტანციაში.

2001 წლის 1-ლ ოქტომბერს მოსარჩელებმა განმეორებით მიმართეს საოლქო სასამართლოს. განცხადებაში მიუთითეს, რომ ვინაიდან პირადი მოტივებით ამ ეტაპზე ვერ მიიღებდნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, მოპასუხის კრედიტორები ხსნიდნენ სარჩელს და მოითხოვდნენ საქმის მასალების დაბრუნებას. 2001 წლის 2 ოქტომბერს მთავარ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელები არ გამოცხადდნენ. სასამართლომ მოსარჩელეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა მათი განცხადებები. პირველად განხილული ქნა 2001 წლის 18 სექტემბრის განცხადება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და სარჩელის დაბრუნების შესახებ, რაც არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სასამართლომ განჩინების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ემუხლი. იმავე სხდომაზე სასამართლომ განიხილა მეორე განცხადება, რომლითაც მოსარჩელები პირადი მოტივებით ამ ეტაპზე სარჩელის მოხსნას და საქმის მასალების დაბრუნებას მოითხოვდნენ.

საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მიერ განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ ისინი პირადი მოტივით ამ ეტაპზე ვერ მიიღებდნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, ხსნიდნენ სარჩელს და მოითხოვდნენ საქმის მასალების დაბრუნებას, მიიჩნია სარჩელზე უარის თქმად და საქმის წარმოება შეწყვიტა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი 2001 წლის 1-ლი ოქტომბრის განცხადების საფუძველზე საქმის წარმოებით შეწყვეტა არასწორია და საოლქო სასამართლოს მიერ 2001 წლის 2 ოქტომბერს მიღებული განჩინება საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას სარჩელზე, რაც დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს მოსარჩელის მიერ თავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებზე უარის თქმით მოპასუხის მიმართ. სარჩელზე უარის თქმა შეიძლება გამოწვეული იყოს აგრეთვე იმით, რომ მოსარჩელე დარწმუნდა თავისი მოთხოვნის ფაქტობრივ თუ

სამართლებრივ დაუსაბუთებლობაში; ან კიდევ იმით, რომ მოპასუხემ საქმის განხილვის პროცესში ნებაყოფლობით დააკმაყოფილა სარჩელი.

სარჩელზე უარის თქმას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი უკავშირებს საქმის წარმოების შეწყვეტას, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, - არ შეიძლება, ე.ი. მხარეს ესპობა უფლება, განმეორებით წარადგინოს სარჩელი სასამართლოში. მოსარჩელე, რომელიც უარს ამბობს სარჩელზე, სასამართლოს მიერ გაფრთხილებული უნდა იყოს ასეთი შედეგის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე უარს კი არ ამბობს სარჩელზე, ზემოთ აღნიშნული გაგებით, არამედ მას არ სურს დროის ამ მონაკვეთში, ამ ეტაპზე, სარჩელის განხილვა და ამიტომ მოითხოვს მის უკან დაბრუნებას. ასეთი გარემოება არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტი და საქმის წარმოება შეწყვიტოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს: სარჩელზე უარის თქმა გულისხმობს, რომ მოსარჩელე აღარ მოითხოვს თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას სასამართლო წესით, ე.ი. მას აღარ სურს მომავალში კვლავ აღძრას სარჩელი იმავე მხარის (მხარეების) წინააღმდეგ, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელზე უარის თქმისას მოსარჩელის ნება აშკარად უნდა იყოს გამოხატული. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ განცხადებაში იმის მითითება, რომ პირადი მოტივით ისინი ამ ეტაპზე ვერ მიიღებდნენ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, ხსნიდნენ სარჩელს და მოითხოვდნენ მასალების დაბრუნებას, სრულებით არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მოსარჩელებმა უარი თქვეს სარჩელზე და სამუდამოდ დაკარგეს ინტერესი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ. პირიქით, 18 სექტემბრის განცხადებაში მითითებული გარემოება მიუთითებდა იმაზე, რომ მოსარჩელები სარჩელის მოხსნას და მასალების დაბრუნებას მოითხოვდნენ იმ მოტივით, რომ ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარედგინათ თავიანთი სარჩელები განსჯადობით პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესავალი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს საქმის შეწყვეტა შეუძლია, როგორც მხარეთა

განცხადებით, ისე თავისი ინიციატივით, მაგრამ აღნიშნული იმას როდი ნიშნავს, რომ საქმის წარმოებით შეწყვეტა 272-ემუხლის «გ» პუნქტის საფუძველზე შესაძლებელია მოსარჩელის ნების საწინააღმდეგოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა შემთხვევაში ნება უნდა იყოს მხარის მიერ აშკარად გამოხატული, ამიტომ სასამართლომ მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება ამ საფუძველით, თუ დაადგენს, რომ მოსარჩელეს სწორედ ეს სურს უარს ამბობს სარჩელზე და მისთვის ცნობილია სარჩელზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება გააუქმა და საქმე განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. (134)

სარჩელზე უარის თქმასთან დაკავშირებით მართებულია განვიხილოთ სასამართლო პრაქტიკიდან შემთხვევა, თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი სარჩელზე უარის თქმის შეფასებისას მხარის რეალური ნება და საქმისადმი ინტერესი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სამკვიდროს მესაკუთრედ აღიარება. ნ. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ხ-ს და ნ. გ-ს მიმართ სამკვიდროს მესაკუთრედ ცნობის შესახებ. საქმეში მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც თ. ხ-მა, ნ. გ-ემ და მ. ყ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 აპრილის განჩინებით საქმის წარმოებად. ხ-ს, ნ. გ-სა და მ. ყ-ს სააპელაციო საჩივარზე შეწყდა აპელანტთა მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, აპელანტებს განემარტათ, რომ გასაჩივრებულ განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება ერთმევათ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 372-ე მუხლებით და მიუთითა, რომ აპელანტებმა _ თ. ხ-მა, ნ. გ-ემ და მ. ყ-ს წარმომადგენელმა მ. ნ-ამ სასამართლო სხდომაზე უარი თქვეს სააპელაციო საჩივარზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის

წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. ხ-ს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე ძალაში უნდა დარჩეს, ხოლო #2ბ/88-13 საქმეზე საქმის წარმოება შეწყდეს. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. გ-ემ და თ. ხ-მა შეიტანეს კერძო საჩივარი და მოითხოვეს მისი გაუქმება და მიუთითეს შემდეგზე: სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტებმა შეიტყვეს, რომ მ. ყ-ს სასარჩელო განცხადება ნ. ხ-ს მიმართ სადავო სამკვიდროს 1/4-ს მესაკუთრედ ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა. გამოხატეს რა სიხარული მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით, მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, თავისი წარმომადგენლისაგან შეეტყოთ, რა ხდებოდა მათი სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა აღნიშნულს. ფაქტობრივად, აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე უარი არ უთქვამთ. მათი ემოციები განპირობებული იყო მ. ყ-ს სარჩელის დაკმაყოფილებით. საკასაციო სასამართლომ ნ. გ-სა და თ. ხ-ს კერძო საჩივარი დააკმაყოფილა. დადგენილია, რომ ნ.გ-ემ და თ.ხ-მა უარი განაცხადეს მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე შეტანილ სააპელაციო საჩივარზე, რის გამოც სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და 372-ე მუხლებით, 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სააპელაციო საქმის წარმოება შეწყვიტა.

მოცემული კერძო საჩივრის ავტორები თავის მოთხოვნას ამყარებენ იმ გარემოებებზე, რომ აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის სურვილი არ გააჩნდათ, სააპელაციო სასამართლოში პროცესის მიმდინარეობისას მათ შესაძლებლობა არ მიეცათ, გაეცნობიერებინათ ან თავიანთი ადვოკატისაგან გაეგოთ მომხდარის სამართლებრივი შედეგების შესახებ. აპელანტებმა თანხმობა გამოთქვეს მხოლოდ მ. ყ-სათვის სადავო სამკვიდროს თ.ხ-ის მიკუთვნებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო იზიარებს მხარეთა მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტებს _ ნ.გ-სა და თ. ხ-ს სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ საკუთარი ნება მკაფიოდ და დამაჯერებლად არ გამოუთქვამთ.

ამ კუთხით საკასაციო სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია სააპელაციო პალატის 2013 წლის 11 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი, სადაც დაფიქსირებულია, რომ სასამართლოს

სხდომას ესწრებოდნენ როგორც ნ. გ-ე და თ. ხ-ი, ისე მათი წარმომადგენელი მ. ნ-ა. ამ უკანასკნელს გააჩნდა მარწმუნებელთა სახელით სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება, თუმცა, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ განცხადება კერძო საჩივრის ავტორთა სახელით არ გაუკეთებია. რაც შეეხება ნ.გ-სა და თ. ხ-ის განმარტებებს, სასამართლო სხდომის ოქმის შესწავლით დასტურდება შემდეგი: ნ. გ-სა და თ. ხ-ს მითითებაზე - რომ მათ არ იციან, რა სახით ჩამოაყალიბონ საკუთარი მოთხოვნა, სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ კითხვებით, ამბობდნენ თუ არა ისინი უარს სააპელაციო საჩივარზე; სასამართლოს არ განუმარტავს აპელანტებისთვის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები; თ. ხ-ი განმარტავს, რომ მოცემულ დავაში მისი ინტერესი მიმართული იყო მეტწილად მ. ყ-ს სადავო სამკვიდროდან წილის მიკუთვნებაზე, თუმცა, მასაც საკუთარი პრეტენზია ჰქონდა, რაც სასამართლოს მხრიდან კითხვების დასმის გზით იმის დაზუსტებას საჭიროებდა, ხომ არ გამოხატავდა მხარე ამგვარი პოზიციის დაფიქსირებით დავის გაგრძელების სურვილს; ნ. გ-ე დაეთანხმა თ. ხ-ს პოზიციას. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით აღიარებულია რა მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპი _ აღძრან სარჩელი, ან უარი თქვან სარჩელზე, სასამართლოს ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს ამ პრინციპის რეალიზაციას იმგვარად, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, გააცნობიერონ ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოჰყვება მათ მიერ განხორციელებულ ქმედებას.

აღნიშნული მიიღწევა სასამართლოს მხრიდან იმ საპროცესო ნორმებზე მითითებით, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი შედეგია მოცემული.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ მხარეთა ნამდვილი ნება და დავისადმი რეალური ინტერესი სათანადოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა, ასევე სასამართლოს მხარეთათვის არ განუმარტავს ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას.

შესაბამისად, ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად. (144)

6.5 სარჩელის ცნობა

სარჩელის ცნობა გულისხმობს, რომ მოპასუხე ეთანხმება, აღიარებს მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, რომლებსაც, როგორც წესი, შედეგად მოჰყვება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლომ უნდა შეამოწმოს სარჩელის ცნობის მართლზომიერება, კერძოდ, სასამართლო არ მიიღებს მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

ამდენად, სასამართლო არ არის შებოჭილი მოპასუხის ნების გამოვლენით და შეუძლია არ მიიღოს ის. სარჩელის ცნობა წარმოადგენს პროცესის მონაწილე მხარის შესაძლებლობას, თავისი უფლების ფარგლებში დაასრულოს დავა მოწინააღმდეგე მხარესთან სასამართლო განხილვის გარეშე მასთან მორიგებისა თუ სასარჩელო მოთხოვნაზე დათანხმების გზით. ამ შემთხვევაში უფლება-ვალდებულებათა განსაზღვრა ხდება მხოლოდ მხარეთა ნებისა და უფლებების ფარგლებში. (140)

სარჩელის ცნობის შემთხვევაში სასამართლო აღარ ამოწმებს და აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. თავის გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ის აფუძნებს მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას. სარჩელის ცნობა მოპასუხის მიერ თავისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტია, რომელიც მის მიერ მოსარჩელის მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოვლენილ ნებაში გამოიხატება. შესაბამისად, ეს ერთგვარი გარიგებაა, ვინაიდან მიმართულია სამართლებრივი შედეგის წარმოშობისაკენ. (142)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის მხარემ ისინი საქმის წარმოებისას უნდა აღიაროს ან ამგვარი აღიარება მისი ქმედებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მართალია, აღიარებისათვის რაიმე განსაკუთრებული საპროცესო ფორმა დადგენილი არ არის, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მხარის ზეპირი ან წერილობითი განმარტებებიდან უნდა ირკვეოდეს, რომ მას ნათელი წარმოდგენა აქვს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და

მტკიცებულებებზე და ეთანხმება მათ. ორაზროვანი ან ბუნდოვანი ახსნა-განმარტებები, რომლებიდანაც მხარის ნება ნათლად არ იკვეთება, არ შეიძლება აღიარებად ჩაითვალოს.(137)

სსკ-ის 132-ე მუხლით დადგენილია რა აღიარების, როგორც მტკიცებულების წერილობითი ან ზეპირი ფორმა, ფაქტის აღიარების შესახებ მხარეს შეუძლია ჩამოაყალიბოს თავის შესაგებელში საქმის წინასწარი განხილვისათვის მომზადების დროს. აღიარება ნამდვილია, თუ იგი გამოხატავს მდღიარების თავისუფალ ნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ დამტკიცდება ნების არ არსებობა, აღიარება გაქარწყლდება. ამავე კოდექსის 133-ე მუხლით მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას. ამავე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში. ამდენად, აღიარების გაქარწყლება დასაშვებია, თუ დაცული იქნება მითითებული ნორმით განსაზღვრული პირობები და მისი უარყოფა დადასტურებული იქნება სასამართლო გადაწყვეტილებით.(135)

სამოქალაქო პროცესის 132-ე და 133-ე მუხლები აწესრიგებენ აღიარების ფორმასა და მისი გაქარწყლების შესაძლებლობასა და პირობებს. კანონი არ შეიცავს ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც არ ხდის სადავოდ მეორე მხარე, მიიჩნევა მართებულად და საფუძვლად დაედება სასამართლო გადაწყვეტილებას. არც შედავების სახეობაზეა კანონში რაიმე გათვალისწინებული. როგორც დოქტრინაში აღინიშნება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმებიდან ვლინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ (დასაბუთებულ) მოთხოვნას (72,14) და აქედან გამომდინარე, მართებულად უნდა მივიჩნიოთ პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აგებს სამართლებრივ დავას.

მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სარჩელის ცნობისაგან უნდა განვასხვავოთ მხარის მიერ მტკიცებულებითი ფაქტის ცნობა (აღიარება). სარჩელის აღიარება (ცნობა) ეს არის იმ მატერიალური უფლების განკარგვა, რომელსაც იცავს მოპასუხე. ფაქტის აღიარება კი არის უფლების დაცვის ერთ-ერთი საპროცესო საშუალების განკარგვა.(25,328)

6.6 მორიგება

მორიგება მხარეთა უმნიშვნელოვანესი განკარგვითი მოქმედებაა. მორიგება მოსარჩელისა და მოპასუხის შეთანხმებაა, მათ შორის წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი დავის შეწყვეტისა და ურთიერთშორის ახალი ურთიერთობების დადგენის შესახებ, რომელიც ძალას იძენს მხოლოდ სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემთხვევაში. მორიგების დროს მხარეები თანხმდებიან ერთმანეთისათვის მისაღებ პირობებზე.

იურიდიულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ მორიგება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული სამოქალაქო პროცესის შეწყვეტის საშუალებას. (81,141-142)

თუმცა, ცალსახად ასეთი განმარტება არასწორია. მორიგების ინსტიტუტი გაცილებით ფართოა. იგი გულისხმობს როგორც უკვე არსებული ვალდებულებების შეწყვეტას, ასევე ახალი ვალდებულებების წარმოშობას ან ძველის შეცვლას.

მორიგება თავისი არსით რთულ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენს. იგი ერთდროულად სხვადასხვა იურიდიულ ასპექტს მოიცავს. კერძოდ, მორიგება გულისხმობს და არის:

დავის დარეგულირების საშუალება: მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო არ განიხილავს საქმეს არსებითად - დავის მონაწილე მხარეები დამოუკიდებლად აგვარებენ დავას შეთანხმების საფუძველზე.

დავის მოგვარების პროცედურა: გულისხმობს სამართლებრივ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია დავის გადაწყვეტისაკენ.

მხარეთა მიერ საპროცესო უფლებების განხორციელება: გულისხმობს მხარეთა შორის მორიგებას, ასევე სასამართლოსადმი მორიგების გაფორმების შესახებ მიმართვას და სასამართლოს მიერ მორიგების აქტის დამტკიცებას. ყოველივე ეს კი წარმოადგენს მხარეთა საპროცესო უფლებამოსილებებს.

ხელშეკრულება: მორიგების აქტი ითვალისწინებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს, აქედან გამომდინარე, იგი განაპირობებს მხარეთა შორის სამართალურთიერთობას.

იურიდიული ფაქტი - მორიგების აქტის დამტკიცება პროცესუალური სამართლის თვალსაზრისით წარმოადგენს ფაქტს, რომლის საფუძველზეც წყდება სამართალწარმოება.(100,9)

საქმის დამთავრება მორიგებით_სამართალწარმოების დასრულების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმაა, ვიდრე საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა. პირიქით, მათ თანაბარი დატვირთვა აქვთ, ზოგჯერ კი მორიგება უკეთესი ალტერნატივაა, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით, თუ მორიგების შეთავაზება მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოსამართლის განტვირთვას, მისი მუშაობის შემსუბუქებას, არამედ მხარეთა შორის დავის საგანზე წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიანად მოგვარებას.ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც დავის საგანსა და სამართლებრივ მდგომარეობაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე სამართალწარმოების შესაბამის სტადიაზე, ისე სამართლებრივი დავის შემდგომ განვითარებაზე.

მორიგების დროს, როგორც წესი, უფრო მეტად, ვიდრე გადაწყვეტილების გამოტანისას, შესაძლებელია, ყურადღება გამახვილდეს იმ შეხედულებებზე, რომლებიც პროცესის ფარგლებს სცილდება. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება მხარეთა ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც, შესაძლოა, მხარეებმა ანგარიში გაუწიონ მოთხოვნის დათმობის, განვადებით გადახდის თაობაზე შეთანხმების და პროცენტების შესახებ შეთანხმების გზით. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი მოსაზრებები შეეხება ხარჯების შემცირებას, რაც შესაძლებელია იმ მტკიცებულებათა შეგროვებისათვის თავის არიდების გზით, რომლებიც ხშირად დიდ ხარჯებს წარმოშობენ.(6,93)

მორიგების (ანუ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების) დამტკიცებას, სამართლებრივი შედეგი მოჰყვება, კერძოდ: წყდება საქმის წარმოება. მორიგებას ამტკიცებს სასამართლო თავისი განჩინებით, რომლის ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს აღარ აქვთ უფლება, სასამართლოს განმეორებით მიმართონ იმავე სარჩელით და ხელახლა წამოიწყონ საქმე. მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა (ორმხრივი გარიგებაა), ამიტომ ის კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მხარეთა მორიგების შემთხვევაში წყდება სასამართლო სამართალწარმოება, უქმდება საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და მტკიცდება მორიგება.

აღნიშნული მორიგება უკვე მხარეთა მიერ გამოხატული ახალი ნებაა, რომელიც ახალი გარიგების დადებას გულისხმობს. თუმცა, აღნიშნული საკითხი გარკვეულ პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. კერძოდ, თუ მხარეები მორიგდნენ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, მაშინ შეტანილი საჩივრის განხილვის ეტაპზე შესაძლებელია თუ არა საჩივრის განხილვის გარეშე ასეთი მორიგების დამტკიცება, ამის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა...? ან თუ მხარეები მორიგდნენ კერძო საჩივრის შეტანის ეტაპზე, შესაძლებელია თუ არა, საჩივრის განხილვის გარეშე მორიგების დამტკიცება. (19,151)

აღნიშნული კითხვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ მორიგების დამტკიცების დროს მოსამართლე არ ეცნობა საქმის არსებით მხარეს და შემოფარგლულია მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედების განხორციელებით, რაც უკანონო მორიგების დამტკიცების შესაძლებლობას წარმოშობს. ამდენად, მიაჩნიათ, რომ მხარეთა ინტერესებისა და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვის, ასევე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, მორიგების დამტკიცება შესაძლებელი უნდა იყოს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის, საჩივრებისა და კერძო საჩივრების განხილვის დროსაც. თუმცა, მართებულად აღინიშნა ისიც, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევებში მიღებულ უნდა იქნას ყველა ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული უკანონო მორიგების დამტკიცება. რაც შეეხება უკანონო მორიგების დამტკიცების თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს, სასამართლო საჩივრისა და კერძო საჩივრის განხილვის დროს მორიგების დამტკიცების შემთხვევაში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული პროცესუალური მოქმედებით, უნდა გასცდეს საჩივრისა და კერძო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, უნდა შეისწავლოს საქმე და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცოს მორიგება.(19,151)

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, მორიგების დამტკიცებისას სასამართლომ მხარეებს ყურადღება უნდა გაუმახვილოს მორიგების შესრულების საშუალებებზე, წესებსა და ვალდებულების შესრულების შესაძლებლობაზე. სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დამტკიცებული მორიგების აქტი შესრულებადია მხარეების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორი აზრს მოკლებულად თვლის სამართალწარმოების შეწყვეტას და მორიგების გაფორმებას. (92,5-6)

ამ მოსაზრებას ნაწილობრივ უნდა დავეთანხმოთ. კერძოდ, სასამართლო მხარეთა მორიგების გაფორმებაში უნდა ჩაერიოს მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ნორმები არ იყოს კანონსაწინააღმდეგო, შესაბამისად, უზრუნველყოს გარიგების კანონთან შესაბამისობა.

რაც შეეხება ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის რეალობას, ვფიქრობ, ეს არ არის სასამართლოს კომპეტენცია. სამომავლოდ მორიგების რეალურად შესრულება მხარეთა ნების გამოვლენასა და მოქმედებებზეა დამოკიდებული.

მხარეთა მორიგება მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს ასევე ამერიკის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. მხარეებს უფლება აქვთ, დავა შეწყვიტონ მორიგებით.(45,122)

მორიგება შეიძლება შეეხოს ნაკლები თანხის გადახდას, გადასახადის გადაუხდელობას ან სრულ გადახდას. მხარე თანხმდება ზოგჯერ ნაკლები თანხის გადახდას იმ შემთხვევაში, როცა არ უღირს დროის დაკარგვა და შემდგომი ხარჯების გაღება. სრული გადახდა ხდება მაშინ, როდესაც მხარე ხედავს, რომ არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომ თავს ვეღარ დაიცავს. ანდა, არ აქვს მტკიცებულებები, რათა საკუთარი მოთხოვნა დაასაბუთოს. მორიგება შესაძლებლობას აძლევს მხარეს, თავიდან აიცილოს შემდგომი ხარჯები. მორიგება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, როგორც მოსამზადებელ სტადიაზე, ასევე სააპელაციო სასამართლოშიც, მაგრამ მანამ, სანამ აპელაცია დამთავრდება.

მორიგება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ გამოცდილებას, ტაქტს და სადავო საგნის ზუსტად შეფასებას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი ადვოკატი მონაწილეობს მორიგების პროცესში. მორიგებას შეიძლება თავმჯდომარეობდეს მოსამართლეც, მაგრამ შემდგომ პროცესში შეიძლება იგი აღარ თავმჯდომარეობდეს სასამართლო სხდომებს. შეიძლება მოეწყოს დავის ე.წ. ალტერნატიული გადაწყვეტაც ან მინი სასამართლო პროცესი. ასეთ შემთხვევაში მოიწვევენ მოწმეებს, განიხილავენ მორიგების შესაძლებლობებს, შეიძლება მოიწიონ არაოფიციალური მსაჯულებიც, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებას.

ასეთი პროცესის მიზანია ის, რომ მხარეებმა და მათმა ადვოკატებმა რეალურად შეაფასონ მდგომარეობა და მიაღწიონ კომპრომისს. საინტერესოა ის მომენტიც, რომ მორიგებაზე მოსარჩელის ადვოკატი ზრუნვას იწყებს სარჩელის აღძვრამდეც. იგი წინასწარ ხვდება მომავალ შესაძლო მოპასუხეს და ცდილობს, მიაღწიოს მასთან მორიგებას. თუმცა ასეთი შეხვედრების მიზანი უფრო არის ის, რომ მოსარჩელის ადვოკატმა წინასწარ გაიგოს მოპასუხის არგუმენტები. მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ საქმე მზადაა მთავარ სხდომაზე განსახილველად, ნიშნავს მთავარ სხდომას. ამ დროიდან საქმის წინასწარი მომზადება დამთავრებულად ითვლება და იწყება მხარეთა ზეპირი შეჯიბრება.(13,307-308)

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს მხარეთათვის მასტი-
მულირებელ დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ მორიგების დადებაში. კერძოდ,
სსსკ-ს 49-ე მუხლში საუბარია ბაჟის ოდენობის შემცირებაზე ან მხარეთა გათავისუფლებაზე
ბაჟისაგან იმისდა მიხედვით, თუ რომელ სტადიაზე მორიგდნენ ისინი. საყურადღებოა ისიც,
რომ საქართველოს კანონი - „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ -ამგვარი სტიმულის
მომცემ ნორმას არ ითვალისწინებს აღსრულების ეტაპზე მხარეთა მორიგებისას.

ამგვარად, მართალია, მხარეებს უფლება აქვთ მორიგდნენ აღსრულების ეტაპზე, მაგრამ ეს
გამოიწვევს კრედიტორისათვის წინასწარ გადახდილი საფასურის დაბრუნებას, რაც
აღსრულების ეტაპზე მორიგებას არახელსაყრელს ხდის კრედიტორისათვის. ეს კი
სამომავლოდ უნდა შეიცვალოს.(27,66)

თავი VII. კეთილსინდისიერებისა და უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიები სამოქალაქო პროცესში

უდავო ფაქტია, რომ უფლების ბოროტად გამოყენების თეორია სამოქალაქო სამართლის ჩარჩოებში წარმოიშვა და მხოლოდ შემდგომ გავრცელდა და დამუშავდა სამართლის მიმართულებებში. თანამედროვე სამართლის ქვეყნებში უფლების ბოროტად გამოყენების შესახებ კონცეფცია ერთმანეთის მსგავსია. უფლების ბოროტად გამოყენება, როგორც ცალკე კატეგორია, არც რომის და არც გერმანულ სამართალში მე-19 საუკუნემდე არ არსებობდა, იყო მხოლოდ ზოგადსამართლებრივი წარმოდგენები არაკეთილსინდისიერ ქცევებთან მიმართებით, ასევე იყო გათვალისწინებული ის სამართლებრივი მექანიზმიც, რომელიც მათ წინააღმდეგ იყო მიმართული.

უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორია უცხოურ იურიდიულ დოქტრინაში გამოიხატება ტერმინებით: abuse of right (ინგლ.) Rechtsmissbrauh (გერმ.) abuse de droit (ფრანგ.). აღნიშნულ ტერმინთა კომპლექსური გაანალიზება და ამ კატეგორიის არსი არ უნდა იქნას განხილული, როგორც მხოლოდ უფლების ბოროტად გამოყენება, არამედ იგი მოიცავს ასევე უფლების შინაარსის დამახინჯებასა და მოქმედების შესრულებით კანონმდებლის გამოვლენილ ნებაზე შეწინააღმდეგებას.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, კონცეფცია - abuse de droit, საბოლოო სახით საფრანგეთში ჩამოყალიბდა.(73,55) აღნიშნულის დასადასტურებლად მიუთითებენ 1789 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ საფრანგეთის დეკლარაციას, რომელიც იზიარებდა უფლების შეზღუდვის იდეას, თუმცა არ იყენებდა სიტყვასიტყვით ტერმინს - უფლების ბოროტად გამოყენება.

ლორენმა პირველმა გამოიყენა ტერმინი - abuse de droit, რომელიც აღნიშნავდა ტიპურ, განმეორებითი ხასიათის სიტუაციებს, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ პირისაგან უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენებასთან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ფრანგულ

სამოქალაქო სამართალში.(33,82) თუმცა უთითებენ, რომ არ შეიძლება უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიის პირველად სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების დამკვიდრება დავუკავშიროთ ლორანის სახელს. ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა კატეგორია Abusus, რომელსაც, მართალია, არავითარი კავშირი არ ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებასთან ან არაკეთილსინდისიერად მოქმედების სხვა ფორმებთან. ტერმინი Abusus (Ab usus) გამოიყენება იმ კატეგორიებთან ერთად, როგორებიცაა usus და fructus, რომლებიც ერთიანობაში მესაკუთრის უფლებამოსილებას გამოხატავდნენ, რომელიც, რაღაც კუთხით, ჰგავდა თანამედროვეობაში არსებულ უფლებამოსილებებს - ფლობა, სარგებლობა და განკარგვა.

ტერმინს Abusus ამ შემთხვევაში ჰქონდა ნივთის განკარგვის უფლებამოსილების შინაარსი. ამ მხრივ, საფუძვლად თუ გავითვალისწინებთ მის ეტიმოლოგიას, შეიძლება ითქვას, რომ უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების Abuse de droit-ის დასახელებისას ლორანი ეყრდნობოდა იმას, რომ უფლების ბოროტად გამოყენებით უფლებამოსილი პირი ფაქტიურად უცვლიდა ამ უფლებას სამართლებრივ ბუნებას. (73,56)

უფლების ბოროტად გამოყენების კონცეფცია გერმანულ ცივილისტიკაში გავრცელდა ფრანგული სამართლიდან. აქვე ნათელია, რომ მისი განმარტება გერმანულ დოქტრინაში არ შეიძლება ყოფილიყო შეუცვლელი სახით. ამ მხრივ კი თანამედროვე გერმანიაში ჩამოყალიბდა უფლების ბოროტად გამოყენების თავისებური კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო უფლების ბოროტად გამოყენებისა და არაკეთილსინდისიერი ქმედების თეორიათა სხვადასხვა მიმართულებას.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ზოგადი სამოქალაქო სამართლის თეორიას უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიაზე, რომელმაც უშუალო ზეგავლენა მოახდინა და პირდაპირ კავშირშია სამოქალაქო პროცესთან. ამ თეორიის საწყისი გათვალისწინებული იყო პანდექტურ შრომებში, რომლებიც შეიცავდნენ კითხვებს უფლების არსთან და ასევე მისი განხორციელების შესაძლო შეზღუდვებთან დაკავშირებით.

მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანიაში არსებობდა სამი ძირითადი მიდგომა (თეორია) უფლების არსთან დაკავშირებით, ესენია: ნების თეორია, ინტერესის თეორია და კომბინირებული თეორია. (73,57) თითოეული მათგანი განსხვავებულად უდგებოდა მისი (უფლების) გამოყენების შეზღუდვებსა და მორალური ნორმების საფუძველზე შეზღუდვის შესაძლებლობებს.

ნების თეორიის ფუძემდებელი სავინი უფლებას განსაზღვრავდა, როგორც „ძალაუფლებას, რომელიც არის ისეთი კუთვნილება, რომელშიც მხოლოდ პირის ნება მეფობს“. (56,58) უფლების განსაზღვრით, როგორც ძალაუფლებისა, სავინიმ არ მოახდინა აბსოლუტიზირება უფლებისამოსილი პირის ინდივიდუალური ნებისა და არ ითვალისწინებდა (დაუშვებლად მიაჩნდა) მის (უფლების) წინააღმდეგობრიობას ზოგადად ზნეობრივ ღირებულებებთან მიმართებით. მისი (ავტორის) დამოკიდებულება უფლების ეგოისტურად გამოყენებასთან დაკავშირებით გააკრიტიკა შემდეგი ფრაზით: „ვინც იტყუებს თავს და უშვებს თვითნებობას იქ, სადაც შეიძლება მხოლოდ ზოგადი, უმაღლესი ფასეულობა, თავად ამბობს უარს კეთილშობილურ მოთხოვნებზე, ის მონაა და მეტი არაფერი. ვინც ფიქრობს, რომ მეფეა. მას არ შეუძლია იყოს თავისუფალი ადამიანი“. (58,4)

მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ცნობიერების ფორმირებაში, მათი შეგნების ამაღლებაში, აქტიურობის ზრდაში. სასამართლოს წინაშე დასახული ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო წარმოება წარიმართება კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, კანონის ყოველგვარი უპატივცემულობის გამოვლენა სასამართლოს მიერ არ დარჩება რეაგირების გარეშე. სასამართლომ ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ მოქალაქეთა უფლებები და კანონით დაცული ინტერესები არ დაირღვეს. სამოქალაქო სამართალწარმოება მნიშვნელოვანი გარანტია უნდა იყოს ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი უფლებების უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დასაცავად. (11,20) იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ მხარეებმა სამოქალაქო პროცესში უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, როგორც სასამართლოსთან, ისე ერთმანეთთან თუ პროცესის სხვა მონაწილე პირებთან მიმართებით. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ საპროცესო უფლებების ბოროტად გამოყენებისაგან. (61,1-2)

განვითარებული ქვეყნების სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის პრინციპს. ქართულ სამოქალაქო სამართალში იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების ფასეულობის შემოღება. (8,269) ანალოგიური უნდა ითქვას მისი არსებობის შესახებ საქართველოს სამოქალაქო პროცესში. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება ვალდებულების შესრულების დროს, პოზიტიური გაგებით, ვალდებულებას წარმოშობს, მაშინ, როცა ნეგატიური გაგებით, იგი ვალდებულებას წყვეტს.

ბრუნვის მონაწილის ვალდებულება ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია. ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ევალება მას. ამიტომაცაა, რომ კონტრაქტი არ უნდა იყენებდეს ბოროტად პარტნიორის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობას. კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებასაც. სამართლის სუბიექტის უფლებრივი ხედვაც კეთილსინდისიერებაზე იგება, რაც ნაკლებ ადგილს ტოვებს ამკრძალავი ნორმებისათვის. იმ სამართალში, რომელშიც კეთილსინდისიერებას არ ენიჭება ეს მნიშვნელობა, ურთიერთობაც ზოგჯერ არაკეთილსინდისიერების თარგზეა გამოჭრილი.(8,269-270)

კეთილსინდისიერების პრინციპის მრავალგვარმა ფუნქციამ გამოიწვია ის, რომ სამოსამართლო სამართალში იგი გამოყენებული იქნა სამართლიანი შედეგების დადგომისათვის და, ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებისათვის.(10,12) კეთილსინდისიერად ქცევა უპირატესად სუბიექტის შინაგანი იძულების გამოვლენაა. მან იცის, რომ პარტნიორთან ურთიერთობაში სწორედ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება მისი უფლების განხორციელება. ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება კი არა, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი.(8,270) სწორედ ზოგად დებულებებზე დაყრდნობით, როგორებიცაა „რწმენა და ნდობა“, „მაღალი ზნეობა“, ან „მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე“- ვითარდება სამართალი სასამართლოების მიერ.(66,114)

7.1 უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები

სამოქალაქო პროცესში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ისევე, როგორც გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, არ შეიცავს ტერმინს - „უფლების ბოროტად გამოყენება“, როგორც სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში პირის მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედების ზოგად აკრძალვას.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თავდაპირველად არ შეიცავდა რაიმე სახის ნორმატიულ წინაპირობებს, რომლებიც მიმართულნი იქნებოდნენ პროცესუალური უფლებების განხორციელების შესაძლებლობათა შეზღუდვისკენ. სამოქალაქო პროცესი განიხილებოდა ორი თანასწორუფლებიანი მხარის ერთიანობად, რომელთათვისაც ნებადართული იყო ყველა შესაძლო მოქმედების განხორციელება, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მხარე გაიმარჯვებდა დავაში (ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ გადაწყდებოდა დავა). მე-19 და მე-20 საუკუნის გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განიხილებოდა საკითხი იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო პროცესში განსაზღვრულიყო კეთილსინდისიერების პრინციპი (კონკრეტული მუხლის ჩამოყალიბების საფუძველზე), თუმცა ერთიანი აზრი მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა.

პირველად ევროპული სამართლის თეორიაში ლოსანმა გამოიყენა ტერმინი - „abuse de droit“ - იმ ტიპური შემთხვევების გადმოსაცემად, როდესაც უფლებამოსილი პირი არაკეთილსინდისიერად იქცეოდა. დასრულებული სახე კეთილსინდისიერების კონცეფციასთან დაკავშირებულმა საკითხმა მიიღო მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ზიბერტის ნაშრომი: „უფლების დაუშვებლად განხორციელების ფარგლებში“. მან წარმოადგინა ზოგადი ნორმების (General Klausel) კონცეფცია კეთილსინდისიერების პრინციპის სახით, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლშია მითითებული. კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენების ზოგად აკრძალვას და წარმოადგენს ნებისმიერი უფლების შეზღუდვის შიდა მექანიზმს.(53,134)

საქართველოს სამოქალაქო პროცესში არსებობს ნორმები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ცალკეული

შემთხვევა. მათ საფუძველზე ხდება პირთა მიერ სამოქალაქო პროცესში უფლების ბოროტად გამოყენება და არაკეთილსინდისიერი ქცევის აკრძალვა. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1) სსსკ-ს 180-ე მუხლი ითვალისწინებს მოსარჩელისათვის სასამართლოსადმი მიმართვისას იურიდიული ინტერესის სავალდებულო დასაბუთების მოთხოვნას, რომლის არარსებობა გამოიწვევს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ასევე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით სარჩელში უნდა აღინიშნოს იურიდიული ინტერესი, თუკი სარჩელი აღიარებითია. სასამართლოსმიერი დაცვისას იურიდიული ინტერესის არსებობის აუცილებლობა გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში განიხილება, როგორც წინააღმდეგობა, რათა სარჩელის უფლება არ იქნას ბოროტად გამოყენებული. იურიდიული ინტერესის კატეგორიასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოებაში, თუმცა, კანონმდებლის მითითება აღიარებითი სარჩელის შემთხვევაში, სპეციალურ გრაფაში, აზრს მოკლებულია. აღნიშნული კატეგორია თანაბარმნიშვნელოვანია სარჩელის ნებისმიერი სახის დროს და სრულად - პროცესის განმავლობაში. შესაბამისად, იურიდიული ინტერესი - უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა შეზღუდვის საშუალებაა.

2) სსსკ-ს 215-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ თითოეული საპროცესო მოქმედების თაობაზე შუამდგომლობები სასამართლოს დროულად, კანონით დადგენილი წესის დაცვით უნდა წარედგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ გაიზიარებს ამ შუამდგომლობას. შუამდგომლობის დაყენებისა და სასამართლოს მიერ მისი განხილვის წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა სპეციალურ დანაწესებთან ერთად, რეგულირდება ასევე ზოგადი ნორმით (სსსკ-ს 215-ე, 279-ე მუხლები), ასევე ნორმის საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე (მართლმსაჯულების სტაბილური როლის გათვალისწინებით), იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ნორმის მოქმედების სფეროში ექცევა, გადამწყვეტია არა შუამდგომლობის დაყენების დრო და მხარის კეთილსინდისიერება პროცესუალური

ეკონომიისა თუ შეჯიბრებითობის პრინციპის მიმართ, არამედ ნორმის მიზნების დადგენა.(149)

საკასაციო პალატა მხარის ამ მოსაზრებების შესწავლის შედეგად ნაწილობრივ იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ თითოეული საპროცესო მოქმედების თაობაზე შუამდგომლობები სასამართლოს დროულად, კანონით დადგენილი წესის დაცვით უნდა წარედგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო არ გაიზიარებს ამ შუამდგომლობას. შუამდგომლობის დაყენებისა და სასამართლოს მიერ მისი განხილვის წესი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა სპეციალურ დანაწესებთან ერთად, რეგულირდება ასევე ზოგადი ნორმით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით, თუმცა ამავე კოდექსის 279-ე მუხლის იმპერატიული ბუნებიდან, ასევე ნორმის საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე (მართლმსაჯულების სტაბილური როლის გათვალისწინებით), იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ნორმის მოქმედების სფეროში ექცევა, გადამწყვეტია არა შუამდგომლობის დაყენების დრო და მხარის კეთილსინდისიერება პროცესუალური ეკონომიისა თუ შეჯიბრებითობის პრინციპის მიმართ, არამედ ნორმის მიზნების დადგენა, მათ შორის, საქმის წარმოების შეჩერება. თავის მხრივ, კანონი ადგენს, რომ სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით (სსსკ 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი).

3) გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი მიმართულია სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, როდესაც სასამართლოში მხარის მიერ მითითებულია რაიმე ფაქტთან დაკავშირებით მისი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, თუმცადა მოპასუხეს არ გააჩნდა პროცესუალური საფუძველი ასეთი მოთხოვნის დაყენებისათვის. ამის მაგალითია, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსადმი მიმართვა. ზოგადად, ხანდაზმულობა, ერთგვარად, უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას ახდენს იმ თვალსაზრისით, რომ დროში განუსაზღვრელი დავის შესაძლებლობის შემთხვევაში, პირს შეეძლებოდა მისთვის უფრო სასურველ დროს შეეტანა სარჩელი, როდესაც მისთვის არასასურველი მოწმე ან სხვა მტკიცებულება არ იარსებებდა . (133)

4) სამოქალაქო სამართალწარმოების მონაწილე პირები ვალდებულნი არიან სასამართლოში განაცხადონ საქმესთან დაკავშირებით არსებულ ფაქტებზე სიმართლე, ასევე

უპასუხონ საქმესთან დაკავშირებულ კითხვებს. ეს ნორმა ემსახურება სპეციალური წინააღმდეგობის არსებობას პირის არაკეთილსინდისიერი მოქმედებისათვის, რომელიც მონაწილეობს საქმეში, მაგალითად, მტკიცების პროცესში.(47,33) სსსკ-ის 206-ე მუხლის თანახმად, მხარეები ვალდებულნი არიან, საქმის მომზადების მიზნით შეასრულონ მოსამართლის მითითებები. არასაკაპტო მიზეზით წერილობითი მასალების წარუდგენლობა ან სხვა მოქმედების შეუსრულებლობა, ართმევს მხარეს უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია, მისი მითითებების შეუსრულებლობისათვის მხარე დააჯარიმოს. მტკიცებულების წარმოდგენასთან დაკავშირებით უხეშმა წინააღმდეგობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ნეგატიური შედეგი, მაგალითად, სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტად აღიარება იმისა, რომლის მტკიცება შეუძლებელი გახდა მოწინააღმდეგის ბრალით. (5)

5) ამათ გარდა, გერმანიის საპროცესო კოდექსის 765-ე მუხლი შეიცავს, რომელიც ზოგადი აზრით, ადგენს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას *ispolnityelnom proizvodstve*.(65,63)

მკაფიო ნორმატიული აკრძალვის (უფლების ბოროტად გამოყენების)- ზოგადი ნორმის არარსებობა, რომელსაც თავისი მოქმედებით შეუძლია მოიცვას ყველა მრავალფეროვანი შემთხვევა, საპროცესო კოდექსში არ არის, თუმცა კი მისი მოქმედება გამოიხატება სპეციალური ნორმების საფუძველზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან პროცესუალური არაკეთილსინდისიერების კერძო გამოვლინებებს. ამრიგად, არასწორი იქნება მითითება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს უფლების ბოროტად გამოყენებას, როგორც იურიდიულ კატეგორიას, შესაბამის ნორმებში განმტკიცებულს. თუმცა მხოლოდ რამდენიმე არაპირდაპირი მითითება არ უნდა ჩაითვალოს საკმარისად.

უფლების ბოროტად გამოყენება განიხილება, როგორც უფლებამოსილი პირის ქმედება, რომელიც კანონმდებლის მიერ განსაზღვრული ნორმის მოქმედების მიზანთან და თავად უფლების მიზანთან შეუსაბამოს წარმოადგენს. უფლების განხორციელება შესაბამისობაში უნდა იყოს თავად უფლების კატეგორიის არსთან, რომელიც მოიცავს კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებასაც, შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი ქცევის აკრძალვას. უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის უფლების ან ნებისმიერი პროცესუალური უფლების

ბოროტად გამოყენება წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას, რომელიც მოიცავს უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევას. აღნიშნული პრინციპი ძირითადი და გაბატონებული დანაწესია საპროცესო სამართლის დოქტრინაში.(34,270)

უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპი შემოთავაზებულ იქნა ზიბერტის მიერ. მისი მოსაზრებანი უფლების ბოროტად გამოყენებისა და არაკეთილსინდისიერ მოქმედებებთან დაკავშირებით, დროთა განმავლობაში დაიყო ჯგუფებად და ქვეჯგუფებად პროცესუალური მოქმედებების შემთხვევების შესაბამისად. აღნიშნული ჯგუფის სტრუქტურა არ არის თავისი ბუნებით მყარი. იგი ელასტიურია და უშვებს ზოგადი აკრძალვის მოქმედების სფეროში (უფლების ბოროტად გამოყენების) ასევე იმ შემთხვევებს, რომლებიც პასუხობენ არაკეთილსინდისიერი მოქმედების ზოგად კრიტერიუმს, თუმცადა, ჯერ კიდევ არ ნიშნავენ დაუშვებელ მოქმედებას.

როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკით და იურიდიული დოქტრინის ჩარჩოებში გამოიყოფა არაკეთილსინდისიერი მოქმედების რამდენიმე მახასიათებელი ნიშანი. ამ ნიშნების არსებობით დოქტრინის ფარგლებში ფორმირდება შემთხვევათა ჯგუფები და ქვეჯგუფები, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. მითითებული ჯგუფების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება ზოგადი წარმოდგენა უფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით სამოქალაქო პროცესში.

უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის დარღვევა ეწინააღმდეგება ზოგად აკრძალვებს, როგორც ზოგად დათქმებს (ზოგად ნორმებს), რომელთა მოქმედება იმთავითვე გულისხმობს მისი მოქმედების ფართოდ განმარტებას არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელიც უკვე გამოვლინდა პრაქტიკაში, არამედ იმ შემთხვევებზე, რომლებიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას.(63,271)

გერმანიის საპროცესო სამართალში უფლების ბოროტად გამოყენება ტრადიციულად განიხილება არაკეთილსინდისიერი საპროცესო მოქმედების სახეთა კლასიფიკაციის ჩარჩოებში, რომელიც შედარებით უფრო ფართო შინაარსს (განმარტებას) მოიცავს. აღნიშნული კლასიფიკაციის თანახმად, გერმანიის საპროცესო სამართლის მეცნიერებაში მიღებულია არაკეთილსინდისიერი საპროცესო მოქმედების ოთხი ფორმა.

1) არაკეთილსინდისიერი (უფრო ზუსტად: უფლების ბოროტად გამოყენებით) მოქმედებით წარმოიშობა მხარისათვის ხელსაყრელი პროცესუალური მდგომარეობა

(rechtsmissbräuchliche Schaffen prozessualen Rechtslage); აღნიშნული დეგრა მამინ, როდესაც მოსარჩელეს სურს, რომ საქმე განხილულ იქნას მისთვის უფრო „ხელსაყრელ“ სასამართლოში, ხელოვნურად ყოფს თავის სასარჩელო მოთხოვნას ან ახორციელებს ისეთ მანიპულაციებს, რომ შექმნის მისთვის ხელსაყრელ განსჯადობას.

2) საპროცესო მოქმედებების უფლების ბოროტად გამოყენება (Missbrauch prozessualer Befugnisse); პროცესუალური უფლებების ბოროტად გამოყენების ხარისხში განიხილება მხარეთა მიერ მათი უფლებების არაკეთილსინდისიერი განხორციელება. მაგალითად, ისეთი უფლებისა, როგორცაა, შუამდგომლობის დაყენება ან საქმესთან დაკავშირებით ახსნა-განმარტების მიცემა.

3) ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება (widersprüchliche Verhalten); ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას მიეკუთვნება, მაგალითად, მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტების, ასევე მოწმეთა მიერ ჩვენებების შეცვლა.

4) იმ დროისათვის საფუძველს მოკლებული პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება (Verwirkung prozessuale Befugnisse).(34,81) არაკეთილსინდისიერ მოქმედებაში მოიაზრება ის შემთხვევა, როდესაც სახეზეა არაკეთილსინდისიერი მცდელობა მხარისა, განხორციელდეს პროცესუალური უფლება კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.(47,65) სამოქალაქო პროცესში ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება, მაგალითად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივრით მიმართვა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ან როდესაც მხარეს სურს მტკიცებულების წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში, საპატიო მიზეზის არარსებობის მიუხედავად.

სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება აღნიშნული კლასიფიკაციის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ, როგორც არაკეთილსინდისიერად პროცესუალური მოქმედების განხორციელება. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც არაკეთილსინდისიერი მოსარჩელე დასაწყისშივე იყენებს სასამართლოში მიმართვისას უფლებას იმ მიზნით, რომ განსჯადობით მიიღოს სარგებელი, ხელსაყრელი მდგომარეობა, ანუ, ფაქტობრივად, აღმოჩნდეს არაკეთილსინდისიერად მისთვის ხელსაყრელ პროცესუალურ მდგომარეობაში.(74,77)

მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში სახელდება შემთხვევა, როდესაც კრედიტორს ჰქონდა მოვალისაგან 2000 გერმანული მარკის მოთხოვნის უფლება, თუმცა მან 4-ჯერ მოითხოვა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნების დაყენებით დროის გარკვეულ

პერიოდში მისგან 500 გერმანული მარკის დაბრუნება. (LG Berlin, JW, 1931, 1766). სამართლიანია დასაბუთება, რომ სარჩელთა მრავალგზის განხორციელება უნდა გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, თუ ეს წინააღმდეგობაში მოვა თანასწორობისა და თანაზომიერების პრინციპთან და უფლებამოსილ პირს მისცემს უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.(145) ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც მან არასწორი შეფასება მისცა კასატორის მოქმედებას. კერძოდ, აღინიშნა, რომ საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის, როგორც საბანკო საქმიანობის სფეროში მოღვაწე სუბიექტის, კომერციული ინტერესია, კრედიტის გაცემით მიიღოს გარკვეული მოგება. სწორედ ამიტომ, ჩვეულებრივი სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ფორმით არსებობს (სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). შესაბამისად, ბანკის (კასატორის) გაცემული კრედიტის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, კვლავ შეძლებს მიიღოს ის მინიმალური სარგებელი, რომელსაც სასესხო ვალუტის დაბრუნებამდე იღებდა.

ბანკის მიერ სარგებლის მიღების პრეზუმფცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას, შეთანხმება მიიჩნევა ბათილად ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის გამო (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა).

განსახილველ შემთხვევაში, საქმის განხილვის დროს დადგინდა, რომ მოსარჩელე (ბანკი) ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა იმ საპროცენტო სარგებლის ფარგლებში, რაც დადგენილია კრედიტით სარგებლობისათვის. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, ბანკის მიერ შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურების

მოთხოვნის გამო. საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ, ვალდებულების დარღვევიდან 2 წლისა და 5 თვის გასვლის შემდეგ, სარჩელის წარდგენით ბოროტად გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით რეგლამენტირებულია უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი, კერძოდ, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, კასაციამ მიიჩნია, რომ უფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ამასთან, ქმედება მიზნად ისახავს, მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას.(147)

ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევიდან დაუყოვნებლივ არ წარადგინა სარჩელი სასამართლოში, საკასაციო სასამართლომ არ ჩათვალა უფლების ბოროტად გამოყენებად, მითუმეტეს, იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში და მისი ქმედება კანონიერ მიზნებს ემსახურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა სარჩელი, მისი დაგვიანებით შეტანა გაცილებით მეტი ზიანის მომტანი იყო, ვიდრე ვალდებულების დარღვევიდან შესაბამის პერიოდში დაყენებული მოთხოვნა. მითუმეტეს, რომ ასეთ შემთხვევებს ხშირი ადგილი აქვს ბანკების მხრიდან და სწორედ სასამართლოსმიერი კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც სარჩელის შეტანით მოსარჩელე და მოპასუხე კრედიტორებთან მიმართებით არაკეთილსინდისიერად ახორციელებენ სარჩელის უფლებას. კერძოდ, მოსარჩელემ (დედამ) მოპასუხეს (შვილს) აჩუქა უძრავი ქონება. აღმოჩნდა, რომ შვილს მრავალი კრედიტორის მიმართ ჰქონდა დავალიანება. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული აღსრულების მიქცევა შვილის უძრავ ქონებაზე, მოსარჩელემ აღძრა სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, რომელსაც სავარაუდოდ მოპასუხე ცნობს.

როდესაც ცხადია ასეთი შედეგის დადგომის ალბათობა, როგორ შეუძლია სასამართლოს რაიმე ფორმით ჩააბას კრედიტორი დავაში, რათა მათ შეძლონ თავიანთი უფლებების დაცვა, იმის გათვალისწინებით, რომ მესამე პირებს სასამართლოს საკუთარი ინიციატივით საქმეში

ვერ ჩააბამს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა პირს აქვს უფლება, თავისი დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ეს პირის კონსტიტუციური უფლებაა და მისი შეზღუდვა არ შეიძლება. როდესაც პირს სასამართლოში შეაქვს გარკვეული შინაარსის სარჩელი, ივარაუდება, რომ პირის ეს სარჩელი მართლზომიერია. რასაკვირველია, მეორე საკითხია, რამდენად საფუძვლიანია იგი და რამდენად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომ იგი სასამართლოს მიერ გაზიარებულ და დაკმაყოფილებულ იქნას.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო პირს ასეთ უფლებას ვერანაირად ვერ შეუზღუდავს. მართალია, შეიძლება ზემოთ დასმულ კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც, ამ სარჩელის უკან იდგეს გარკვეული არაკეთილსინდისიერი განზრახვა პირებისა, რათა მათ დაიცვან ქონება შესაძლო რეალიზაციისაგან. უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი სარჩელები უსაფუძვლო იქნება და არ დაკმაყოფილდება. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ასეთი ღონისძიება არაკეთილსინდისიერი მხარეების მხრიდან კრედიტორების სასარგებლოდ ქონების რეალიზაციის მხოლოდ დროებით ბარიერს შექმნის.

სხვაგვარად არის ვითარება, როდესაც მოპასუხე ცნობს სარჩელს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სრული საფუძველია. ამ შემთხვევაში, კრედიტორები შესაძლოა მართლაც უთანასწორო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მაგრამ ამის თავიდან აცილება, ასეთ შემთხვევების დროს, შეუძლებელია. როდესაც ესა თუ ის მხარე ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში შედის მეორე მხარესთან, მან იმთავითვე უნდა გაითავისოს ის შესაძლო ეკონომიკური რისკი, რომელიც, სავარაუდოდ, შეიძლება მოჰყვეს ვალდებულების შეუსრულებლობას. ამიტომ რეალურ ცხოვრებაში ამ რისკის თავიდან აცილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ჩვეულებრივ უნდა მიიღოს წარმოებაში ასეთი ტიპის სარჩელი და განიხილოს იგი საერთო წესის მიხედვით.(23,29)

გარდა ამისა, მოცემული მაგალითის საფუძველზე, სარჩელში იმთავითვე, და თუნდაც პროცესის შემდგომ ეტაპზე, ფაქტობრივად შეუძლებელია დადგინდეს რეალურად, რა არაკეთილსინდისიერი მიზანი აქვს მოსარჩელესა და მოპასუხეს. ამიტომ ცალსახაა, რომ საკანონმდებლო მექანიზმი ასეთი სარჩელების წარმოებაში მიღებისა, თუ თუნდაც დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, არ არსებობს.

თუკი მხედველობაში გვექნება ზემოხსენებული სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევები, სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება თანაბრად შეიძლება მივაკუთვნოთ არაკეთილსინდისიერად ხელსაყრელი პროცესუალური მდგომარეობის შექმნის შემთხვევას. თუმცა გერმანულ დოქტრინაში საუბარია განსხვავებაზე. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, არაკეთილსინდისიერი პირი ცდილობს შექმნას ისეთი რეალობა, თითქოს მას აქვს უფლება, ე.ი. უფლება - მიმართოს კონკრეტულ სასამართლოს (განსჯადობის კანონით დადგენილი წესით), თუმცა, რეალურად, არ გააჩნია მოთხოვნის მატერიალური საფუძველი. ამის საპირისპიროდ, უფლების ბოროტად გამოყენების დროს სარჩელის უფლება ხორციელდება უფლებამოსილი პირისაგან. (71,52)

საბოლოოდ, წარმოდგენილი პრაქტიკისა თუ დოქტრინის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება განისაზღვრება, როგორც სასამართლოსადმი მიმართვის პროცესუალური უფლების განხორციელება სასარჩელო წარმოების ფარგლებში, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო პროცესის მიზნებს - კერძოდ, უფლების დაცვას, ასევე - საზოგადოების სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, ეწინააღმდეგება მართლწესრიგს. (73,79)

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების ნიშნები, რომელთაგან ძირითადად უნდა გამოვყოთ სამი:

1. სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებას ყოველთვის აქვს მოქმედების (ქმედების) ხასიათი (ნიშანი), ანუ, ფორმალურად, წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განხორციელებას.

2. ასეთ დროს სასამართლოსადმი მიმართვა რეალურად არ ისახავს მიზნად მოსარჩელისა და სხვა პირთა (კანონით დადგენილ შემთხვევებში) უფლებისა და კანონიერ ინტერესთა დაცვას.

3. მოსარჩელე, რომელიც იყენებს სარჩელის უფლებას ბოროტად, რეალურად ისახავს მიზანს, რომელიც მართლწესრიგს ეწინააღმდეგება, კერძოდ, ასეთია: სხვა პირებისათვის ზიანის მიყენება, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის თაობაზე (საქმე #ა-998-ა-7-2011). აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ა.დ-შვილის განცხადებას, რომლითაც იგი მოითხოვდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. ამ ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში. მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე _ იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში, პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას.

სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ათზე მეტი განცხადება შეიტანა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ერთსა და იმავე საქმეზე. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის ასეთი სახის მოქმედებები არ ემსახურებოდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას და იგი მიზნად ისახავდა საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურებას. პალატამ აღნიშნა ასევე, რომ სასამართლოში შეტანილი განცხადებები შინაარსობრივად ერთგვაროვანი იყო და თითოეული მათგანი წარმოადგენდა მხოლოდ და

მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, პალატის მოსაზრებით, სცილდებოდა მართლმსაჯულების და, მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ბოროტად იყენებდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, ვინაიდან მისი განცხადებები და საჩივრები მიზნად არ ისახავდა მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავდა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს.

შესაბამისად, პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ განმცხადებელს უნდა შეზღუდვოდა მოცემულ საქმეზე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, კერძოდ, რეაგირების გარეშე უნდა დარჩენილიყო მოცემულ დავაზე მის მიერ შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი).

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო პროცესში სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვისას გათალისწინებულ უნდა იქნას უცხოურ დოქტრინაში არსებული მოძღვრებანი. დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიდგომა უფლების ბოროტად გამოყენების პრობლემის გადაჭრასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მკაფიო საკანონმდებლო განსაზღვრება კონკრეტული ნორმის სახით.

სამოქალაქო პროცესში უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი პროცესუალური მოქმედების ერთ-ერთ სახეს, რომელიც მოიცავს ყველა არაკეთილსინდისიერ საპროცესო მოქმედების სახეს, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მართლმსაჯულების სარჩელის უფლების განხორციელებასთან. სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება განმარტებულ იქნას, სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვა, რომელიც დაკავშირებულია დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან, მაგრამ აქვს არაკეთილსინდისიერი მიზნები, რომლებიც მოიცავს ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევასაც, სხვა პირისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

თავი VIII. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის ცნება და მნიშვნელობა

როგორც გერმანულ დოქტრინაში აღნიშნავენ, შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს პროცესის უზენაეს პრინციპს (RGZ 151,93,98). თუმცა იგი გერმანიის საპროცესო კოდექსში სიტყვასიტყვით ფორმულირებული არ არის.(68,66) შეჯიბრებითობის, როგორც სამოქალაქო პროცესის პრინციპის განვითარება, განაპირობებს იმას, რომ მხარე, რომელსაც პროფესიონალი წარმომადგენელი არ ჰყავს, მოწინააღმდეგესთან არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, აშკარად „მომგებიან“ საქმეზეც კი, მხარემ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფაზე წინასწარ არ იზრუნა, შეიძლება არც არაფერი მოიგოს, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოპასუხემ

საკუთარი ქონება დიდი ხანია გაასხვისა. ან თუ მტკიცებულებათა გამოთხოვასა და უზრუნველყოფაზე დროულად არ იზრუნა მხარემ, სასამართლო განხილვისას შეიძლება სერიოზულ სირთულეებს წააწყდეს და შედეგად წააგოს საქმე.(28)

სარჩელის უზრუნველყოფა განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული ზომის (მექანიზმის) გამოყენება, რომელიც გამოიხატება გარკვეული პროცესუალური მოქმედების შესრულებაში და რომლის მიზანია შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გარანტია. (11,300)

სარჩელის უზრუნველყოფა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია - სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების რეალური და სრული აღდგენა. მოცემული ინსტიტუტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ შემთხვევაში, როცა არსებობს საშიშროება, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს, ან როცა, საერთოდ, ამ ღონისძიების მიუღებლობა შეუძლებელს გახდის სასამართლო აქტის აღსრულებას.

სარჩელის უზრუნველყოფა - კანონით გათვალისწინებული იმ იძულებითი ზომების სისტემაა, რომლებსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით, თუ არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება შემდგომში გართულდება ან შეუძლებელი გახდება და რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოპასუხეს ეზღუდება სარჩელის მატერიალური საგნის (ობიექტის) განკარგვის უფლება, რაც, თავის მხრივ, გარანტირებულს ხდის გადაწყვეტილების რეალურ აღსრულებას სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის

უზრუნველყოფის შესახებ. დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის მოთხოვნის საფუძველზე გამოიყენოს სარჩელისა თუ სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიება, თუმცა აღნიშნულისათვის საჭიროა, მხარემ დაასაბუთოს ისეთი ობიექტური გარემოებების არსებობა, რომელიც მომავალში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას შეუშლის ხელს. ნიშანდობლივია, რომ მხარეს ზემოხსენებული გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ ფარგლებში, რომ სასამართლოს შეუქმნას კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების აუცილებლობის რწმენა, ვარაუდი, ვინაიდან საქმე ეხება სამომავლო მოვლენებს, რომლებიც წარსულში არსებული გარემოებებისაგან განსხვავებით, შესაძლოა, კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენის გზით ვერ დადასტურდეს. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ფაქტის სამომავლოდ წარმოშობის დასაბუთებული ვარაუდი არ არის მხოლოდ პირის სუბიექტური შეფასება — ეჭვი. სამომავლოდ ამა თუ იმ ფაქტის წარმოშობის ვარაუდის დასაბუთება კავშირშია წარსულსა თუ აწმყოში უკვე არსებულ ფაქტებთან, რაც სავარაუდოდ ფაქტის ალბათობის მაღალი ხარისხით წარმოშობის, რწმენის ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს.(18,466)

განცხადებაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მითითებულ უნდა იქნას ის გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად (სსსკ-ის 191-ე მუხლი).

თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, თან უნდა დაერთოს საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი ან საჯარო რეესტრის სარჩელის შეტანის დროის პერიოდის ცნობა, რითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება. აქვე სწორად განმარტავენ ლიტერატურაში, რომ ყადაღის დადება იმავდროულად

ეხება მესამე პირთა (მოპასუხის სხვა კრედიტორთა) უფლებებსა და ინტერესებსაც, ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება არ ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხე გადაიხდის პირველ რიგში, ე.ი. აღნიშნული ღონისძიების მიღებამ არ უნდა დაარღვიოს გადახდევინების ის რიგითობა, რაც სააღსრულებო წარმოებათა კანონის 823 მუხლითაა დადგენილი. (27,60-66)

მაგალითად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის განზრახვა ქონების გასხვისების თაობაზე. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნ პირს ავალდებულებს მიუთითოს იმ კონკრეტული გარემოებების არსებობა, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლებმა მიუთითეს ასეთ გარემოებაზე, კერძოდ, აღნიშნეს, რომ მოწინააღმდეგე მხარე აპირებს იმ ქონების გასხვისებას, რომელიც მას გადაეცა კანონსაწინააღმდეგო მორიგების საფუძველზე და, რომელზეც, გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის შემთხვევაში, კვლავ აღირიცხება ბინათმესაკუთრე თანაამხანაგობის საკუთრების უფლება. ცხადია, რომ სადავო ქონების გასხვისების შემთხვევაში გაძნელება ან შეუძლებელი გახდება აღნიშნული ქონების ბინათმესაკუთრეთა თანაამხანაგობის საკუთრებაში აღრიცხვა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმის იმგვარი გაგება, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მომთხოვნი პირი ვალდებულია უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, არ გამომდინარეობს არც მითითებული და არც სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მარეგულირებელი სხვა ნორმებიდან. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომლებსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, სხვაგვარად, აღნიშნული გარემოებების არსებობის ალბათობა უნდა გადასწონიდეს ვარაუდს მისი არ არსებობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ შესაძლოა გაასხვისოს სადავო ქონება, გადასწონის ვარაუდს მისი არ არსებობის, ანუ იმის შესახებ, რომ იგი არ გაასხვისებს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას. სააპელაციო სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელთა მოთხოვნის არსის გათვალისწინებით, სასამართლოს არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, ვინაიდან იგი არ შეიცავს მსჯელობას, თუ რამ განაპირობა სასამართლოს ასეთ დასკვნამდე მისვლა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება უნდა გაამახვილოს სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გამწვანების ან აღსრულების შეუძლებლობის საშიშროებაზე და ასევე იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა.

სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა არის სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისადმი, ფორმალური მიდგომა დაუშვებელია და იგი უმეტესწილად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ვარაუდზეა დამოკიდებული. ზემოაღნიშნული, ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას იმავდროულად იმსჯელოს მოთხოვნის დასაბუთებულობაზე და გადაწყვიტოს, დააკმაყოფილებს თუ არა მას მომავალში, მაგრამ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ რას ემყარება მისი ვარაუდი, რომ არ არის გამოკვეთილი სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მას არ გაუჩნდა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების ვარაუდი. გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რას ემყარება სასამართლოს ზემოხსენებული ვარაუდი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება.(18,467)

სამოქალაქო პროცესის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია არა მხოლოდ საქმის აღძვრის შემდეგ, არამედ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნას სარჩელის აღძვრამდეც (192-ე მუხლი). ამ შემთხვევაში, სახეზეა ჯერ არაღიარებული სარჩელის უზრუნველყოფა. კანონით დადგენილია, რომ სარჩელის აღძვრამდე შეტანილი უზრუნველყოფის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სარჩელი შეტანილი უნდა იქნას სასამართლოში უზრუნველყოფის განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემომტანი პირი ვადაში არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ამ განჩინების გამოტანა სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია.

ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მომავალი სარჩელის უზრუნველყოფასაც.

როდესაც სასამართლო წყვეტს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხს, მან მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ ამან შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოპასუხისა და სხვათა ინტერესებს, ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი წყდება საქმის მონაწილეთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით (199-ე მუხლი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა სასამართლოს ვალდებულება კი არა, უფლებაა. ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. მაგალითად, რაც შეეხება მ. წ-ის მიერ მოთხოვნილ უზრუნველყოფის ღონისძიებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, საკასაციო პალატა

აღნიშნულს უმართებულოდ მიიჩნევს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღვეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და, იმავედროულად, მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. დასახელებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, მისი მოქმედება, მართალია, მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფისას შეიძლება იქნას გამოყენებული, თუმცა ზარალის (ზიანის) ნეგატიური შედეგებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მისი გამოყენება დასაშვებია ასევე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას.

ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით დაავალებს პირს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას, თუ ეს შედეგი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ცხადად იკვეთება ან არსებობს რეალური საფრთხე ზიანის დადგომისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისაგან განსხვავებით, 199-ე მუხლის პირველი ნაწილი არ შეიცავს მტკიცების განსხვავებულ სტანდარტს, შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანის სიცხადე მხარემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით უნდა ამტკიცოს.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი მოითხოვს რა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას, მას არ მიუთითებია ის კონკრეტული და რეალური საფრთხე, რაც ზიანის დადგომის შესაძლებლობაზე მიუთითებდა, შემოიფარგლა მხოლოდ საკუთარ უფლებაზე მითითებით, რომ შეეძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა, რაც ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთანავე, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, განმარტოს, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა თავისთავად არ ართმევს უფლებას მოპასუხეს, ზიანის დადგომის შემთხვევაში საერთო წესის დაცვით მოახდინოს მისი დარღვეული უფლების რეალიზება.(18,471)

სსკ-ს 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ საშუალებას:

მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით.

ზარალის ანაზღაურება მოპასუხეს შეუძლია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას:

ა) მოსარჩელეს უარი ეთქვა უზრუნველყოფილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ანუ მან წააგო პროცესი, ან კიდევ უზრუნველყოფილი იყო ჯერ არ აღძრული სარჩელი, მაგრამ შემდგომ მან არ აღძრა სარჩელი სასამართლოს მიერ მითითებულ ვადაში, რის გამოც უზრუნველყოფის ღონისძევა გაუქმდა.

ბ) სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხეს ნამდვილად მიადგა ზიანი, რომლის ოდენობა უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ.

მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

ეს ნიშნავს, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზიანის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებას ლიტერატურაში საპასუხო უზრუნველყოფას უწოდებენ.

სარჩელის უზრუნველყოფით უზრუნველყოფილია და დაცულია მოსარჩელის ინტერესები, ხოლო ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილია მოპასუხის ინტერესების დაცვა.(16,220)

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის განხილვასთან დაკავშირებით სიახლეს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმათა მოქმედების შეჩერების პრაქტიკა. 2015 წლის 2 ნოემბრის N1/6/675 საოქმო ჩანაწერით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც ადგენდა მოსამართლის უფლებამოსილებას, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

მხარეებმა საკონსტიტუციო სარჩელის საფუძვლად მიუთითეს შემდეგი: საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, 31-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 45-ე მუხლი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს კომპეტენციას, მხარეთა თხოვნის შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს ამავე მუხლში ჩამოთვლილ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება“.

ამავე კოდექსის 269-ე მუხლი შეეხება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვის პროცედურას. მისი მე-2 წინადადების მიხედვით, თუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხი განხილულ არ იქნა იმავე სხდომაზე, რომელზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს საკუთრების უფლებას. 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დაცვის უფლება გარანტირებულია“. მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ვერ აკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების, სამართლის უზენაესობისა და კანონის განსაზღვრულობის პრინციპებს. მათი აღნიშვნით, სადავო ნორმის განმარტება შესაძლებელია იმგვარად, რომ ის მიემართებოდეს მხოლოდ ფულად ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუმცა არსებობს მისი იმგვარად წაკითხვის შესაძლებლობაც, რომ მისი შინაარსი ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილებაზე გავრცელდეს.

შესაბამისად, არსებობს სამართალშემფარდებლის მხრიდან ნორმის არაკონსტიტუციური განმარტების საფრთხე. მოსარჩელე მხარე აღნიშნადა, რომ სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა გამონაკლისს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც საქმეზე გამოყენებულია

უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ განჩინების თაობაზე კერძო საჩივრის შეტანა არ წარმოადგენს განჩინების მოქმედების შეჩერების საფუძველს.

მოსარჩელე მხარემ განმარტა, რომ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მოხდება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა, ერთმევა სადავო ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა. ამავე დროს, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოთა მიერ მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მხარეს შეიძლება მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებაც კი ვერ შეაჩერებს დაუყოვნებელ აღსრულებას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით გამოწვეულ შედეგს შეუქცევადს გახდის.(164)

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის მოქმედებას შეუძლია მიაყენოს მოსარჩელე მხარეს გამოუსწორებელი ზიანი, რამდენადაც კონსტიტუციურ სარჩელზე მოსარჩელის წინააღმდეგ საერთო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შედეგად, მან შესაძლოა, დაკარგოს სადავო ქონებაზე საკუთრების უფლება.

აღინიშნა, რომ ქონების ახალ მესაკუთრეს ექნება ამ ქონების დაუყოვნებლივ გასხვისების, უფლებრივად დატვირთვის ან შეცვლის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სადავო ნორმა არ შეიცავს ერთმნიშვნელოვან, საკმარის და განჭვრეტად გარანტიებს უძრავ-მოდრავი ქონების გასხვისების, მისთვის სახის შეცვლის ან ფინანსური სახსრების რეალიზების შედეგად მესაკუთრისთვის ქონების დაბრუნების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

ამდენად, მოსარჩელეს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, არ ექნება ქონების დაბრუნების განჭვრეტადი, მკაფიო ბერკეტები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა, - სადავო ნორმის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე.(165)

დასკვნები და რეკომენდაციები

უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის თანახმადაც განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით შეუძლია (სსკ-ის მე-2 მუხლი).

სასარჩელო წარმოება სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითადი სახეა. მოთხოვნათა უმეტესობა ეკუთვნის ისეთ ურთიერთობებს, რომლებზეც არსებობს უფლების შესახებ დავა. ამიტომ სამოქალაქო საქმეებიდან უმეტესობა სასარჩელო საქმეებია.

სარჩელის უფლება-დაინტერესებული პირის უფლებაა, წარადგინოს სარჩელი სასამართლოში. დაინტერესებული პირის უფლებაა, ასევე, განხილულ იქნას საქმე და კანონის საფუძველზე იქნას გამოტანილი დასაბუთებული გადაწყვეტილება; ეს უფლება ასევე თითოეულ უფლებათარსს ადამიანს ეკუთვნის. სამოქალაქო უფლებათა დაცვის დროს სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოების საშუალებით.

სამოქალაქო სამართალწარმოება წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობის განსაკუთრებულ პროცესუალურ სახეს. ამ ფორმის შინაარსი მოიცავს კანონით განსაზღვრულ საქმიანობას უფლების დაცვის პროცესში, - ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას, სამართლის ნორმის შეფარდებისას (გამოყენებისას), დაცვის საშუალების განსაზღვრისას და გადაწყვეტილების გამოტანისას.

1. გასაზიარებელია ავტორთა მოსაზრება, რომელთა შეხედულებითაც, სარჩელი უნდა განიმარტოს, როგორც საპროცესო კანონით დადგენილი წესით სასამართლოში განსახილველად და გადასაწყვეტად წარდგენილი ერთი პირის მეორისადმი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან და ეფუძნება იურიდიულ ფაქტებს.

უფლება აუცილებლად უნდა განისაზღვროს, როგორც სამი უფლებამოსილების ერთიანობა:

ა) უფლება დადებით მოქმედებაზე (თვითმოქმედების უფლება);

ბ) მოთხოვნის უფლება (სხვისი მხრიდან მოქმედების მოთხოვნის უფლება) და

გ) დაცვის უფლება_ ე.ი. შესაძლებლობა, მხარეთა მიერ დავის უშედეგოდ მოლაპარაკების შემთხვევაში, მხარემ სახელმწიფოს ძალით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

2. სარჩელის უფლება სასამართლო წესით უფლების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. სასარჩელო უფლებას ერთდროულად ორი ასპექტი აქვს: პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი. შესაბამისად, გულისხმობს ორ უფლებამოსილებას: სარჩელის აღძვრის უფლება (პროცესუალური მხარე) და სარჩელის დაკმაყოფილების უფლება (მატერიალურ-სამართლებრივი მხარე). თითოეული უფლება წარმოადგენს დამოუკიდებელს, რამდენადაც ერთ-ერთი უფლებით სარგებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს შესაძლოა ჰქონდეს სარჩელის აღძვრის უფლება, მაგრამ არ ჰქონდეს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება (მაგალითად, როდესაც გასულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა).

3. სარჩელის უფლება დამოუკიდებელ უფლებას წარმოადგენს და ისევე, როგორც ყველა უფლება, ეკუთვნის პირს კონკრეტულ საქმეზე, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას. სარჩელის წარდგენის უფლება და სარჩელის დაკმაყოფილების უფლება - ეს ორი უფლებამოსილებაა, რომელიც შედის სარჩელის უფლების შემადგენლობაში.

სარჩელის აღძვრის უფლება და სარჩელის დაკმაყოფილების უფლება აუცილებლად უნდა განვიხილოთ როგორც ორი დამოუკიდებელი უფლებამოსილება, რომელიც ორგანულად შედის სარჩელის უფლების შემადგენლობაში. ორივე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ არ მოიცავს ერთი მეორეს. სარჩელის უფლების განხორციელება, როგორც სასამართლოს წესით დაცვის საშუალება, მნიშვნელოვანია როგორც საწყის ეტაპზე, სარჩელის შეტანისას, ასევე საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებისას.

4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ბოლო პერიოდში განხორციელებული დამატებების შესაბამისად, სარჩელის სავალდებულო რეკვიზიტი გახდა მასში დავის საგნის მითითება (178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ამავ დროს, დასახელებული ნორმა სავალდებულოდ მიიჩნევს დავის საგნის გარდა მოსარჩელის მოთხოვნის მითითებასაც. როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ მოსარჩელის მოთხოვნაა სარჩელის საგანი. რაც შეეხება დავის საგანს, საჭიროა განიმარტოს, თუ რას გულისხმობს მასში საპროცესო კოდექსი.

ჩვენი აზრით, ტერმინი „დავის საგანი“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კონტექსტების მიხედვით, სამი მნიშვნელობით გამოიყენება. კერძოდ, ერთ შემთხვევაში ის გულისხმობს მოსარჩელის მოთხოვნას და ამ ნიშნით ემთხვევა სარჩელის საგანს, მეორე შემთხვევაში - ის შეიძლება გამოიყენებოდეს სარჩელის ობიექტის, ანუ მოსარჩელის მოთხოვნის ოდენობის (მოცულობის) მნიშვნელობით, ხოლო მესამე შემთხვევაში ის გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთობას(იხ.დანართი #1).

ამასთან, დავის საგნის კატეგორია (ტერმინი) შესაძლოა ერთბაშად აღნიშნავდეს დასახელებულ სამივე მნიშვნელობას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამომავლოდ გაუგებრობების და ნორმათა არასწორად გაგების თავიდან აცილების მიზნით დაზუსტდეს ტერმინები. მოხერხებული იქნება ქართული სიტყვების გამოყენება - მოთხოვნა, მოთხოვნის ოდენობა, სამართლებრივი ურთიერთობა - რაც ნათელს გახდის ნორმათა შინაარსს. (იხ.დანართი N2)

5. არსებული პრაქტიკისა და მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზის შედეგად უნდა ჩაითვალოს, რომ საქმის მომზადების სტადია, როგორც უმნიშვნელოვანესი პროცედურა, დაიწყოს სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით.

საპროცესო კოდექსის არსებული რედაქცია არცერთი ნორმით არ კრძალავს ამგვარი განჩინების გამოტანის შესაძლებლობას. განჩინება თავისი არსით ისეთი დადგენილებაა, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება; განჩინება მიიღება პროცედურულ საკითხებზე.

6. შესაგებლისათვის წარდგენის ვადა არ შეიძლება განსაზღვროს სასამართლოს კანცელარიამ, ვინაიდან არ შეიძლება მან შეითავსოს მართლმსაჯულების ფუნქცია. საყურადღებოა, 183-ე მუხლი, სადაც კანცელარია რეგისტრაციაში ატარებს სარჩელს და ასევე გადასცემს მოსარჩელეს გზავნილს მოპასუხისათვის გადასაცემად. (იხ.დანართი N7)

ამ ნორმაში არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის გადაეცემა მოსარჩელეს გზავნილი მოპასუხისათვის ჩასაბარებლად. (იხ.დანართი N3)

7. საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს ასევე მხარის მიერ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარების თავისებურება. პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული სსკ-ის 184-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება მოსარჩელის მიერ სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის ჩაბარების უზრუნველყოფის ვალდებულების შესახებ. (იხ.დანართი N8)

კანონის ეს დანაწესი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან სინამდვილეში დავის მონაწილე პირებს შორის დაძაბული ურთიერთობაა, რაც ჩაბარების დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს და ასევე მოჰასუბეს არ აქვს სსკ-ის VIII თავში (სასამართლო შეტყობინება და დაბარება) სასამართლოსათვის მინიჭებული სასამართლო გზავნილის ჩაბარების ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა. (იხ. დანართი N4) (იხ. დანართი N9)

8. საჭიროა საპროცესო კანონმდებლობაში კვლავ იქნას გათვალისწინებული ხარვეზის ინსტიტუტი სარჩელის წარმოებაში მიღების განხილვისას. არსებითი ცვლილება განხორციელდა 2011 წლის 28 დეკემბრის კანონით. 185-ე მუხლი ითვალისწინებდა სარჩელის წარმოებაში მიღებისას ხარვეზის დადგენის შესაძლებლობას, როდესაც სასამართლო მხარეს განუსაზღვრავდა ვადას მის შესავსებად. კერძოდ, თუ მოსამართლე გამოარკვევდა, რომ სარჩელი შეტანილი იყო ამ კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, სასამართლო გამოიტანდა ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავდა ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებდა განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შესაძლებელი იყო კერძო საჩივრის შეტანა.

ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარებოდა მთლიანად დაბრუნებას. ასევე, თუ სარჩელში არ არის მითითებული ამ კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარჩელის მისამართი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ცვლილებების კანონად ქცევის შემდეგ პრაქტიკაში არის რეალობა, როცა სასამართლოები უმეტეს შემთხვევაში გაუმართლებლად ეუბნებიან მხარეს უარს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რაც, რაღა თქმა უნდა, ხელს უშლის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობას და გაუმართლებლად ქმნის ხელოვნურ ბარიერებს. არსებულის გათვალისწინებით, აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც გაითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ხარვეზის ინსტიტუტის კვლავ შემოღებას. (იხ. დანართი N5)

9. მოსარჩელემ უნდა მოიხმოს ყველა ის მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებს სარჩელში მითითებულ გარემოებებს, მოსარჩელის მიერ მისი წილი მტკიცების ტვირთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება საქმის ნამდვილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მოსარჩელის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. სარჩელის მიღების ეტაპზე გარკვეული მტკიცებულების ამოღების საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლე გაეცნობა კონკრეტულ მტკიცებულებებს, როდესაც შეაფასებს ამ მტკიცებულების კანონდარღვევით მოპოვების ფაქტს. ამის გარეშე მსჯელობა მტკიცებულების საქმიდან ამოღების შესახებ, არ იქნებოდა სწორი.

რაც შეეხება მოსამართლის შინაგან რწმენაზე ქვეცნობიერი ზემოქმედების ფაქტორს, აღნიშნულის მითითება ვერ იქნება გამართლებული. მოსამართლის ქვეცნობიერზე ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ზემოქმედების ფაქტორი აღმოჩნდეს მხარეთა ფიზიკური და სოციალური გარემოებაც, შეიძლება ამის შემდეგ მოსამართლეს წინასწარი განწყობა ჩამოუყალიბდეს, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ასეთი ჩანაწერის მოსმენის მიუხედავად, მოსამართლემ გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს შესაბამის საფუძვლებზე და ფაქტებზე, რომლებსაც დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების დროს.

10. ტერმინოლოგიის ერთიანობა კანონში ყოველთვის არ არის დაცული „სსსკ-ს 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი შეეხება არა შეგებებულ სარჩელს, არამედ წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი ნების გამოვლენას (სსკ-ს 442-ე მუხლი), რაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ნების გამოვლენის შემდეგ საპირისპირო მოთხოვნის გაუქმებას განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშეც.

აღმჭურველი უფლების განხორციელებას უშუალოდ ეს სამართლებრივი შედეგი მოჰყვება ისე, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა საჭირო არ არის. მეთოდოლოგიურად უფრო სწორია, სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყოს შეგებებული სარჩელის დაშვების შემოწმებით, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, შეგებებული მოთხოვნის პირვანდელ სარჩელთან ერთად ერთ პროცესში განსახილველად მიღება, ამ მოთხოვნათა შესაძლო ჩათვლის მოტივით, სასამართლოს უფლებაა და არა მისი მოვალეობა.

არასწორად მიმაჩნია საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, პირვანდელ სარჩელთან შეგებებული სარჩელის კავშირის არარსებობის მოტივით შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება გამოდის, რომლის

გასაჩივრების უფლებასაც აძლევენ მოსარჩელეს. ეს კი არაკეთილსინდისიერი მხარის ხელში საქმის გაჭიანურების შესაძლებლობას იძლევა. ამგვარი პრაქტიკა სამომავლოდ უნდა აღმოიფხვრას.

11. დაუშვებელია სარჩელის საფუძვლისა და საგნის ერთდროული შეცვლა. კანონის თანახმად, შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის ერთ-ერთი ელემენტის შეცვლა. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზიდან, რომელიც მხოლოდ ალტერნატივის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

საპროცესო კოდექსში რაიმე სპეციალური ჩანაწერი, სპეციალური ნორმა არ არსებობს, რომლითაც გათვალისწინებული იქნებოდა სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთდროულად შეცვლის შედეგები, თუმცა, უნდა დავასკვნათ, რომ სარჩელის საგნისა და საფუძვლის ერთბაშად შეცვლის დროს სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმისწარმოება, ამ საკითხის ამგვარად გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველია სსსკ-ს 272-ე მუხლი, იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე და განუმარტოს მოსარჩელეს, რომ ახალი სასარჩელო მოთხოვნის აღძვრა მას შეუძლია დამოუკიდებელ პროცესში. (იხ.დანართი N1)

12. საქართველოს სამოქალაქო პროცესში სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უცხოელ ავტორთა მოსაზრებები დოქტრინაში.

სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება განისაზღვრება, როგორც სასამართლოსადმი მიმართვის პროცესუალური უფლების განხორციელება სასარჩელო წარმოების ფარგლებში, რომელიც ეწინააღმდეგება სამოქალაქო პროცესის მიზნებს - კერძოდ, უფლების დაცვას, ასევე საზოგადოების სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, ეწინააღმდეგება მართლწესრიგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ისევე, როგორც გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, არ შეიცავს ტერმინს - „უფლების ბოროტად გამოყენება“, როგორც სამოქალაქო საქმის განხილვის პროცესში პირის მიერ არაკეთილსინდისიერი მოქმედების ზოგად აკრძალვას.

სარჩელში იმთავითვე, და თუნდაც პროცესის შემდგომ ეტაპზე, ფაქტობრივად შეუძლებელია დადგინდეს სინამდვილეში,რა არაკეთილსინდისიერი მიზანი აქვს მოსარჩელესა და მოპასუხეს. ამიტომ ცალსახაა, რომ საკანონმდებლო მექანიზმი ასეთი სარჩელების წარმოებაში მიღებისა, თუ თუნდაც დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, არ არსებობს.

სამოქალაქო პროცესში უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს არაკეთილსინდისიერი პროცესუალური მოქმედების ერთ-ერთ სახეს, რომელიც მოიცავს ყველა არაკეთილსინდისიერ საპროცესო მოქმედების სახეს, მათ შორის, ისეთებსაც, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მარტოოდენ სარჩელის უფლების განხორციელებასთან.

სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვა, რომელიც დაკავშირებულია დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან, მაგრამ აქვს არაკეთილსინდისიერი მიზნები, რომლებიც მოიცავს ამ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევასაც, სხვა პირისათვის ზიანის მიყენების მიზნით.

13. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცებულად ცნობისათვის მხარემ ისინი საქმის წარმოებისას უნდა აღიაროს ან ამგვარი აღიარება მისი ქმედებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მართალია, აღიარებისათვის რაიმე განსაკუთრებული საპროცესო ფორმა დადგენილი არ არის, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მხარის ზეპირი ან წერილობითი განმარტებებიდან უნდა ირკვეოდეს, რომ მას ნათელი წარმოდგენა აქვს მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე და ეთანხმება მათ. ორაზროვანი ან ბუნდოვანი ახსნა-განმარტებები, რომლებიდანაც მხარის ნება ნათლად არ იკვეთება, არ შეიძლება აღიარებად ჩაითვალოს.

სასარგებლოა, ზემოთქმულის პრაქტიკაში აქტიურად დანერგვა და შესაბამისი შეფასება.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია.
2. გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბერი. „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.
3. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი (I, 5,16).
4. საქართველოს კონსტიტუცია.
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

a. სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

6. ბოელინგი ჰ. ჭანტურია ლ. 2004. *სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია*. ჯისიაი.
7. გაგუა ი. 2013. *მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში*. თბილისი: მერიდიანი.
8. ზოიძე ბ. 2001. *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: სამართალი.
9. თოდრია თ. 2010. *ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, სადისერტაციო ნაშრომი*. თბილისი.
10. იოსელიანი ა. 2007. *კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებრივ სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა)*. ქართული სამართლის მიმოხილვა. *სპეციალური გამოცემა*.
11. კობახიძე ა. 2003 *სამოქალაქო საპროცესო სამართალი*, თბილისი: საქართველოს მაცნე.
12. კოპალეიშვილი მ. სხირტლაძე ნ. ქარდავა ე. ტურავა პ. 2008. *ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: სიესტა.

13. ლილუაშვილი გ. 2003. *სარჩელის აღძვრა და მოსამზადებელი სტადია აშშ-ს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით, თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ჯი სი აი.*
14. ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. 2007. *სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, II გამოცემა, თბილისი.*
15. ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი: სამართალი.*
16. ლილუაშვილი თ. 2005. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი.*
17. მესხიშვილი ქ. 2014. *ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, თბილისი: სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა.*
18. ნაჭყებია ა. 2014. *სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), GIZ.*
19. 2010. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი.
20. 2012. პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე, საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, თბილისი.
21. საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; Gesetz gegen den unlauteren Wettbewerb. von. 03.07.2004; Aktiengesetz. von. 06.09.1965.
22. 2010. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბილისი, 17, 18. 23 სუსგ. 2002 წლის 4 მარტი, სამოქალაქო საქმე N3კ/441-01. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულში.
23. 2007. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე, თბილისი.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 2005. N4, სამოქალაქო პროცესი.

25. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი*, თბილისი.
26. ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2013. კანონიერიების პრინციპის უზრუნველყოფისათვის სამოქალაქო პროცესში. *მართლმსაჯულება და კანონი*, 2(37).
27. ქურდაძე შ. 2006. სააღსრულებო წარმოებათა სტადიაზე წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებანი, *მართლმსაჯულება და კანონი*. 1. 60-66.
28. ქურდაძე შ. 2010. *საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი*. თბილისი: <http://www.nplg.gov.ge> 167.
29. ცისკაძე მ. 2003. *საქმის განხილვის გადადების და წარმოებით შეჩერების სამართლებრივი რეგულირება*, თენგიზ ლილუაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი.
30. ხრუსტალი ვ. 2015. საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ. *სამართალი და მსოფლიო*. სპეციალური გამოცემა N2. თბილისი: 43.
31. ძლიერიშვილი ზ. 2004. *სარჩელის ცნება, ახვლედიანი ზ. 70 თბილისი*. მერიდიანი.
32. სურგულაძე ნ. 2014. იუსტინიანეს დიგესტები “Nihil aliud est action quam ius, quod sibi debetur, iudicio persequendi” „სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება, მოთხოვნა განახორციელოს და დაიცვას სასამართლო წესით.“ თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.(D.44.7.51; I.4.6.).
33. Albuquerque P. 2006. *Responsabilidade Processual por Litigancia de Ma Fe, Abuso de Direito e Responsabilidade Civil em Virtude de Actos Praticados no Processo*. Coimbra.
34. Baumgärtel G. 1976. *Treu und Glauben im Zivilprozeß*, ZZP, 1973. Konzen H. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien. Berlin.
35. bernab U. 1995. *A introduction American Law system*. West Publishing Co. Sant Paull. Minn.
36. BGHZ-Die *Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen*.
37. *Black's Law dictionary*. 1991. St. Paul, Minn. West Publishing Co.
38. Rudolf B. 1979. *Zivilprozessrecht*. München.
39. Bundes justizministerin Zypries: 2004. *Justizgewährungs anspruch ist seit langem ein Kernthemes des Rechts staatlichkeit* <http://www.bmjibund.de>.

40. Chern C.C. 1997. *Die Feststellungsklage im Zivilprozeß*. Diss.Köln.
41. Christoph G. Paulus. 1996. *Zivilprozeßrecht: Erkenntnisverfahren und Zwangsvollstreckung*, Springer.
42. Couchez G. 2002. *Prcedure civile*. 12. Edition. Paris, Dollaz.
43. Degenkolb H. 1905. *Beiträge zum Zivilprozeß*. Leipzig: Neudruck. Aalen.
44. Paul S. 1994. *Federal rules of Civil Procedure*. West publishing company.
45. Geoffrey C. Taruffo M. 1993. - *American civil procedure: an introduction*. New York.
46. Gesetz über das Bundesverfassungsgericht (BverfG) 2002; წლის 27 თებერვლის კანონი გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ; ეფექტური სასამართლოსმიერი დაცვის შესახებ <http://dejure.org/gesetze/BVerfGG> (02.04.2014)
47. Holthausen D. 2005. *Theorie und Praxis einer allgemeinen Rechtsmissbrauchsschranke für Prozessparteien. Eine Rechtsvergleichende Untersuchung im deutschen und französischen zivilprozessualen Urteilverfahren*. Frankfurt am Main.
48. Jonathan T. 2003. Molot. An old judicial role for a new litigation era// *Yale Law Journal*. Oct. v113 il p.27.
49. Kay- Kane M. 1991. - *Civil procedure - in a nutshell*; West Publishing Co. St. Paul Minn.
50. Mast E. Gerold R. 1999. *Trolldenier G. Rechtslehre Gehlen* 3. Aufl. Bad. Hamburg. Gehlen.
51. Muther T. 1857. *Zur Lehre von der Römischen Actio, dem heutigen Klagrecht, der Litisontestation und der Singularsuccession in Obligationen. Eine Kritik des Windscheid'schen Buchs:., Die Action des Römischen Civilrechts, vom Standpunkte des heutigen Rechts*“. Erlangen: Verlag von Andreas Deifert.
52. 1980. Neue Juristische Wochenschrift (NJW), 33 Jahrgang.
53. Paulus G. 2013. *Christoph, Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europäisches Zivilprozessrecht*, 5. Auflage. Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
54. Rosenberg L. Schwab K. Gottwald P. 2004. *Zivilprozessrecht*, 16 edition, München: G.H. Beck.
55. Rosenberg L. Schwab K. 2002. Gottwald P. Zöllner R. Vollkommer G. *Zivilproyessordnung. Kommentar*. 23. Aufl. München, Einl.
56. Savigny F.C. 1840. *System des heutigen römischen Recht, Bd. I*. Berlin.
57. Savigny F.C. von. 1840. *System des heutigen römischen Rechts, Bd. I*. Berlin.

58. Savigny F.C. von.1845. Aufsatz für die Zeitschrift für geschichtliche Rechtswissenschaft. Berlin.
59. Schilken E. 2006. *Zivilprozessrecht*. Aufl HeymannsVerlagGmbH. Berlin.
60. Schlosser P. 1966. *Gestaltungsklagen und Gestaltungsurteile*, Bielefeld: Gieseking.
61. Stein F. Jonas M. 1977. Kommentar zum Zivilprozessordnung. 20. Aufl. Tübingen.
62. Stürmer R. 1990. *Prozessverfassung, Festschrift für Gottfried Baumgärtel zum 70. Geburtstag*. München. Köln.
63. Teichmann A.1990. Rechtsmissbrauch durch eine Klage-OLG Hamm. JuS. Heft.
64. The Case Law of Central and Eastern Europe. Enforcement of Contracts, Vol. 1, Ed. by Mussman S, Tajti T, Germany, 2009
65. Thomas H. Putzo H. 2005. *Zivilprozessordnung, Kommentar.25.Aufl. 999*; Fenge H., 1961. *Die dogmatische Bedeutung des richterlichen Schuldnerschutzes in der Zwangsvollstreckung*. Diss. Heidelberg.
66. von J. *Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen*.
67. Wach A. 1885. *Handbuch des deutschen Zivilprozeßrechts*, Leipzig: Verlag von Duncker & Humbolt.
68. Walter Zeiss, Klaus Schreiber, 2003, Zivilprozessrecht, 10. Auflage, Mohr Siebeck, Tübingen.
69. Weber K. Verlag C.H 1605. *Creifelds Rechtswörterbuch, 16.neu bearbeitete Auflage*, 2000. Beck, München.
70. Windscheid B. 1856. *Actio des römischen Civilrechts*, Düsseldorf, Verlagsbandlung von Julius Buddeus. S. 3 ob: Bley E. 1923. Klagrecht und rechtliches Interesse, Leipzig: Weicher. Hellwig 14) K. 1968. Klagrecht und Klagmöglichkeit, Aalen: Scientia Verlag.
71. Zeiss. W. 1967. Die arglistige Prozeßpartei, Berlin.
72. შტეფან შ. რიჰტერი ჰ. 2013. *მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)*.
73. Аболонин В.О. 2009. *Злоупотребление правом на иск в гражданском процессе Германии*: Монография, Волтерс Клувер.
74. Аболонин Г.О. 2001. *Групповые иски*. Москва.

75. Васильев А.М. 1976. *Правовые категории. Методологические аспекты разработки системы категорий теории права*. Москва.
76. Васьковский Е.В. 1913. *Курс гражданского процесса*, Москва: Бр. Башмаковых.
77. Викут М.А. *Изменение иска в гражданском судопроизводстве как средство защиты материального права*. Москва.
78. Викут М.А. 1976. *Иск как элемент права на судебную защиту, его юридическая природа и обоснование Вопросы теории и практики гражданского процесса*. Саратов.
79. Гегель. 1930. *Энциклопедия философских наук*. Ч. 1. Логика Москва.
80. Гордон В.М. 2005. *Иски о признании Гражданский процесс*. Хрестоматия/ под.ред.М.К. Треушникова. Москва: [Городец](#) .
81. Шакарян. М.С. 1996. *Гражданский процесс*: Москва.
82. Треушникова М.К 1998. *Гражданский процесс*: Москва.
83. . *Гражданский процесс*: 2004. учебник/под ред. Яркова В. Б. Москва.
84. Громошина Н.А. 2002. *К вопросу о видах гражданского судопроизводства Защита прав и законных интересов граждан и организаций*: Матер, Междунар. науч-практ. конф. Сочи.
85. Гурвич М. А. 1981. *Учение об иске (состав, виды): Учебное пособие*. Москва: ВЮЗИ.
86. Гурвич М. А. 1949. [Право на иск](#) / ред. Клейман А. Ф. Москва: Академии наук СССР.
87. Гурвич М.А. 2006. *Право на иск Избранные труды*, Т.1 Краснодар: Совет Кубань.
88. Гурвич М.А. 1950. *Лекции по советскому гражданскому процессу*. Пособие. Москва.
89. ДавтянА.Г. 2011. *Гражданский процесс зарубежных стран: учебное пособие*. Москва. Проспект.
90. Доброволский А.А. Иванова С.А. 1979. *Основные проблемы исковой формы защиты права*. Москва.
91. Доброволский А.А. 1965. *Исковая форма защиты права (основные учения об иске)*. Москва.
92. Зайцев И.Л. 1990. *Реальность судебной защиты*. Рос.юстиция.
93. Зейдер Н.Б. 1939. *Основные вопросы учения об иске в советском гражданском процессе*: юрид. наук. Саратов.
94. Кириллов В.И. *Логика познания сущности*. Москва.
95. Кожухарь А.Н. 1989. *Право на судебную защиту в исковом производстве*, Кишинев. Москва.
96. Комиссаров К.И. КлейнманА.Ф. 1959. *Советский гражданский процесс*. ЧеччнаН.А. *Судебная деятельность и предмет судебного решения // Вестн. Ленингр.*

97. Коршунов Н.М. 2004. *Оправенасудебнуюзащитувсветенового ГПКРФ, Заметки о современном гражданском и арбитражном процессуальном праве, под редакцией М.К. Треушниковой*, Городец. Москва.
98. Крашенников Е.А. 1988. *Право на иск//Проблемы совершенствования законодательства о защите субъективных гражданских прав: Сб. науч. тр. Ярославль.*
99. Крусс И. А. 2013. *Комментарий к гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации (постатейный), общей редактор Л.В. Тумановой*, Проспект, Москва.
100. Лазарев Сергей Викторович, 2006. *МИРОВОЕ СОГЛАШЕНИЕ В ГРАЖДАНСКОМ СУДОПРОИЗВОДСТВЕ, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук*, Екатеринбург. Москва.
101. Лебедев М. Ю., Чепцев Д.Е. 2003. Францифоров А. Ю. *Гражданский процесс Краткий курс лекций*. Москва.
102. Лесничкая Л.Ф. 2001. *Совершенствование гражданского процессуального законодательства//Судебная реформа в России: проблемы совершенствования процессуального законодательства: Матер, науч-практ. конф., Москва.*
103. Логинов П.В, 1983. *Понятие иска и исковая форма защиты права*, Москва, советское государство и право, Москва.
104. Мухамедшт Р.К. 1981. *Изменение иска в свете некоторых теоретических проблем исковой формы защиты права // Вопросы развития теории гражданского процессуального права*. Москва.
105. Нефедьев Е.А. 2005. *Учение об иске// Избранные труды*. Краснодар. Москва.
106. Осокина Г.Л. 2003. *Гражданский процесс, Общая часть*. Москва.
107. Осокина Г.Л. 1990. *Проблемы иска и права на иск*, Томск, 1989, Онаже, *Право на защиту в искомом судопроизводстве (право на иск)*, Томск,
108. Осокина Г.Л. 2000, *ИСК. (теория и практика)*. Москва: Городец.
109. Пучинский В.К. 1979. *Элементы иска в советском гражданском процессе* Сов. ГиП. № 3. С. 47-51-52,
110. Пятилетов И.М. 1975. *Изменение предмета иска* *Вопросы науки советского гражданского процессуального права*. Москва.
111. Рябова Е.В. 1964. *Основание иска в советском гражданском процессе: Автореф. дис... канд. юрид. наук*. Москва.

112. *Советский гражданский процесс* Под ред. М.А.Гур-вича. Пучинский У.К. Указ, соч. СГурвич М.А. Учение об иске. Москва.
113. Советский гражданский процесс/Под ред. К.С. Юдельсона. 1956. Москва: Изд. Юрид. Литературы.
114. Абрамова С.Н. 1962. Советский гражданский процесс.Москва.
115. Юдельсона. К.С. 1965.*Советское гражданское процессуальное право*. Треушников Судебные доказательства. Москва.
116. Филипов П. М. *Гражданский процесс* . Москва: Изд. Юрид. Литературы.
117. Константинов. Ф.В. 1970. Философская энциклопедия: Москва.
118. ЦихоцкийА.В. 2001.*Регулятивное значение целей правосудия по гражданским делам//Правовые проблемы укрепления российской государственности: сб. статей/Подред. Б.Л. Хаскельберга. Томск.*
119. Чернышева С.А. 1984. Гражданско-правовая защита авторских прав.Сов. ГиП. № 2. С. 67; Осокина Г.Л. *Проблемы иска и права на иск*.
120. Шеглов В. Н. 1987. Иск о судебной защите гражданского права, Томск.
121. Щеглов В.Н. ПушкарЕ.Г -133, Указ. Соч.
122. Die dogmatische Bedeutung des richterlichen Schuldnerschutzes in der Zwangsvollstreckung. Diss. Heidelberg
- a. სასამართლო გადაწყვეტილებები:**
123. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება 1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 14-15
- 124.„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება 2/3/423 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 6),
- 125.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება 3/1374-09;
- 126.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 ოქტომბრის განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის განჩინება 3/862-08)

- 127.საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 22).
128. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
129. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება 1/3/393,397 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები - ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1
130. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება 1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი, შპს „პატარა კახი, სს „გორგოტა, გივი აბლაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი და შპს „ენერჯია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.
- 131.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება 1/3/421,422 საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II, 1.
132. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება 1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3.),
- 133.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/531
- 134.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე N 3k-1209-01
- 135.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1057-1330-04
- 136.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-331-734-06
- 137.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1167-1429-09

- 138.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე
ნას- 1154-1416-09
- 139.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება
საქმეზე ნას-1390-1407-2011
140. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-1838-1811-2011
141. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება
საქმეზე ნას-889-932-2011
- 142.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-827-776-2012
- 143.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე
ას-1639-1536-2012
144. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება
საქმეზე ნას-484-460-2013
- 145.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება
საქმეზე № ას-1607-1509-2012
- 146.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-318-304-2012
- 147.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება
საქმეზე ას-1385-1367-2012
- 148.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება
საქმეზე **№ას-1144-1091-2013**
- 149.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-1144-1091-2013
- 150.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-929-891-2014
- 151.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება
საქმეზე №ას-653-621-2013

- 152.საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, კრებული სამოქალაქო საქმეებზე, 2003, 11, გვ. 3114
- 153.საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, კრებული სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წელი, 7, გვ. 1112
- 154.საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, კრებული სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წელი, 2,
- 155.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე ას- 872-830-2013
- 156.უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-519-841-05(სქოლიო-199)
- 157.უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-382-691-05(სქოლიო-200)
- 158. ელექტრონული გამოცემები:**
159. <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-58020>
160. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1549634#>
161. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=71>
162. <http://www.parliament.ge/ge/law/7584/14711>
163. <http://www.parliament.ge/ge/law/7584/14709>
164. http://www.library.court.ge/upload/appeal_review.pdf სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის (JAMR) პროექტი, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვის შეფერხების მიზეზები და საქმის წარმოების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეკომენდაციები, თბილისი, 2010
165. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3410401?publication=0> „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
166. <http://constcourt.ge/ge/legal-acts/recording-notice/shps-samauwyeblo-kompania-rustavi-2-da-shps-telekompania-saqartvelo-saqartvelos-parlamentis-winaagmddeg.page>
167. https://www.gesetze-im-internet.de/zpo/_586.html - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 586-ე პარაგრაფი

168. https://www.juristaitab.ee/sites/www.juristaitab.ee/files/elfinder/ru-seadused/%D0%93%D0%A0%D0%90%D0%96%D0%94%D0%90%D0%9D%D0%A1%D0%9A%D0%98%D0%99%20%D0%9F%D0%A0%D0%9E%D0%A6%D0%95%D0%A1%D0%A1%D0%A3%D0%90%DD0%9D%D0%AB%D0%99%20%D0%9A%D0%9E%D0%94%D0%95%D0%9A%D0%A1_29.03.2015.pdf ესტონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

დანართი №1

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ
(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

2. მოსარჩელეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისთვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, შეავსოს სარჩელში მითითებული გარემოებები და მტკიცებულებები, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა, რის შესახებაც სასამართლომ უნდა აცნობოს მოპასუხეს. დაუშვებელია ერთდროულად სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლა. მოსარჩელის მიერ ერთდროულად სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლის შემთხვევაში, საქმე წყდება

წარმოებით. სსკ-ს 272 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. (მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე)

დანართი №2

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“

ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით,

1. „გ“ დავის საგანი - „მოსარჩელის მოთხოვნა“.
2. „ზ“ -ამოღებულ იქნას.

დანართი №3

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქციით

მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად მიიჩნევა მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო, თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ.

დანართი №4

პროექტი

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესახებ
(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი
რედაქციით
მუხლი 184.სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების
მოპასუხისთვის გადაგზავნა

სარჩელის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების მიღების ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისთვის გადაგზავნის შესახებ, ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესით.

დანართი №5

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 185-ე

მუხლი

მუხლი 185. სარჩელის უმოძრაოდ დატოვება.

თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, იგი გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და მოსარჩელეს დაუბრუნებს. სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისა და მისი მოსარჩელისთვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დანართი №6

პროექტი

საქართველოს კანონი

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ
(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები,

განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული უფლებებით.

დანართი №7

პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილი

ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით

მუხლი 201. მოპასუხის პასუხი (შესაგებელი)

1. მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი

პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.

დანართი №8

პროექტი

საქართველოს კანონი

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ
(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)**

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹-ე მუხლის პირველი ნაწილი
ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით**

მუხლი 232¹. მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობის შედეგები

მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

დანართი №9

პროექტი

საქართველოს კანონი

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ
(პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997)**

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მეოთხე ნაწილი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

მუხლი 71. სასამართლო უწყების ჩაზარება და მისი ჩაუზარებლობის შედეგები

4. ამოღებულ იქნას;